ვერსია

ფასი 40 თეთრი

№2 (758) 11 – 13 იანვარი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი

კორუფციული სქემა, რის გამოც „კემპინსკის“ წარმომადგენლებმა საქართველო დატოვეს

„შეიხი ახლა ინფორმაციულ ვაკუუმშია. როცა გამოძიება დაამტკიცებს, რომ სამი ედუარდსი, ვანო მერაბიშვილი და გიგი უგულავა თაღლითები არიან, შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს“

გვ. 4

რა კავშირი აქვს „დაბი ჯგუფის“ ხელმძღვანელის აფერასთან ვანო მერაბიშვილს და რა ინფორმაციას ელოდება არაბი შეიხი საქართველოს პროკურატურისგან?

SOS! საფრთხე, რომელიც ახალგაზრდობას განადგურებით ემუქრება!

ბოლომდე შესწავლილი არ არის, რა ზემოქმედებას ახდენს „სპაის გოლდი“ ადამიანის ორგანიზმზე, თუმცა ცნობილია, რომ დოზის გადაჭარბებისას ახასიათებს თავბრუსხვევა, გულისრევის შეგრძნება, ჰალუცინაციები და შფოთვა. არსებობს მოსაწევის გამოყენების შედეგად გარდაცვალების ფაქტებიც.

გვ. 11

რა არის „დეგაღური ნარკოტიკი“ „სპაის-გოლდი“ და რატომ არ გვაქვს დაბორატორია, რომელიც მას აღმოაჩენს?

კერძო ტაქსების მძღოლები გაფიცვით იმუქრებიან!

გვ. 11

საქართველოს მძღოლთა ასოციაციის თავმჯდომარე საგრანსპორტო სისტემაში უმართავ სიტუაციას პროგნოზირებს

კახა კუკავა „ოცნებისა“ და „ნაციონალების“ ფარული გარიგების სქემას შიფრავს

„ივანიშვილის ნაცვლად, ოპოზიციის სათავეში სხვა რომ ყოფილიყო, პროცესი „ნაციონალებისთვის“ ბევრად მძიმედ ჩაივლიდა და რამდენიმე ასეული ადამიანი დაიღუპებოდა!“

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით, პროკურატურამ დაკითხა

გვ. 3

„ნაციონალები“ სააკაშვილს პოლიტიკურ ამნისტიაში გაცვლიან

პრეზიდენტის პარტიის რომელი წევრები მოხვდებიან პოლიტამნისტირებულთა სიაში და ვისი საქმეების განხილვას დაიწყებს ბესელიას კომიტეტი 14 იანვრიდან

გვ. 5

„მომდევნო პრეზიდენტი, ფაქტობრივად, ქვეყნის „საქორწინო გენერალი“ იქნება, მეტი არაფერი“

ვინ შეცვლის 2013 წელს მიხეილ სააკაშვილს?

გვ. 10

„ახალი ტალღა 2014“ საქართველოში გაიმართება?!

გვ. 6

უმასპინძლებს თუ არა ივანიშვილის „ზაფხულის თეატრი“ საერთაშორისო ფესტივალს

ბაჩო ახალაია თანახმაა, მისი საქმე ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილონ

თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია თანახმაა, მისი საქმე ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილონ. ამის შესახებ დავით დეკანოიძემ განაცხადა: **„პირველ რიგში, ჩემს პოზიციას მოგახსენებთ: მიმაჩნია, რომ მაღალჩინოსნების საქმეების განხილვა ნაფიცი მსაჯულების მიერ სრულიად მისაღებია და კარგია. ასეთივე პოზიცია აქვს ბაჩო ახალაიასაც. ამ საკითხთან დაკავშირებით, მას დღეს ვესაუბრე“.**

დეკანოიძემ დასძინა, რომ ბაჩო ახალაია თავს კარგად გრძნობს და საკმაოდ მხნედაა.

„პირველი“

იღია მეორე: „საიუბილეო თარიღები, რომელსაც საქართველოს ეკლესია აღნიშნავს, მეტად მნიშვნელოვანია იმ რთული პროცესების ფონზე, რაც გამოვიარეთ“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის განცხადებით, **„ის საიუბილეო თარიღები, რომელსაც საქართველოს ეკლესია აღნიშნავს, მეტად მნიშვნელოვანია იმ რთული პროცესების ფონზე, რაც ჩვენ გამოვიარეთ. იყო ძალიან რთული პერიოდი, იდევნებოდა ეკლესია, ინგრეოდა ტაძრები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეკლესია მაინც ახერხებდა განვითარებას. ჩვენი მთავარი სურვილი გახლდათ, კავშირი ყოფილიყო ეკლესიასა და მოსახლეობას შორის. კიდევ ერთხელ, მადლობელნი ვართ მისი უწმინდესობის, სერბეთის პატრიარქის ირინეუსის და მადლობელნი ვართ ყველა იმ ადამიანისა, ვინც აქ ჩამობრძანდით და ჩემი სიხარული გაიზიარეთ. საქართველოს ეკლესია და ქართველი ხალხი დიდი სიხარულით გხვდებათ თქვენ“.**

შეგახსენებთ, რომ საპატრიარქოში ილია მეორის აღსაყდრებიდან 35-ე წლისთავთან დაკავშირებით, საზეიმო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც სპეციალურად ჩამობრძანებული სერბეთის პატრიარქი ირინეუსი, ბულგარეთის პატრიარქი, მოსაყდრე კირილი, ჩეხეთისა და სლოვაკეთის ეკლესიის წინამძღვარი მიტროპოლიტი ქრისტეფორე, რუსეთის საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობების განყოფილების უფროსი, მიტროპოლიტი ილარიონი და სხვა სტუმრები ესწრებოდნენ.

„პირველი“

ოქრუაშვილს, ერთ-ერთ საქმეზე, წინასწარი პატიმრობა 10 000-დარიანი გირაოთი შეეცვალა

საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილს თბილისის საქალაქო სასამართლომ უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნისა და მეთაურობის საქმეზე პატიმრობა, 10 000-ლარიანი გირაოთი შეუცვალა. ეს გადაწყვეტილება მოსამართლე ხათუნა ხარჩილავამ, პროკურორ გოზალიშვილის შუამდგომლობის საფუძველზე მიიღო.

მან ასევე დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა, რომლის საფუძველზეც, 10 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ, ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად ბრალდებული, მისი ბიძაშვილი იოსებ გიგუაშვილი პატიმრობიდან გათავისუფლდა.

რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილს, მასთან მიმართებაში სისხლის სამართლის სხვა საქმეზე განხილვა მიმდინარეობს და ჯერ პატიმრობაში რჩება.

მოსამართლის გადაწყვეტილებას დარბაზი ტაშით შეხვდა. ამის შემდეგ დაცვის მხარემ წინასწარი პატიმრობის გირაოთი შეცვლა ამ საქმეზე ბრალდებული სხვა პირებისთვისაც მოითხოვა.

შეგახსენებთ, რომ ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნას ან ხელმძღვანელობას გულისხმობს და თავისუფლების 6-დან 9 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

აღნიშნულ საქმეზე ბრალდებულია 8 პირი: იოსებ გიგუაშვილი, გიორგი გაბროშვილი, ხვიჩა საბაშვილი, გაბრიელ პავლიაშვილი, თამაზ ბეგიაშვილი და ზაზა ბეთლემიძე. მათთან ერთად მიმდინარეობს მალხაზ კაკაშვილის პროცესიც, რომელიც იმალება და, შესაბამისად, სხდომებს არ ესწრება.

„მედიანიუსი“

თენგიზ გუნავა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად დაინიშნა

„პირველი რადიოს“ ინფორმაციით, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, გენინსპექციის ყოფილი უფროსი თენგიზ გუნავა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად დანიშნა. ეს ინფორმაცია გუნავას ადვოკატმა, გიორგი ონიანმაც დაადასტურა და აღნიშნა, რომ თენგიზ გუნავას ახალ თანამდებობაზე მუშაობის მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფაა:

„ჩვენთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, როგორ აღიქვამს ამას ხელისუფლება, მთავარია, ხალხმა იგრძნოს, რას გააკეთებს მშობლიური რაიონისთვის თენგიზ გუნავა. შედეგს მალე ნახავთ“.

შეგახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ყოფილი ხელმძღვანელი რამდენიმე თვის წინ, პოლიციამ, ნარკოტიკული ნივთიერების შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავა, თუმცა მოგვიანებით, იგი გაათავისუფლეს.

თავის მხრივ, გუნავამ სარჩელი სამინისტროს წინააღმდეგ შეიტანა და სამართალდამცველებს ნარკოტიკების ჩადებაში დასდო ბრალი. ექსპერტიზამ კი გუნავას ორგანიზმში ნარკოტიკული ნივთიერების კვალი ვერ აღმოაჩინა.

„პირველი“

სერბეთის პატრიარქი: „სერბეთისა და საქართველოსთვის ძალიან ძნელი იყო სარწმუნოების შენარჩუნება“

სერბეთის პატრიარქის, ირინეუსის თქმით, სერბეთისა და საქართველოს ეკლესიამ ძალიან რთული პერიოდი გამოიარა და ძალიან ძნელი იყო სარწმუნოების შენარჩუნება. დღეს კი, შედარებით უკეთესი ვითარებაა და შესაძლებელია, ეკლესიამ სახარების სიტყვა მიიტანოს მრევლამდე.

„ამ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა აქვს მართლმადიდებლური სამყაროსთვის. ჩვენ ვლოცულობთ იმისთვის, რომ საქართველოს პატრიარქს ღმერთმა მისცეს ძალა, მუდამ ბრწყინავდეს საქართველოს ეკლესია და ილია მეორემ საქართველოს ეკლესიას ამ გზაზე დიდხანს უხელმძღვანელოს“, – ბრძანა უწმინდესმა ირინეოსმა

შეგახსენებთ, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 35 წლისთავისა და დაბადებიდან 80 წლის საიუბილეო თარიღების აღსანიშნავად, უწმინდესმა საპატრიარქო რეზიდენციაში სერბეთის პატრიარქი ირინეოსი, ბულგარეთის პატრიარქის მოსაყდრე კირილი და სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები მიიღო.

„მედიანიუსი“

მიხეილ სააკაშვილი: „პატრულის მიერ ქრთამის აღების პირველი შემთხვევები დაფიქსირდა“

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, **„სამწუხაროდ, პატრულის მიერ ქრთამის აღების პირველი შემთხვევები დაფიქსირდა“,** — ეს განცხადება სააკაშვილმა ზუგდიდის საკრებულოს წევრებთან შეხვედრისას გააკეთა, როდესაც სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად თენგიზ გუნავა წარადგინა.

„თქვენ იცით, რომ კონტრაბანდასა და კორუფციაში გასვრილი ბევრი კადრი, თანამდებობებზე დაბრუნდა, მათ შორის, სამართალდამცველ სტრუქტურებში. სამეგრელოს ერთ-ერთ რაიონში პოლიციის უფროსად დანიშნეს შევარდნაძისდროინდელი კადრი, რომელსაც მეტსახელად, „ყულაბას“ ეძახდნენ. აქ დაბრუნდა ხალხი, რომელსაც თავის დროზე, ფული ჰქონდა გადახდილი თანამდებობებზე დანიშვნისთვის. ისინი გავათავისუფლეთ, მაგრამ ახლა მასობრივად დაბრუნდნენ. სამწუხაროდ, პატრულის მიერ ქრთამის აღების პირველი შემთხვევები დაფიქსირდა. ჩვენ სამეგრელოს განვითარების გრანდიოზული გეგმები გვქონდა, რაც შეჩერებულია. შეჩერებულია ასევე, დიდი პორტის მშენებლობა, რომელიც სამეგრელოს მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი იყო. ამ პირობებში კი, ხდება წარსულის რესტავრაცია“, — განაცხადა სააკაშვილმა და დასძინა, რომ პრეზიდენტის რწმუნებულები რეგიონებში ის ხალხია, ვისზეც გადის ბრძოლის ხაზი, რათა კორუმპირებულები არ დაბრუნდნენ და წარსულის რესტავრაცია არ მოხდეს.

თავის მხრივ კი, შსს პრეზიდენტის განცხადებას პასუხობს და აღნიშნავს, რომ დღემდე, პატრულის მიერ ქრთამის აღების არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს საზოგადოების წარმომადგენლებს, მთავრობის წევრებს, საპარლამენტო უმრავლესობას, უმცირესობას, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს, თუკი მსგავსი ფაქტი დაფიქსირდება, დაუყონებლივ აცნობონ შინაგან საქმეთა სამინისტროს, ნომრებზე: 241 88 24, 241 88 81 და პირადად მინისტრს.

მინისტრის ბრძანებით, იანვრის ბოლოს, ამოქმედდება ცხელი ხაზი და ყველა მოქალაქეს შეეძლება, 24 საათის განმავლობაში, შეუფერხებლად მიაწოდოს ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებისმიერი თანამშრომლის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

„მოვუწოდებთ ყველას, მათ შორის პრეზიდენტს, თავი შეიკავონ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების რეპუტაციის შემლახავი განცხადებების გაკეთებისგან, ვინაიდან კონკრეტული ფაქტების მოყვანის გარეშე, ამგვარი ქმედება ემსახურება პოლიციისა, და მთლიანად, სამინისტროს მიზანმიმართულ დისკრედიტაციას.

აქვე განვმარტავთ, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს არც ერთი რაიონის პოლიციის უფროსად არ დანიშნულა თანამშრომელი, მეტსახელად „ყულაბა“.

„პირველი“

ირმა ნადირაშვილი მოითხოვს, დაისაჯონ პოლიციელები, რომლებიც ალეკო ქავთარაძის დახვრეტის მცდელობაში მონაწილეობდნენ

საპარლამენტო უმცირესობის წევრი ირმა ნადირაშვილი მოითხოვს, დაისაჯონ პოლიციელები, რომლებიც 37 წლის ალეკო ქავთარაძის დახვრეტის მცდელობაში მონაწილეობდნენ.

ნადირაშვილმა ვანის რაიონში მომხდარი ინციდენტის შესახებ ინფორმაცია გააჟღერა: **„საქმე ეხება, ვანის პოლიციაში მომხდარ დანაშაულს, რომელიც პოლიციელებმა ჩაიდინეს. 37 წლის ალეკო ქავთარაძე ვანის პოლიციის უფროსის მოადგილემ, ლევან გეგენაშვილმა დაიბარა დაკითხვაზე, ყოველგვარი სტატუსის გარეშე, 8 საათის განმავლობაში ცდილობდნენ, მისგან მიეღოთ ინფორმაცია ერთ-ერთ ადამიანზე. მასზე მიმდინარეობდა ფსიქოლოგიური ზეწოლა, ამ გზით ჩვენების მიღება ვერ მოახერხეს, შემდეგ, ვანის პოლიციის უფროსის მოადგილემ, ორ თანამშრომელთან ერთად, ქავთარაძე პოლიციის მანქანაში ჩასვეს და ტყეში წაიყვანეს, სადაც ცეცხლსასროლი იარაღით ფეხში დაჭრეს. დანაშაულის მიჩქმალვა უნდოდათ და ამიტომ, ერთ-ერთ კერძო ექიმთან, სახლში გადაიყვანეს. ექიმმა განაცხადა, რომ დახმარებას ვერ აღმოუჩენდა და ქუთაისის ავტოქარხნის საავადმყოფოში გადაიყვანეს, საიდანაც ექიმმა ფუტკარაძემ პოლიციის განყოფილებაში გაგზავნა შეტყობინება ქავთარაძის დაჭრის შესახებ. აღნიშნულზე ინფორმირებულია მინისტრი, გენპროკურორი, ასევე იუსტიციის მინისტრი, ეს არის ადამიანის დახვრეტის მცდელობა“.**

ნადირაშვილი ითხოვს, სამართალდამცველებმა დანაშაულში მონაწილე ადამიანები დააპატიმრონ და საქმეზე გამოძიება დაიწყოს, ასევე სურს, მომხდარით პარლამენტიც დაინტერესდეს.

„პირველი“

კახა კუკავა „ოცნებისა“ და „ნაციონალების“ ფარული გარიგების სქემას შიფრავს

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახაბერ კუკავას პროკურატურაში თითქმის 2 საათის განმავლობაში, მოწმის სტატუსით, 2011 წლის 26 მაისის დარბევასთან დაკავშირებით კითხავდნენ. მართალია, თავადვე ავრცელებდა ინფორმაციას, შესაძლოა, დამაკავონო, თუმცა გამოუშვეს და როგორც „ვერსიასთან“ საუბრისას განაცხადა, ხელშესახები არც არაფერი გამოკვეთილა. დაკითხვამდე ორიოდ დღით ადრე კი იგი კვლავ ქუჩის აქციებზე და კვლავ პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით ვიხილეთ. როგორც თავად ამბობს, ეს სააკაშვილის წინააღმდეგ ხელმოცარულების წინასწარწაგებული თამაშია. წინასწარ იცის ისიც, რომ მისი პარტია შუალედურ საპარლამენტო, მითუმეტეს, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, უფულობის გამო და არც პარლამენტსგარეთ დარჩენილ სხვა პარტიებთან აპირებს კონსოლიდირებას. თუმცა, აქვს საინტერესო პროგნოზი და შეფასება, რომ პრემიერის მიერ გამოცხადებული პოლიტიკური ამნისტია, ანუ „ნაციონალი“ დეპუტატების არდაჭერა, პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების შეკვეცაში გაიცვლება და ამ ცვლილებას პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა შეუგროვდება:

— თქვენზე ამბობენ, მხოლოდ ხელმოცარულები ითხოვენ სააკაშვილის გადადგომასო...

— ნამდვილად არის ეს შეფასებები და არ ვამბობ, რომ არ ვიზიარებ — ფაქტია, ეს სააკაშვილის წინააღმდეგ ხელმოცარულების წინასწარწაგებული თამაშია.

— მერე რატომ მიდიხართ ასეთ თამაშზე?

— უბრალოდ, ჩვენს მეგობრებს სოლიდარობა გამოვუცხადეთ მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, სააკაშვილი არ დამიჯერებს და არ წავა, თუმცა აქციის ორგანიზატორები ჩვენ არ ვართ და დეტალურად არ ვიცით, რა იქნება 20 იანვრის მერე. გამორიცხული არაა, სააკაშვილის რეზიდენციის წინ გაშლილ კარავშიც გვიხილოთ, შესაძლოა — არა. ამას ჩვენი პოლიტსაბჭო გადაწყვეტს.

— პარლამენტმა კი უკვე გადაწყვიტა, რომ სააკაშვილს ვადა ოქტომბერში ეწურება და თქვენი, რამდენიმე ოპოზიციური ლიდერისა და ხალხის დიდი ნაწილის აზრის წინააღმდეგ მიდის.

— ვერ გეტყვით, რომ საქმე ასე დრამატულადაა, მაგრამ ჯამში, ყველაფერს მაინც ხელისუფლება წყვეტს. მიმაჩნია, რომ ახლა, მათ შუალედური, კოპრომისული გადაწყვეტილება მიიღეს — სააკაშვილს შეეკვეცება უფლებამოსილება, მთავრობა და პარლამენტი კი მისი გადაყენების პროცედურას არ დაიწყებს.

— მაგრამ თქვენ ხომ იცით, რომ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნა, იურიდიულად არასწორია, რადგან კონსტიტუციაში საპარლამენტო არჩევნების ოქტომბერში ჩატარების ჩანაწერი არსებობს?

— ასეა, მაგრამ როცა საერთოდ არანაირი ჩანაწერი არ ყოფილა და არც სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადა იყო გასული, მის გადადგომას მაშინაც ვითხოვდით. ახლაც არ ვმალავ, რომ ჩვენს მოთხოვნასა და ხელმოწერებს არანაირი იურიდიული ძალა არ აქვს.

— თუ პარლამენტი იმპიჩმენტს არ მოუწყობს, რასაც არ აპირებს!

— შესაბამისად, იურიდიული მომენტის გამო, სააკაშვილის გადაყენება ტექნიკურად შეუძლებელია. პარლამენტში კი სხვადასხვა არგუმენტთა ნაზავს ვისმენთ, როცა ხალხში სააკაშვილის პოსტზე დატოვების საწინააღმდეგო არგუმენტები უფრო ჩანს. სხვა დანარჩენი კი კულუარებია ისევე, როგორც მოლაპარაკებები დიპლომატიურ კორპუსთან. არაფრის გამორიცხვა შეიძლება, მაგრამ დღეს, უბრალოდ, ვერანაირ მოტივაციას ვერ ვხედავ, რატომ უნდა გადადგეს სააკაშვილი. ამ ორ ძალას შორის ორმხრივი ზეწოლა ახლაც მიმდინარეობს და ეს ჩანს. ამ ბრძოლაში კი სააკაშვილსაც აქვს თავისი ბერკეტები და ივანიშვილსაც.

— თქვენ ბევრად რადიკალური იყავით 2 დღის წინ, როცა საუბრობდით ამ ძალებს შორის

> „ივანიშვილის ნაცვლად, ოპოზიციის სათავეში სხვა რომ ყოფილიყო, პროცესი „ნაციონალებისთვის“ ბევრად მძიმედ ჩაივლიდა და რამდენიმე ასეული ადამიანი დაიღუპებოდა!“

გარიგებაზე და არა, ღია შეთანხმებაზე.

— ამას არც ახლა უარვყოფ, უბრალოდ, როგორც ჩანს, ეს ერთი გენერალური შეთანხმება კი არა, შეთანხმებების კასკადია, რომელთა შედეგებს ვხედავთ, მაგრამ არ ვიცით, ერთმანეთის მიმართ რა კონკრეტულ ვალდებულებებს იღებენ. ელჩები გამოიწვიეს, ამნისტია იწყება, პრეზიდენტი რჩება პოსტზე ვადის ბოლომდე — ეს ყველაფერი მოლაპარაკებების შედეგია. რა თქმა უნდა, სააკაშვილის მიერ 31 დეკემბერს გამოქვეყნებული ხუთპუნქტიანი გეგმა უფრო პროპაგანდისტული იყო, მაგრამ რეალურად, ამ მოლაპარაკებებში სხვა შინაარსსა და სხვა „ხუთპუნქტიან გეგმებზე“ მიდის საუბარი. ამ დროს, რამდენჯერმე ჩამოვარდა სიტყვა „ნაციონალების“ რამდენიმე დეპუტატისთვის უფლებამოსილების შეჩერებაზე და ჩანს, ივანიშვილის მიერ გახმოვანებული ეს პოლიტიკური ამნისტია, მათზეც გავრცელდება, რაც „ნაციონალებისთვის“ სასიცოცხლო ხასიათისაა.

— ამნისტირებული დეპუტატები იმ 100 კაცში შევლენ, ვინც საკონსტიტუციო უმრავლესობას შეავსებს და პრეზიდენტის უფლებამოსილების შესუსტებას მისცემს ხმას?

— სავარაუდოდ, ასე იქნება და ესეც ამ არასაჯარო მოლაპარაკების ერთ-ერთი პუნქტია. ვფიქრობ, „ოცნება“ შეეცდება, საკონსტიტუციო უმრავლესობა სწორედ ამ შეთანხმების პირობებში შედგეს.

— შეგიძლიათ, უმრავლესობისთვის საჭირო „ნაციონალების“ გვარები დააკონკრეტოთ?

— თეორიულად, ეს ნაციონალური მოძრაობის მთელი დეპუტაცია შეიძლება იყოს და ამნისტია ყველას შეეხოს.

— მაგალითად, როლანდ ახალაია?

— რეალურად, „ნაციონალებში“ ძალიან ცოტაა, კლასიკური გაგებით, პოლიტიკოსი, რადგან მათი უმეტესობა აღმასრულებელი ხელისუფლების ყოფილი ჩინოვნიკია. მე დავით უსუფაშვილის განცხადება ასე გავიგე, რომ ყველა დეპუტატი ამნისტირებული იქნება და მათ შორის, ყველაზე ნაკლებად სწორედ როლანდ ახალაია. ეს საკითხი ჩემი ინტერესების სფერო არაა — ხელმოცარული პოლიტიკოსები ვართ და თბილისში ვსხედვართ... ნებისმიერ შემთხვევაში, იმის შანსი უფრო მეტია, ამ ცვლილებაზე საკონსტიტუციო უმრავლესობა შედგეს. ვფიქრობ, ეს პროცესი ახლაც, ჩვენი ინტერვიუს პარალელურადაც მიმდინარეობს და მის შედეგს ჯერ ვერ გავიგებთ. ბოლო-ბოლო, ქვეყნისთვის იქნება უკეთესი, თუ უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდება, ვინაა პასუხისმგებელი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე და რა დოზით ინაწილებს ამ პასუხისმგებლობას ეს ორი ძალა.

— სააკაშვილის მოყვანაში მნიშვნელოვანი წვლილი მიგიძღვით და „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, პარლამენტშიც შეხვედით. მაშინ ივანიშვილი თქვენ პარტიას აფინანსებდა?

— ყველაფერი საკრებულოდან რომ დაიწყო, 2003 წელს არჩევნებში სააკაშვილმა რომ გაიმარჯვა და 2008 წლის არჩევნების მერეც ის რომ დარჩა ხელისუფლებაში, ცნობილია. იმ პარტიების რიგში, ვისაც 2003 წელს ივანიშვილი აფინანსებდა, კონსერვატიული პარტია არ ყოფილა. საერთოდ, ცალკე სუბიექტიც არ იყო, რადგან ბლოკში ვიყავით „ნაციონალებთან“ და საერთო ფინანსები გვქონდა. ეს თემა კოლექტიური განხილვის საგანი არ ყოფილა, მაგრამ, ბუნებრივია, ფინანსებს „ნაციონალები“ აგროვებდნენ და ანაწილებდნენ შტაბებზე... ირიბად გამოდის, რომ ივანიშვილი ჩვენც გვაფინანსებდა იმის მიუხედავად, რომ მასთან არც შეხვედრა გვქონია, არც რაიმე ტიპის ურთიერთობა.

— ამის მერე, ივანიშვილი სააკაშვილს აღარ სწყალობს, ხოლო ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, რომ ოპოზიციიდან გარკვეულ პარტიებს თანაუგრძნობდა, მათ შორის, ფინანსურად. ქუჩაშიმდგომი „კონსერვატორები“ არც მათ რიცხვში იყვნენ?

— მგონი, ამ დროს ივანიშვილი ისევ სააკაშვილის აფინანსებდა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ნამდვილად — არა. შემიძლია გითხრათ, რომ ივანიშვილსა და იმ კონკრეტულ პარტიას შორის, სადაც მე ვიყავი, არასოდეს არანაირი ურთიერთობა არ ყოფილა. შესაძლოა, რომელიმე ცალკეულ ჯგუფს აფინანსებდა, ამის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ რამდენადაც ვარ ინფორმირებული, ეს არც ერთ მსხვილ ოპოზიციურ პარტიას არ ეხება. არც იმის თქმა შემიძლია, რა ჯგუფების დაფინანსება ხდებოდა. ჩემი ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილი 2009-2011 წლებში ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა. მისი მართვის სტილი ახლაც არააგრესიულია და, როგორც ჩანს, ქუჩის აქციებზე უფრო ეფექტურიც. შესაძლოა, ახლა სააკაშვილის შტაბში უფრო განიხილება ობსტრუქციული იდეები.

— და თუ სულ იმას იღებს ივანიშვილისგან, რაც სჭირდება, ეს ობსტრუქცია რაში აძლევს ხელს?

— სააკაშვილი დააკვირდება, მოიკლებს თუ არა ივანიშვილის მიმართ კრიტიკა ქვეყნის გარედან, მოიმატებს თუ არა ქვეყნის შიგნით, იქნება თუ არა პოლიტიკური ერთსულოვნება კოალიციაში და დასტაბილურდება თუ არა ხალხის განწყობა მის მიმართ. ჰოდა, თუ ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, არაა გამორიცხული, იგი მართლაც წავიდეს ობსტრუქციაზე.

— ფაქტია, ხალხიცა და ჩვენც ამ კულუარებსგარეთ ვართ — სწორია, რომ მოლაპარაკებათა მთელი ეს კასკადი ფარულია?

— თუ ხალხი ჯანდაცვით, დასაქმებით, სოფლის მეურნეობითა და სხვა თემებით კმაყოფილი იქნება, არ დაინტერესდება, რა ხდება კულუარებში. ამით დაინტერესებას, როგორც წესი, სწორედ მაშინ იწყებენ ხოლმე, როცა სოციალური მოთხოვნები არ კმაყოფილდება. პოლიტიკურადაც, ჯერჯერობით, ბევრად კმაყოფილი ვარ, ვიდრე შარშან ან შარშანწინ ვიყავი — ჩვენს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, პროვოკაციას არავინ გვიწყობს, საქართველოში ცხოვრება უფრო მშვიდი და უზრუნველია.

— უზრუნველი რაღამ გახადა?

— ქუჩაში „ზონდერები“ რომ არ დარბიან და თავს არ გვიტეხენ, ეს კარგია.

— „ნაციონალებს“ რომ უტეხენ თავს, ეს სწორია?

— ნორმალურია, უფრო სწორად, ბუნებრივი.

— სააკაშვილისთვის იყო ეს ნორმა და თუ ივანიშვილისთვისაც უნდა იყოს, მაშინ რა შეიცვალა?

— თავს თუ გაგიტეხენ და შანსი მოგეცემათ, იმ ადამიანს შემოულაწუნოთ, ვინც ეს ჩაიდინა, ამას, მაღალი ალბათობით, გააკეთებთ. ობიექტურად რომ შევაფასოთ, ბიძინა ივანიშვილის ნაცვლად, ოპოზიციის სათავეში ნებისმიერი სხვა ლიდერი რომ ყოფილიყო, ეს პროცესი „ნაციონალებისთვის“ ბევრად მძიმედ ჩაივლიდა და რამდენიმე ასეული ადამიანი დაიღუპებოდა! დღეს კი, რეალურად, ერთი კაცი, ბაჩო ახალაიაა დაპატიმრებული.

ზვიად ძიძიგური: „ქართულ ოცნებაში“ თვითმმართველობის არჩევნებში პარტიების ცალკ-ცალკე მონაწილეობაზე საუბარი არ ყოფილა“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, ზვიად ძიძიგურის განცხადებით, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ თვითმმართველობის არჩევნებში პარტიების ცალ-ცალკე მონაწილეობაზე საუბარი არ ყოფილა.

ამის შესახებ ძიძიგურმა გაზეთ „პრაიმ-ტაიმის“ პრეს-კლუბში განაცხადა.

„საუბარი არ ყოფილია, მაგრამ არ გამოვრიცხავ, 2014 წლამდე რაიმე შეიცვალოს. ჩვენს ერთობაში ბზარი არ არის და ვმუშაობთ ისე, როგორც ერთი გუნდი. მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა კოალიციას ერთი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს — ბიძინა ივანიშვილი და ალოგიკურია, რაიმეს დაშლაზე ვისაუბროთ“, — განაცხადა ძიძიგურმა.

„პირველი“

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე ჰაკერული თავდასხმა განხორციელდა

სამინისტროს ინფორმაციით, 22:00-დან 23:00 საათამდე აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე კიბერ შეტევა განხორციელდა. ჰაკერმა სახელწოდებით best_hacker, საიტის მთავარ გვერდზე ქართული და ინგლისურენოვანი წარწერები დატოვა.

კიბერშეტევიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, საიტის პარალიზება მოხდა და მისი ფუნქციონირების აღდგენა, ამ დრომდე, ვერ ხერხდება.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო მიმართავს სამართალდამცველ ორგანოებს, დამნაშავე პირების გამოსავლენად, მომხდართან დაკავშირებით, გამოძიება დაიწყოს.

„პირველი“

მამამ შვილი მოკლა და თავი ჩამოიხრჩო

ვანის რაიონში, სოფელ ისრითში პავლე მჟავანაძემ შვილი მოკლა და შემდეგ, თავი ჩამოიხრჩო. როგორც გარდაცვლილების ერთ-ერთი ახლობელი ამბობს, მამა-შვილს ცუდი სიმთვრალე ჰქონდათ და კონფლიქტიც აღნიშნულის ნიადაგზე წარმოიშვა.

მეზობლების თქმით, ჩამომხრჩვალი მამა სამართალდამცავებმა იპოვეს, რომლებიც შვილის მკვლელობის გამო, მის დასაკავებლად მივიდნენ.

პავლე მჟავანაძე 80-ის, მისი შვილი კი 41 წლის იყო. მეზობლები აცხადებენ, მათ ოჯახში კონფლიქტი ხშირად ხდებოდა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

იუსტიციის მინისტრი მართლმადიდებელ სასულიერო პირებსა და მრევლს ხვდება

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ მართლმადიდებელი სასულიერო პირებისა და მრევლის იუსტიციის მინისტრთან, თეა წულუკიანთან შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე ელექტრონული მოწმობების საკითხი განიხილება.

მართლმადიდებელმა ეკლესიამ 200–მდე ტაძარში 30 000 ხელმოწერა შეაგროვა. ხელმომწერთა მოთხოვნაა შეწყდეს საქართველოს მოქალაქეებზე, იძულებითი წესით, ახალი საბუთების: ელექტრონული პირადობის მოწმობების, ბიომეტრიული პასპორტებისა და სხვადასხვა პლასტიკური ბარათების გაცემა. მათი მოთხოვნით, აღნიშნული დოკუმენტაციის აღება ნებაყოფლობითი გახდეს და სახელმწიფოში ყველგან შენარჩუნდეს ფულადი ერთეულის გადახდა, როგორც ეს მრავალ ქვეყანაშია მიღებული.

როგორც მამა მალხაზ ყიფიანმა განაცხადა, ბიომეტრიული პასპორტები ადამიანის კონტროლის საშუალებას იძლევა, რადგან თუ ადამიანზე გაქვს კომპრომატი, შესაძლებელია მასზე კონტროლი.

ამ საკითხს საფრთხის შემცველად აღიქვამს მორწმუნე საზოგადოება და არა მხოლოდ მორწმუნე საზოგადოება.

„ამაში ჩადებულია საფრთხის შემცველი კონტროლის მექანიზმი, როდესაც ადამიანზე კომპრომატი გაგაჩნია, შეგიძლია ის თავისუფლად მართო“,– განაცხადა მამა მალხაზ ყიფიანმა. შეხვედრის დაწყებისას იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმაც გააკეთა კომენტარი და განაცხადა, რომ მართლმადიდებელი მრევლის მოთხოვნებზე მას პასუხები ვერ ექნება, რადგან თავდაპირველად მხოლოდ მოისმენს. შეხვედრა გაცნობითი ხასიათისაა და **ID** ბარათებთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე პასუხს მოგვიანებით გასცემს.

„მართლმადიდებელთა კრებული არის ის ჯგუფი, რომელსაც ძალიან აწუხებს ID ბარათების თემა და ეს მათ რელიგიურ თავისუფლებას უზღუდავს, ასევე ხელყოფს პირადი მონაცემების დაცვას, რაც არის მათი კონსტიტუციური უფლება. მე მოვედი იმისთვის, რომ მოვისმინო, თუ რა არის მათი წუხილის საფუძველი“, – განაცხადა თეა წულუკიანმა

„მედიანიუსი“

მაშველები ზვავში მოყოლილი სამი რუსი მთამსვლელის ამოყვანას ვერ ახერხებენ



მაშველები ყაზბეგში ზვავში მოყოლილი სამი რუსი მთამსვლელის ამოყვანას ვერ ახერხებენ. მიზეზი ცუდი ხილვადობაა. ვარაუდობენ, რომ ზვავში მოყოლილები უკვე გარდაცვლილები იქნებიან.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის, შალვა ელოშვილის განცხადებით, რუსი მთამსვლელები ზვავში 10 იანვარს, გამთენიისას მოყვნენ. შემთხვევა გერგეთის სამებასა და მეტეოსადგურს შორის მოხდა. ისინი მყინვარწვერიდან ბრუნდებოდნენ.

ადგილზე ოთხი პირი იმყოფებოდა, თუმცა ერთი არასრულწლოვანის გადარჩენა მოხერხდა. მას თითები აქვს მოყინული და ამჟამად, ყაზბეგის საავადმყოფოშია მოთავსებული.

„ჯი-ეიჩ-ენი“

კორუფციული სქემა, რის გამოც „კემპინსკის“ წარმომადგენლებმა საქართველო დატოვეს

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

რა კავშირი აქვს „დაბი ჯგუფის“ ხელმძღვანელის აფერასთან ვანო მერაბიშვილს და რა ინფორმაციას ეღებება არაბი შეიხი საქართველოს პროკურატურისგან?

მთავარი პროკურატურა არაბული „დაბი ჯგუფის“ ერთ-ერთი მენეჯერის, სამი ედუარდსისა და ქართველი მაღალჩინოსნების თაღლითური სქემის დეტალებს სწავლობს. გამოძიების დასრულებასა და მტკიცებულებებს ელოდება „დაბი ჯგუფის“ მმართველი შეიხი, რომელმაც 2010 წელს საქართველოში დაწყებული პროექტები შეაჩერა. „დაბი ჯგუფი“ საქართველოში საერთაშორისო ინვესტიციების საკოორდინაციო ცენტრმა შემოიყვანა. ამ ცენტრის დირექტორი გიორგი სეთურიძე, „ვერსიას“ იმ კორუფციულ სქემას უშიფრავს, რომლითაც სამი ედუარდსმა, ვანო მერაბიშვილმა და გიგი უგულავამ პრეზიდენტის განკარგულება თვითნებურად შეცვალეს და თბილისის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს უკვე დამტკიცებული კონცეფციის ნაცვლად, 135-მეტრიანი და 40-სართულიანი სასტუმროს პროექტი დაამტკიცეს.

გიორგი სეთურიძე გვიამბობს, რომ „დაბი ჯგუფი“ საქართველოში, 2007 წელს შემოიყვანეს. თავდაპირველად, მას „კორ სტანდარტ ბანკის“, „ტელეკომ საქართველოსა“ და რუსთაველის გამზირზე, ყოფილი იმელის შენობაში, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობის პროექტი უნდა განეხორციელებინა. 2008 წლის გაზაფხულზე, ამ სასტუმროს პროექტი არაბულმა „დაბი ჯგუფმა“, რუსული „კაპიტალ ვოსტოკისგან“ 22 000 000 აშშ დოლარად შეიძინა, მოსამზადებელი სამუშაოებიც დაიწყო, მაგრამ აგვისტოს ომის გამო ეს პროექტი შეჩერდა: **„აგვისტოს ომის შემდეგ, „დაბი ჯგუფი“ სერიოზულად ფიქრობდა, გაეგრძელებინა თუ არა ინვესტიციები საქართველოში, მაგრამ პროექტების შეჩერება გადავაფიქრებინეთ. ჩვენი თხოვნის შემდეგ, „დაბი ჯგუფმა“ საქართველოს ეკონომიკაში კიდევ რამდენიმე ათეული მილიონი აშშ დოლარი ჩადო. ძირითადი აქცენტი „კორ სტანდარტ ბანკსა“ და სატელეკომუნიკაციო პროექტზე გადავიტანეთ. „ტელეკომ საქართველოს“ ლიცენზიისთვის, ჯგუფმა ჯერ 12 000 000 აშშ დოლარი გადაიხადა, ამის შემდეგ წინა მოსამზადებელ სამუშაოებში, დამატებით 10 000 000 აშშ დოლარიც დახარჯა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს პროექტი შიდაპოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, მაინც დახურეს. საქართველოს ინტერნეტ-ბაზარზე, ხელისუფლება ისე ძლიერად ლობირებდა კონკურენტ კომპანიებს, რომ არაბმა შეიხებმა ასეთ პირობებში მუშაობა გადაიფიქრეს. ფაქტობრივად, „დაბი ჯგუფმა“ ამ პროექტში 22 000 000 შშ დოლარი დაკარგა, სამაგიეროდ, დღეს არსებობს ლიცენზია, რომელიც აღარაფერს წარმოადგენს. რაც შეეხება სასტუმროს მშენებლობას, პროექტზე მუშაობა 2009 წლის ზაფხულში განვაახლეთ. შევიმუშავეთ დაფინანსების გეგმა, მოლაპარაკებები გავმართეთ რამდენიმე ევროპულ ბანკთან, რომლებიც მზად იყვნენ, დაეფინანსებინათ ეს პროექტი. საბოლოოდ, დამფუძნებლებისთვის ფინანსური გეგმაც შევიმუშავეთ და როდესაც ეს ყველაფერი დამტკიცდა, მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სწორედ იმ დროს გააძლიერეს ბიზნესში ჩარევა. ამას ისიც დაერთო, რომ „დაბი ჯგუფის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, სამი ედუარდსი იმ პერიოდში გამოჩნდა. მას საკმაოდ უარყოფითი იმიჯი აქვს აბუ-დაბიში, რადგან ცნობილია, რომ სამი ედუარდსი „ატკატჩიკია“, მაგრამ რატომღაც მას დაავალეს, რომ ამ პროექტისთვის ფული ჩაედო. სამი ედუარდსს პროექტების დასაფინანსებელი თანხები არ ჰქონდა და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან კორუფციულ გარიგებაში შესულიყო. მასთან უშუალო კონტაქტი ჰქონდა მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს, რომელსაც საკმაოდ ხშირად სტუმრობდა კიდეც. მეტიც, სამი ედუარდსს ვანო მერაბიშვილის მანქანა ემსახურებოდა. მოგვიანებით, მას თბილისის მერი გიგი უგულავაც დაუკავშირდა“,** — გვიამბობს გიორგი სეთურიძე.

თუკი სამი ედუარდსს მთელ აბუ-დაბიში არავინ ენდობა, საინტერესოა, როგორ მოხვდა მსოფლიოში ცნობილი კომპანია „დაბი ჯგუფის“ ხელმძღვანელის პოსტზე? შეგახსენებთ, „დაბი ჯგუფს“ არაბეთის გაერთიანებული საემიროების შეიხების ალ ნაჰაიანების გვარი ფლობს. მათ შორისაა შეიხი ნაჰაიან მაბარაქ ალ ნაჰაიანი. გიორგი სეთურიძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ სამი ედუარდსის კუთვნილი კომპანია „დაბი კონტრაქტინგი“, აბუ-დაბიში, ალ ნაჰაიანის ფრთის ქვეშ მუშაობს: **„იქაური სისტემა ასეთია — წელიწადში ერთხელ, ერთი ფრთის ქვეშ გაერთიანებული კომპანიები შეიხს ანგარიშს აბარებენ და დეტალურად უხსნიან, რამდენია მათი წლიური მოგება. როგორც წესი, შეიხს ამ კომპანიების მოგება არ აინტერესებს და ის მათგან წილს არ იღებს, მაგრამ ამ მოგებას სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად იყენებს. სამი ედუარდსმა ისეთი ანგარიში წარადგინა, რომლითაც 160 000 000 აშშ დოლარის წლიური მოგება აჩვენა, ამიტომ შეიხმა გადაწყვიტა, რომ საქართველოში განსახორციელებელი პროექტები სწორედ მას დაეფინანსებინა. სამი ედუარდსს კი ანგარიშში წარდგენილი თანხა არ აღმოაჩნდა, რადგან ფულის ნაცვლად, მიწის ნაკვეთი ჰქონდა ჩადებული, რომელიც დუბაიში შეიძინა. ჩანს, ვარაუდობდა, რომ ამ მიწის ნაკვეთს გაყიდდა და ფულს იშოვიდა. სამი ედუარდსმა მიწის ნაკვეთი ვერ გაყიდა და თავისი თაღლითობის დაფარვას შეეცადა. თავდაპირველად, საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებასა და საერთაშორისო ინვესტიციების საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელებს შორის ურთიერთობა გააფუჭა, შემდეგ აბუ-დაბიში ჩავიდა და შეიხს უთხრა, რომ „დაბი ჯგუფის“ საქართველოში წარმომადგენლებს ქვეყნის ხელისუფლებასთან ცუდი ურთიერთობა აქვს. შეიხი ახლა ინფორმაციულ ვაკუუმშია, მაგრამ როდესაც გამოძიების შედეგად, ქართველი სამართალდამცველები კონკრეტული ფაქტებით დაამტკიცებენ, რომ სამი ედუარდსი, ვანო მერაბიშვილი და გიგი უგულავა თაღლითები არიან, შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს. ახლა შეიხი სწორედ ამ მასალებს ელოდება, საზოგადოებას კი სჭირდება, რომ ახალი ხელისუფლების მარიფათი დაინახოს“.**

პირველი პროექტის მიხედვით, რუსთაველის გამზირზე, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობა სასტუმროების ქსელ „კემპინსკის“ წარმომადგენლებს უნდა განეხორციელებინათ. 2010 წელს, „კემპინსკის“ წარმომადგენლებმა საქართველო მოულოდნელად დატოვეს. ამის შესახებ ოფიციალური განცხადება არ გაკეთებულა. არც მიზეზი დასახელებულა, რატომ დატოვეს საქართველო „კემპინსკის“ წარმომადგენლებმა, ან რატომ არ იძებნება არცერთ საძიებო სისტემაში „დაბი ჯგუფის“ საქართველოს წარმომადგენლობის, ან რომელიმე წარმომადგენლის კოორდინატები. გიორგი სეთურიძე „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ეს ყველაფერი სამი ედუარდსის თაღლითობის შედეგია: **„არსებობს „ფაინდერს კონტრაქტი“, ანუ ეს არის საშუამავლო პროცენტი სასტუმროს მფლობელსა და ოპერატორს შორის. რეალურად, „ფაინდერს კონტრაქტი“ არის შუამავალი, რომელიც სასტუმროსათვის ოპერატორს ეძებს. „კემპინსკისთან“ „ფაინდერს კონტრაქტი“ არ გვქონია და ეს კომპანია არც არავის გადაუხდიდა საშუამავლოს, ამიტომ სამი ედუარდსი მაქსიმალურად შეეცადა, „კემპინსკისთან“ ხელშეკრულება არ გაფორმებულიყო. ჩამოიყვანა რომელიღაც საშუამავლო ჯგუფი, რომლებმაც ახალი კომპანია „მილენიუმი“ მოძებნა და „ფაინდერს კონტრაქტი“ მასთან გაფორმდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სასტუმროს შემოსავლებიდან 2-3% მუდმივად გერგება, რაც საკმაოდ დიდი თანხაა. შესაბამისად, სამი ედუარდს სერიოზული მოტივაცია ჰქონდა, რომ „კემპინსკისთან“ საქმე გაეფუჭებინა. არადა, ასეთ დიდ კომპანიასთან საქმის გაფუჭება ქვეყნის იმიჯის შელახვას ნიშნავს, რადგან დიდი ქსელური კომპანიების ხელმძღვანელებს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა აქვთ. დამიჯერეთ, „რიც კარტონის“, „კონტინენტალისა“ და „კემპინსკის“ პრეზიდენტები ერთმანეთს გადასარევად იცნობენ და შეხვედრების დროს, ამა თუ იმ ქვეყნის შესახებ, საკუთარ აზრსაც გამოთქვამენ. ცხადია, მათ შორის კონკურენციაა, მაგრამ, პირველ რიგში, ისინი კოლეგიალურ ურთიერთობას იცავენ. წინა ხელისუფლება ბევრს ეცადა, „კემპინსკისთან“ ურთიერთობა შეენარჩუნებინა, მაგრამ სამი ედუარდსის თაღლითობის მსხვერპლად იქცა და ქვეყნის იმიჯიც დააზიანა. აი, ეს იყო რეალური მიზეზი, რის გამოც 2010 წლის დასაწყისში, არაბმა შეიხმა საქართველოში ყველა პროექტი გააჩერა“.**

მართალია, შეიხმა პროექტები შეაჩერა, მაგრამ გიორგი სეთურიძე აცხადებს, რომ სამი ედუარდსი და ის ჯგუფი, რომელსაც ეს ობიექტები ხელში აქვს ჩაგდებული, ეცდებიან რაღაც მაინც გააკეთონ. 2012 წლის 7 ოქტომბერს, მაშინ როდესაც არჩევნებში გამარჯვებულ ძალას ხელისუფლება ჯერ კიდევ გადაბარებული არ ჰქონდა, დამტკიცდა სულ სხვა პროექტი. სეთურიძე ამბობს, რომ რუსთაველის გამზირზე 135-მეტრიანი და 40-სართულიანი სასტუმრო უნდა აშენდეს, რომელიც თავის დროზე, შეიხის მიერ მოწონებულ პროექტს აბსოლუტურად ეწინააღმდეგება: **„აშკარაა, რომ სასტუმროს ნაცვლად, 40-სართულიან შენობაში კომერციული ფართები განთავსდება და აქ სულ სხვა ინტერესებია ჩადებული. სამწუხაროდ, არავინ ფიქრობს, რომ რუსთაველის გამზირზე, 40-სართულიანი სასტუმროს ოპერირება წარმოუდგენელია. კულტურის სამინისტრომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც სასტუმროს მენეჯერებს მიუთითა, პროექტი ძველი ქალაქის იერსახესა და არქიტექტურულ მემკვიდრეობასთან შესაბამისობაში მოიყვანონ. სამი ედუარდსი ამ სამი წლის მანძილზე, გამუდმებით ცდილობს, შეიხს თვალები აუხვიოს და საკუთარ პარტნიორებსაც ატყუებს. შეიხთან შეთანხმებული გვქონდა, რომ ამ სასტუმროს „კემპინსკი“ ააშენებდა, მან კი ეს კომპანია არც ისე ცნობილი „მილენიუმით“ ჩაანაცვლა. საქართველოს პრეზიდენტის დადგენილებაში გარკვევით წერია, რომ რუსთაველის გამზირზე უნდა აშენდეს ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „კემპინსკი“, ანუ სამი ედუარდსმა თავისი თაღლითობით, პრეზიდენტის დადგენილებაც დაარღვია. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ აფერისტი სამი ედუარდსი და კორუმპირებული ჩინოვნიკი ვანო მერაბიშვილი, რეალური ინვესტორის ხარჯზე გარიგდნენ და „დაბი ჯგუფმა“, შეიხმა და საქართველოს სახელმწიფომ იზარალეს. სამი ედუარდსი ქურდი, მატყუარა და ავანტიურისტია, მის შესახებ მთავარ პროკურატურაშიც იციან. ამ თაღლითურ სქემაში კი ქართველი მაღალჩინოსნებიც მონაწილეობდნენ“.**

გიორგი სეთურიძემ „ვერსიას“ ისიც განუცხადა, რომ „ტრამპთაუერის“ პროექტი, რომლის მაკეტიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ექსმინისტრმა ვერა ქობალიამ, საქართველოს პარლამენტში წარადგინა, სამი ედუარდსის შედგენილი იყო. სინამდვილეში, დონალდ ტრამპი სულაც არ აპირებდა საქართველოში „ტრამპთაუერის“ აშენებას და ესეც სამი ედუარდსის მორიგი აფერაა.

„ნაციონალები“ სააკაშვილს პოლიტიკურ ამნისტიაში გაცვლიან

პრეზიდენტის პარტიის რომელი წევრები მოხვდებიან პოლიტამნისტირებულთა სიაში და ვისი საქმეების განხილვას დაიწყებს ბესელიას კომიტეტი 14 იანვრიდან

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

პრეზიდენტის ვეტო დაძლეულია, პოლიტიკური გადაწყვეტილება — მიღებული. 13 იანვრიდან ციხეს პოლიტპატიმრის სტატუსიანები დატოვებენ, ხოლო პოლიტდევნილებს ქვეყანაში დაბრუნება შეეძლებათ! თავად კოალიცია „ოცნებაშიც“ ამნისტიის კანონისადმი სხვადასხვა დამოკიდებულება იყო თუმცა ახლა ამ კანონს მეორე, პოლიტიკური ამნისტია მოჰყვება, რაც უკმაყოფილოს კიდევ უფრო მეტს დატოვებს: პრემიერის მიერ უკვე გახმოვანდა ინიციატივა, რომელიც, ჯერჯერობით, გაურკვეველი ფორმულირებისაა, მაგრამ უხეშად ასე ჟღერს — „ოცნება“, კოჰაბიტაცია-გარიგების სანაცვლოდ, „წვრილ“ „ნაციონალებს“ არ დაიჭერს. ცხადია, ამ კანონპროექტსაც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი მოამზადებს, ამიტომ ძველ და ახალ ამნისტიაზე „ვერსიას“ ეკა ბესელია ესაუბრება და უმხელს — რომელი „ნაციონალი“ შეიძლება მოხვდეს პოლიტამნისტირებულთა სიაში და ვისი საქმეების განხილვას დაიწყებს მისი კომიტეტი 14 იანვრიდან.

— ამ კანონის მიღება ჩვენი ვალდებულება იყო და ხელისუფლებაში რომ მოდიხარ, პირველ რიგში, სწორედ ის ადამიანები უნდა გაგახსენდეს, ვინც რეჟიმს შენთან ერთად ებრძოდა. ეს კანონი იყო რეჟიმის გასამართლება, რადგან საპარლამენტო დონეზე ქვეყანაში პოლიტპატიმრები აღიარეს!

— სად გასამართლდა რეჟიმი, ან როგორ, მორალურად?

— არამარტო მორალურად. სააკაშვილის დემოკრატია მითი იყო, ამიტომ გაავდა პრეზიდენტი, ჩვენზე მოიტანა იერიში და ვეტოც ამიტომ დაადო კანონს.

— კანონს, რომელიც თქვენივე გუნდის წევრებს, მინისტრ ღარიბაშვილს, დეპუტატ დავითაშვილს არ მოსწონდათ...

— კობა დავითაშვილმა, საბოლოოდ, ხმა მისცა ამ კანონს და ჩვენს გუნდში ერთსულოვნება იყო. რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილს, მინდა, საჯაროდ ვთქვა, ასეთი მინისტრი შს სამინისტროს არც ჰყოლია და არ ვიცი, კიდევ როდის ეყოლება. ეს ამ 2 თვეში არ გადამიწყვეტია, მას ჩვენი ბრძოლის პირველივე დღიდან ვიცნობ და ამიტომ ვაკეთებ ასეთ ხმამაღალ განცხადებას. თავად მისი ფრაზები კი არასწორად აღიქვეს.

— თქვენ როგორ აღიქვით ოქრუაშვილის ფრაზა, რომ მის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას სათავეში მისივე ადვოკატი, ბესელია უდგას? შესაძლოა, მალე ციხიდან საერთოდ გამოვიდეს, თქვენსკენ კი კვლავ თითს გამოიშვერენ, გაფუჭებული ურთიერთობის გამო, თავისი პარტიის ექსლიდერი დაბლოკა პოლიტპატიმრების სიაშიო...

— ასე არ უთქვამს, ეს დამახინჯებული ფრაზაა. ვერ მაჩვენებთ ოქრუაშვილის მიერ ჩემს წინააღმდეგ გაკეთებულ მსგავს განცხადებას და კიდევ ერთი — ის ამ სიაში მე არ დამიბლოკავს.

— ყველას ასე რომ არ ეფიქრა, მისი დაცვისას ზედმეტიც მოგვიდათ — ხალხს პირობა მიეცით, რომ მის საქმეს მომავალში განიხილავთ. როდის დაიწყება შემდეგი განხილვები?

— ნამდვილად ასე იყო, ოქრუაშვილზე აქცენტს საგანგებოდ ვაკეთებდი, რათა ვინმეს არ ეფიქრა, თითქოს ჩემმა პირადმა განწყობამ გადაწყვეტილებაზე იმოქმედა. ახლაც მიმაჩნია, რომ სასამართლომ, პატიმრობაში მისი დატოვებით, არასწორი გადაწყვეტილება მიიღო და სწორია, პროკურატურამ რამდენიმე ეპიზოდზე ბრალი რომ მოუხსნა. პარტიიდან წამოსვლის შემდეგ, ირაკლისთან არანაირი კომუნიკაცია არ მქონია, მაგრამ გადაწყვეტილების მიღების დროს, სამართლიანი პოზიცია დავიჭირე. ახლაც ვამბობ — ოქრუაშვილი პოლიტიკური დევნილი იყო და მას მხარს ვუჭერდი, თუმცა კომიტეტი სასამართლოს გადაწყვეტილებას დაელოდა.

— თქვენი და ოქრუაშვილის ურთიერთობა პარტიიდან წამოსვლის მერე დახურული თემა გახდა, რატომ?

— თემა ახლაც დახურულია! როცა ადვოკატი ხარ, არსებობს ეთიკური ნორმა — შენი დაცვის ქვეშ მყოფის საწინააღმდეგო განცხადებები არ უნდა გააკეთო. ახლა იგი ჩემი დაცვის ქვეშ აღარაა, მაგრამ ამას უკვე პირადი ეთიკიდან გამომდინარე არ ვაკეთებ. ჩემი საჯარო განცხადებები ოქრუაშვილს მხოლოდ ეხმარება, არ აზიანებს!

— კულუარული?

— კულუარულად, საერთოდ, არაფერს ვაკეთებ.

— იმ კომისიას, რომელიც, ალბათ, ოქრუაშვილის საქმესაც გადახედავს, ვადა ერთი თვით გაუგრძელდა, მაგრამ ვერავინ გაიგო, წინა ვადა როდის დასრულდა. იქნებ, ვადებში გაგვარკვიოთ?

— ეს არა კანონით დადგენილი ვადა, არამედ პირობითი დათქმა იყო. შესაბამისად, პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, მეორე ერთთვიანი ვადა ამოქმედდება. 13 იანვარს განაჩენის აღსრულება დაიწყება, სავარაუდოდ, 14 იანვრიდან კი, ერთი თვის ვადაში, განსახილველად შემდეგ საქმეებს მოვამზადებთ. ამას, შესაძლოა, ერთი თვე არც ეყოს...

— მოკლედ, გაქვთ 3 000-მდე განცხადება და აქედან, რამდენიმე ცნობილი გვარი დამისახელეთ, ვისი საქმეების განხილვასაც პირველ რიგში აპირებთ...

— 2 თვეში კომიტეტმა რეკორდული რაოდენობის, 3 000-ზე მეტი წერილი მიიღო და ახლა იმ საქმეთა განხილვა დაიწყება, რაც წინაზე ვერ მოვასწარით. ერთს გეტყვით, ყველა დარჩენილი საქმის განხილვის ვალდებულება გვაქვს. განხილვაზე უარს ვერავის ვეტყვით, მაგრამ წინასწარ არ ვიცით, რომელ საქმეზე, რა რეკომენდაცია დაიდება. მაგალითად, შემიძლია გითხრათ, რომ

> **ლევან პირველის საქმე არ იხილება, რადგან მას აქვს პოლიტიკური თავშესაფარი ავსტრიაში, ხოლო საქართველოში ამ დრომდე, მის წინააღმდეგ არანაირი საქმე არაა აღძრული და არც ეჭვმიტანილის სტატუსი გააჩნია. შესაბამისად, კომიტეტი მისი საქმის განხილვას აღარ აგრძელებს. ამ თემაზე მასთან კომუნიკაციაც გვქონდა და ასე შევჯერდით. შემიძლია, ისიც გითხრათ, რომ დავიწყებთ გოჩა ძასოხოვის, ვანო ჩხარტიშვილის, ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის მამუკა ნიკოლაიშვილის საქმეების განხილვას. დარჩენილი გვაქვს 80-ზე მეტი საქმე.**

— პარალელურად, საუბარია მეორე, პოლიტიკურ ამნისტიაზე, რომლის ფორმულირებაც აბსოლუტურად გაურკვეველია...

— ამ ამნისტიასთან დაკავშირებით, ბუნდოვანება მანამ იქნება, სანამ ტექსტზე მუშაობას არ დავიწყებთ. როგორც კი შევთანხმდებით პრინციპებზე, ვისზე, რა პირობით და რა ვადაზე უნდა გავრცელდეს ამნისტია, ყველაფერი გასაგები გახდება. წინასწარ ძნელია თქმა, ეს იდეა კანონპროექტის რა კონკრეტულ სახეს მიიღებს.

— ეს უკვე ცუდად გახმოვანებული იდეაა — საუბარია იმაზე, რომ ამნისტირებულები იქნებიან ძველი მთავრობის საშუალო და დაბალი რგოლები ანუ აპრიორი ამბობთ, რომ ამნისტია არ შეეხება ზურაბ ადეიშვილს, ბაჩო და დავით ახალაიებს — მაშინ რაში სჭირდებათ თქვენი ამნისტია „ნაციონალებს“?

— რატომ, ლიდერებს მხოლოდ საკუთარი თავი ადარდებთ და სხვა ყველაფერი წყალსაც წაუღია?! ასეც რომაა, ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ მოდით, ეს თავად თქვან! სააკაშვილის სისტემაში ვინც კი საჯარო მოხელე იყო, თითქმის ყველა ჩაითრიეს სხვადასხვა უკანონო ქმედებებში. ახლა ყველას რომ მიდგე და გაასამართლო, ამას არც ადამიანური რესურსი ეყოფა და არც საზოგადოებას მოეწონება ქვეყანაში მუდმივი დაჭერები. არის შანსი, სამართლიანობამაც იზეიმოს და ეს მუდმივი დაჭერებიც ავიცილოთ თავიდან.

— ანუ ამნისტია შეეხება „ჩათრეულებს“ და არა „ჩამთრევებს“?

— ამაზე მხოლოდ ჩემი მოსაზრება შემიძლია ვთქვა — დიახ, ასე იქნება. პოლიტიკური ამნისტია არ შეეხება ადამიანებს, ვინც სისტემის სათავეში იდგა. თუ ეს ხალხი ხელშეუხებელი დარჩა, მაშინ არ მესმის, რას ნიშნავს სამართლიანობის აღდგენა.

— რაკი ამ კანონპროექტის ტექსტსაც თქვენი კომიტეტი ამზადებს, იქნებ გვითხრათ, როდის მიიღებს იგი დასრულებულ ფორმას და როგორი იქნება ეს კანონპროექტი, სავარაუდოდ?

— პარლამენტი ერთ კვირაში რიგგარეშე სხდომაზე შეიკრიბება, თუმცა ვადა არაა განსაზღვრული. არ ვიცი, პარლამენტი, საერთოდ, რას გადაწყვეტს, შემიძლია, ჩემი ხედვა ვთქვა — მაღალი თანამდებობის პირები, ვინც ქმნიდა რეჟიმს, პასუხსაც აგებენ! ხოლო ქვედა რგოლები, დაბალი რანგის მოხელეები, ვინც ამ რეჟიმის მძევლები იყვნენ და მათი დანაშაული ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო, პოლიტიკურ ამნისტიაში მოხვდებიან.

— ახლა განმიმარტეთ, „დაბალი რანგისა“ ვინ არის და რა შეიძლება იყოს „ნაკლებად მნიშვნელოვანი“ დანაშაული?

— მაგალითად, კანცელარიის თანამშრომელმა დოკუმენტი იმიტომ თუ გააყალბა, რომ ეს ზურაბ ადეიშვილმა დაავალა, ორივე ერთნაირად ვერ დაისჯება. ესაა პრინციპი.

— ესაა თემა, რაზეც უკვე გაჩნდა აზრი, რომ ამით ივაჭრებთ „ნაციონალ“ დეპუტატებთან მათი ხმების მისაღებად საკონსტიტუციო ცვლილებისთვის და კანონს ისეთ ფორმულირებას მისცემთ, რომ ამ დეპუტატებს პოლიტიკურ ამნისტიაში „მოახვედრებთ“!

— ამ კანონში სახელები და გვარები არ იწერება, იწერება პრინციპები!

— პრინციპები შეგიძლიათ, კონკრეტულ გვარებს მოარგოთ!

— თუ შედგება შეთანხმება, შედგეს თუ არადა, გადაწყვეტილება მაინც იქნება მიღებული. რადგან იდეის შესახებ ითქვა, გარკვეული პოლიტიკური დოკუმენტი ნებისმიერ შემთხვევაში მომზადდება. სხვა საკითხია, რა კონკრეტულ შინაარსს შეიძენს იგი.

პროკურატურაში 26 მაისის საქმის გამოძიება მიმდინარეობს

საქართველოს მთავარი პროკურატურა, 2011 წლის 26 მაისის მოვლენების გამოძიებას ინტენსიურ რეჟიმში ანარმოებს.

ამის შესახებ „ნიუსპრესს“ მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა, დავით ბაინდურაშვილმა განუცხადა.

ბაინდურაშვილის თქმით, უკვე დაკითხულია მოწმეთა ნაწილი, თუმცა საქმე საკმაოდ დიდია და უამრავ ეპიზოდს შეიცავს. მისივე თქმით, ბრალეულობასთან დაკავშირებით, იკვეთება გარკვეულ პირთა წრე, თუმცა მათ ვინაობას ამ გამომძიებელი არ აკონკრეტებს.

რაც შეეხება გამოძიების დასრულების თარიღს, ბაინდურაშვილის განცხადებით, სამუშაოების სიდიდიდან გამომდინარე, გამოძიების დასრულების თარიღის მიახლოებით თქმაც კი, ამ ეტაპზე შეუძლებელია.

„ნიუსპრესი“

ბაგრატის ტაძართან დაკავშირებით, UNESCO-ს ახალ დოკუმენტაციას წარუდგენენ

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, გურამ ოდიშარიას განცხადებით, ქართული მხარე ბაგრატის ტაძართან დაკავშირებით, ახალი დოკუმენტაციის წარდგენას UNESCO-ს კომიტეტის სესიაზე, 1 თებერვლისთვის შეეცდება, — ამის შესახებ ოდიშარიამ პარიზში, UNESCO-ს გენერალური დირექტორის მოადგილე ფრანჩესკო ბანდარინისთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე ბაგრატის ტაძრის საკითხიც განიხილეს. UNESCO-ში აღინიშნა, რომ ბაგრატის განახლების პროექტი არ იყო მათთან შეთანხმებული; არ იქნა დაცული რეკონსტრუქციის კრიტერიუმები, რაც ტაძრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხიდან ამოვარდნას გამოიწვევს. ბანდარინიმ აღნიშნა, რომ დაირღვა ძეგლის ავთენტურობა და როგორც თვითმყოფადი ნიმუში, ის ნუსხაში ვეღარ დარჩება. ფრანჩესკო ბანდარინი ქართულ მხარეს ერთგვარი კომპრომისული ფორმის მოძიებას სთავაზობს.

მინისტრის მოადგილის, მარინე მიზანდარის განმარტებით, შესაძლოა, მოხდეს ახალი საზღვრების დადგენა გელათის ნომინაციაში, სადაც აქცენტი, უდავოდ, გადავა გელათზე, ხოლო ბაგრატი დიდი ძალისხმევის შედეგად, შესაძლოა, მოექცეს მის არეალში. იგულისხმება არა მხოლოდ გეოგრაფიული არეალი, არამედ ისტორიულ-მხატვრული ღირებულებები და სხვა უამრავი საკითხი, რითაც საქართველო ბაგრატის დაცვას შეძლებს.

გურამ ოდიშარიას თქმით, ქართული მხარე ახალი დოკუმენტაციის მომზადებას და პირველ თებერვალს, UNESCO-ს კომიტეტის სესიაზე წარდგენას შეეცდება.

ოდიშარიამ და მიზანდარმა შეხვედრა ასევე იკომოსში (ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭო) გამართეს. მინისტრი და მისი პირველი მოადგილე იკომოსის მსოფლიო მემკვიდრეობის პროგრამის დირექტორმა, რეგინა დურიგელომ მიიღო. შეხვედრაზე აქცენტი ბაგრატსა და მცხეთის ძეგლებზე გაკეთდა, საუბარი ასევე მომავალ თანამშრომლობასაც შეეხო.

მინისტრი და მისი მოადგილე ფრანგულ-გერმანული არხის, ტელეკომპანია „არტეს“ გენერალურ დირექტორსა და საერთაშორისო პროგრამების დირექტორსაც შეხვდნენ. საუბარი საქართველოში „არტეს“ ტიპის კულტურულ-შემეცნებითი არხის ამოქმედებას შეეხო.

ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრა ბრიუსელში, ქართულ სათვისტომოსთანაც გაიმართა.

„პირველი“

სოზარ სუბარი სოფელ ლაითურში მშენებარე ციხის პროექტის გადაკეთებას გეგმავს

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი სოზარ სუბარი გურიაში, სოფელ ლაითურში მშენებარე ციხის პროექტის გადაკეთებას გეგმავს. როგორც ჟურნალისტებთან სოზარ სუბარმა განმარტა, ციხის მშენებლობა, რომელიც ამჟამინდელი პროექტის მიხედვით, 4 300 პატიმარზეა გათვლილი, მიზანშეწონილი არ არის და ახალი პროექტის მიხედვით, ციხე მინიმუმ, 1 500 პატიმარზე იქნება გათვალისწინებული. **„მიგვაჩნია, რომ ამ მასშტაბით ციხეების მშენებლობა მიზანშეწონილი არ არის, მით უმეტეს, ასეთ მიუდგომელ ადგილას, თუმცა მშენებლობა დაწყებულია, გარკვეული თანხა დახარჯულია, ამიტომ მშენებლობის შეჩერებას არ ვაპირებთ, უბრალოდ, პროექტი უნდა გადავაკეთოთ“.**

შეგახსენებთ, რომ ლაითურის ციხე იქნება დახურულ მკაცრი რეჟიმის საპყრობილე, სადაც ის მსჯავრდებულები განთავსდებიან, რომლებსაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი.

„ჯი-ეიჩ-ენი“

თრუსოს ხეობაში ზვავმა სასაზღვრო საგუშაგო მოიყოლა

თრუსოს ხეობაში ჩამოწოლილმა ზვავმა, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სასაზღვრო სექტორის შენობა მოიყოლა.

სასაზღვრო პოლიციის ინფორმაციით, შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია და ზვავმა მხოლოდ შენობა დააზიანა. ზარალის ზუსტი ოდენობა, ამ ეტაპზე, უცნობია.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ზვიად ძიძიგური: „საჯარო მოხელეთათვის პრემიების გაცემის სისტემა გადაიხედება“

სახელმწიფო მოხელეთათვის პრემიების მინიჭების სისტემა 2013 წლიდან გადაიხედება. უმრავლესობის წევრმა, ზვიად ძიძიგურმა, ჟურნალისტის კითხვის პასუხად განაცხადა, რომელიც ახალი ხელისუფლების რამდენიმე მაღალჩინოსნის მიერ საკუთარი თავისთვის მაღალი პრემიის გამოწერას შეეხებოდა. მისი თქმით, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს ძველი საპრემიო სისტემა პარლამენტშიც დახვდათ, რომლის შეცვლაც ჯერ ვერ მოესწრო.

„პარლამენტში პრემიების გაცემის სისტემას ახალი წლიდან გადავხედავთ. რაც შეეხება მინისტრებს, პრემიერ-მინისტრის პოზიციაც ისეთია, რომ ყველაფერი, მათ შორის, პრემიები, ადეკვატური უნდა იყოს“, — აღნიშნა ზვიად ძიძიგურმა.

„მედიანიუსი“

„ახალი ტალღა 2014“ საქართველოში ჩატარდება?!

თამარ ლომსაძე

თავის დროზე, „ვერსია“ ექსკლუზიურად წერდა, რომ ბიძინა ივანიშვილმა ოზურგეთის რაიონში, ნატანები-შეკვეთილის ტერიტორიაზე გრანდიოზული საკონცერტო დარბაზის მშენებლობა წამოიწყო. მაშინვე გაიჟღერა ინფორმაციამ, რომ იქ „ახალი ტალღის“ მსგავსი ფესტივალები თუ კონკურსები ჩატარდებოდა. სხვათა შორის, აქაურმა ასინეთებმა იქირქილეს, ამ კონკურსს ტყუილად არ ახსენებდნენ, რაღაც ხდება და რუსული შოუბიზნესის „მაფიოზთა“ გეგმებს ფარდა მალე აეხდებაო. მაშინ ეს ვერსია ცოტა აბსურდული ჩანდა, მაგრამ ნაახალწლევს, დიდ რუსეთსა და ბალტიისპირეთში „ახალ ტალღასთან“ დაკავშირებით სკანდალი რომ აგორდა და პაულსი-კრუტოი ერთმანეთს სახალხოდ დაუპირისპირდნენ, ეჭვი, საერთაშორისო ფესტივალის საქართველოში ჩატარების შესახებ, უფრო გამძაფრდა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

ერთ, არამშვენიერ დღეს, „ახალი ტალღის“ ერთ-ერთმა სულისჩამდგმელმა და ჟიურის თანათავმჯდომარემ, ცნობილმა ლატვიელმა კომპოზიტორმა რაიმონდ პაულსმა „რადიო **FM**“-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ აღარ სურს კონკურსის ორგანიზებაში მონაწილეობა. ამ შოკისმომგვრელმა ინფორმაციამ ელვისსისწრაფით მოიცვა რუსული თუ ბალტიისპირა ინტერნეტ-სივრცე. პაულსის მწვავე მესიჯებს დასასრული აღარ უჩანდა:

„კონკურსის ხელმძღვანელობა საერთოდ არაფერს აკეთებს“... „ამ კონკურსში საკუთარ თავს ვეღარ ვხედავ“... „ახალი ტალღა და შემოქმედებითი პროცესი სხვადასხვა ცნებებია“... „ფინანსური თვალსაზრისითაც არაა იქაურობა ჩემთვის მომგებიანი. ვიცი, ბევრს ჰგონია, რომ მე იქ ათასებს მიხდიან, მაგრამ ასე არ არის. მოვა დრო და აუცილებლად ვიტყვი, რამდენს მიხდიდნენ“... ასეთი ბრალდებების ნიაღვარი წამოვიდა მაესტროს მხრიდან, რომელმაც კონკურსის ჟიური ბინძურ თამაშში დაადანაშაულა „ისინი საკუთარი ქვეყნის წარმომადგენლებსა და პროტეჟეებს აძლევენ ხმას, რაც ძალიან დიდი სირცხვილია. მითხარით, როგორ შეიძლებოდა, ეს ვაიმომღერალი, Nil00 რუსეთიდან, მეშვიდე ადგილიდან პირველ ადგილზე გაეყვანათ?“

ასეთია რაიმონდ პაულსის პოზიცია, რომელიც უდავოა, „ახალი ტალღის“ მეორე სულისჩამდგმელს, რუს კომპოზიტორ იგორ კრუტოის სულაც არ მოეწონებოდა, მით უმეტეს, რომ პაულსმა კონკურსი კრუტოის საოჯახო ბიზნესად მონათლა: „კრუტოი საკუთარი ქალიშვილის წინ წამოწევას ცდილობს. არადა, გოგონამ საერთოდ არ იცის სიმღერა. დიახ, ახალი ტალღა კრუტოის საოჯახო ბიზნესად იქცა და მე იქ საკუთარ თავს ნამდვილად ვეღარ ვხედავ“.

„პაულსს დიდი ხანია, „ახალი ტალღის“ დატოვება უნდა“

იგორ კრუტოი ზედმეტად თავშეკავებული გახლავთ საკუთარ კომენტარებში, თუმცა არ უარყოფს, რომ ეს პროცესი დიდი ხნის დაწყებულია: **„პაულსი უკვე რამდენიმე წელია, გამოთქვამს პროექტის დატოვების სურვილს. ამბობდა, ასაკს თავისი მიაქვს და გავლენა დავკარგე კონკურსზეო, მაგრამ აქამდე, ყველაფერი მხოლოდ საუბრის დონეზე რჩებოდა“.**

რა გასაკვირია, რომ ასეთი ვირტუალური ომის შემდეგ, აქტიურად ალაპარაკდნენ იმის, რომ კონკურსი არსებობას შეწყვეტს, ყოველ შემთხვევაში იმ ფორმატით, როგორითაც აქამდე არსებობდა.

„ჩვენ 11 წლის განმავლობაში ვმსჯელობდით, როგორ უნდა განვითარებულიყო კონკურსი. პაულსი ჩემი მასწავლებელია, ჩემთვის უაღრესად პატივსაცემი კომპოზიტორი. ზუსტად არ ვიცი, რამ აიძულა, ასეთი განცხადებები გაეკეთებინა. არაა გამორიცხული, მისი სიტყვების არასწორად კონსტატირება მომხდარიყო“, — აცხადებს კრუტოი და საზოგადოებას აიმედებს, რომ კონკურსი არსებობას არ შეწყვეტს.

რაც შეეხება ჟიურის მიკერძოებულობას, კრუტოი არ ერიდება იმის აღიარებას, რომ პაულსი და ლაიმა ვაიკულე ყოველთვის მეტ ქულას უწერდნენ ლატვიელ შემსრულებლებს, ეს გასაგებიცაა, კონკურსი ხომ ლატვიაში ტარდებაო, აღნიშნავს და დასძენს, რომ, საერთო ჯამში, **„ჟიურის რუსი წევრები ყოველთვის ობიექტურები არიან. როგორ შეიძლება წარმოიდგინო, რომ ლეონიდ აგუტინი და მაქს ფადეევი სიმართლის წინააღმდეგ გაილაშქრებენ და სუბიექტურად მიუდგებიან ასეთ საპასუხისმგებლო საქმეს. მცირე სისუსტე კი ყველას ეპატიება. შეცდომებს ის არ უშვებს, ვინც არაფერს აკეთებს“.**

„კონკურსი რუსულ პაპსას დაემსგავსა“

კიდევ ერთი ბრალდება, რომელიც გაჟღერდა პაულსის მხრიდან ის გახლდათ, რომ კონკურსმა თავისი ინდივიდუალობა დაკარგა: **„კონკურსი აღარ მიზიდავს არც შემოქმედებით, არც მუსიკალური და არც ფინანსური თვალსაზრისით. „ახალი ტალღა“ რუსული ესტრადის ცნობილი სახეების კონცერტს დაემსგავსა და ფაქტობრივად, აღარ ემსახურება ახალი სახეების აღმოჩენას. ადრე, ლატვიელი მომღერლები თუ უფრო მეტად ჰგავდნენ უცხოელ შემსრულებლებს, ახლა კი ყველაფერი რუსულ პაპსას დაემსგავსა“.** ვერაფერს იტყვი, სამართლიანი შენიშვნაა, თუმცა კრუტოი მას არ იზიარებს: **„ლაიმა ვაიკულეც მოთხოვნადია რუსეთში და რუსი ავტორების სიმღერებს ასრულებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას არ გააჩნია თავისი შემოქმედებითი ინდივიდუალობა. თუ ლატვიელი შემსრულებლები რუს მომღერლებს დაემსგავსნენ, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. რაიმონდი ჩემთან საუბარში ყოველთვის აღნიშნავდა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის, არ დაკარგულიყო რუსული ბაზარი, რადგან ეს თავისთავად, ნიშნავს დიდ აუდიტორიას და მაღალ ჰონორარებს. პათოსი ასეთი იყო — ევროპამდე ვერ მივაღწიეთ და რუსეთიც არ უნდა დაიკარგოს... ამიტომაც ცდილობდა, ძველი კავშირები შენარჩუნებულიყო“.**

აი, აქ კი, პოლიტიკური მოტივი გამოიკვეთა. კონკურსი, უდავოდ, რუსული პაპსას ზეიმი გახლდათ. „სლივკი ობშესტვას“ საკონცერტო საღამოებით დაწყებული, რიგის სანაპიროზე გამართული რუსული დისკოთეკით დასრულებული, რომელიც იქაურ ხელისუფალთა შორის განხეთქილების ვაშლად იქცა. ამას ადასტურებს ლატვიის სეიმის ვიცე-სპიკერის, ანდრეი კლემენტიევის განცხადება, რომელიც საფუძვლიანს უწოდებს პაულსის ბრალდებებს და აღნიშნავს, რომ **„იურმალა დაინტერესებულია ამ ღონისძიების ჩატარებით. ლატვიაში ყურადღებით ვაკვირდებით კონკურსის განვითარებას და იძულებულები ვართ, ვაღიაროთ, რომ ბოლო წლებში, ის ახალი სახეებით აღარ გვანებივრებს. ახალგაზრდა შემსრულებლების კონკურსი რუსული ესტრადის ვარსკვლავების კონცერტად გადაიქცა. გვინდა გვჯეროდეს, რომ ამ კუთხით, სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება“.** არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ თუ შარშანდელ სკანდალსაც გავითვალისწინებთ, ალბათ მივხვდებით, რომ მსგავსი ილუზიები ნაკლებად უნდა გვქონდეს.

2012 წელს კონკურსი პოლიტიკური სკანდალის ფონზე მიმდინარეობდა. კულტურის მინისტრი კატეგორიული წინააღმდეგი იყო რუსული ესტრადის ამ დღესასწაულისა, მაგრამ იგორ კრუტოიმ შეძლო ჩინოვნიკის დარწმუნება, რომ ეს კონკურსი საჭიროა და დაპირდა, — ერთ-ერთი საკონკურსო დღე მხოლოდ ლატვიურ მუსიკას მიეძღვნებაო.

მინისტრს უნდოდა აეკრძალა დისკოთეკა, რომელიც რიგის სანაპიროზე, ღამის 11-დან დილის ოთხ საათამდე უნდა გამართულიყო. მერი კი ამ ღონისძიებას აქტიურ მხარდაჭერას უცხადებდა. საბოლოოდ, მინისტრი გვერდზე ჩააჩოჩეს და რუსული შოუბიზნესის ვარსკვლავების მონაწილეობით გამართულმა კონცერტმა, დაუგავის სანაპიროზე მრავალათასიანი პუბლიკა მოაგროვა. ...არადა, კულტურის მინისტრი, უდავოდ, პატრიოტული მოტივით ხელმძღვანელობდა, მეტიც რუსული ესტრადის „კაკაფონია“ შთამბეჭდავი მხოლოდ ცნობილი სახეებით იყო და არა — მუსიკალური ღირებულებითო, — აღნიშნავდა მაშინ „სობესედნიკი“.

„ამას ნამდვილად უდიოდა ოკუპაციის სუნი... როდესაც ანჟელიკა ვარუმმა დაიყვირა, „ხელები, აწიეთ ხელები!“ აშკარა გახდა, რომ პატარა, მაგრამ ამაყი ქვეყნის მინისტრთა კაბინეტის შიში, ნაციონალურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, უსაფუძვლო არ ყოფილა. ამას დაემატა ტიმოთი, რომლის დაცვის წევრების მაისურებზე ეწერა — „დავაი დასვიდანია“... რომ დავფიქრდეთ, ნიკოლაევები, აგუტინები, პრესნიაკოვები... მეუღლეებითა და სიდედრებით მართლაც შეძლებენ სრული ბალტიისპირეთის ოკუპირებას“! — ასე ხუმრობდნენ მაშინ, მაგრამ სახუმაროდ არ სცხელოდათ ალა პუგაჩოვას, მაქსიმ გალკინს, ფილიპ კირკოროვს...

განხეთქილება რუსულ შოუბიზ-მაფიაში

შარშანდელ „ახალ ტალღას“ კიდევ ერთი სკანდალი ახლდა. იგორ კრუტოიმ ალა პუგაჩოვა პლაგიატში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ მის მიერ ორგანიზებული კონკურსი **Crimea Music Fest** გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა „ახალ ტალღას“. წლების განმავლობაში ალა ბორისოვნა ახალი ტალღის მუზად რჩებოდა, მაგრამ როგორც კი საკუთარი, ყირიმის ფესტივალის ორგანიზება გადაწყვიტა, მაშინვე მოიმდურა ახალი ტალღის „დონ ვიტო კორლეონეები“. მაშინ კრუტიო და პაულსი ერთ პლატფორმაზე იდგნენ და უმადური მუზის წინააღმდეგაც ერთობლივი ძალებით ილაშქრებდნენ. არავინ იცის, რომელმა მხარემ დაკარგა უფრო მეტი, მაგრამ ფაქტია, რომ პუგაჩოვას ყირიმის ფესტივალმა სერიოზული ფიასკო განიცადა, ვერც მაყურებელი მოიზიდა და მუზას სხვა გზა რომ აღარ დარჩა, ისევ კრუტოის მიაკითხა. ადვილი ხომ არ არის დათმო „ახალ ტალღად“ წოდებული ოქროს საბადო, მით უმეტეს მაშინ, როცა საკუთარი ბიზნესი უფსკრულისკენ მიექანება? — როგორც ჩანს, კრუტოიმ ძველი ნაცნობობის ხათრით არ აწყენინა ალას და პაულსთან განხეთქილების ერთ-ერთ მიზეზად ესეც სახელდება — სწორედ პაულსმა შექმნა ბრენდი „ალა პუგაჩოვა“ და მისგან მსგავს ინიციატივას ნაკლებად ელოდაო, ამბობენ. ყოველ შემთხვევაში, მაშინ კრუტოი აცხადებდა:

„ახალი ტალღა“ ის ღონისძიებაა, რომელსაც საკუთარი ხარჯებით ვატარებ, ხოლო Crimea Music Fest მხოლოდ იმას გვასწავლის, როგორ უნდა დაიხარჯოს სახელმწიფო ბიუჯეტი. ალამ და მათ... უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს, გარდა იმისა, რომ გადაეღოთ „ახალი ტალღის“ ზუსტი ასლი და ეს, ვითომ კონკურსი ყირიმში ჩაეტარებინათ. რას ვიზამთ, ყველა ცხოვრობს თავისი სინდისითა და გაგებით“.

დასასრული მე-7 გვერდზე

უმასპინძლებს თუ არა ივანიშვილის „ზაფხულის თეატრი“ საერთაშორისო ფესტივალს

მე-6 გვერდიდან

პარალელურად კი, პაულსი კონკურსის ელეგანტური სულის შენარჩუნებაზე საუბრობდა და აცხადებდა, რომ „ახალ ტალღას“ ფონოგრამა ღუპავს: **„უდავოა, ცოცხალი კონცერტი მეტ მომზადებას საჭიროებს, მაგრამ ეს სულ სხვა თამაშია... სხვა საკითხია, რამდენად შეძლებენ შემსრულებლები ამ საპასუხისმგებლო ამოცანასთან გამკლავებას... მაგრამ სცადეთ, აიძულოთ ტომ ჯონსი, ფონოგრამით იმღეროს. არადა. უკვე სამოცდაათსაა გადაცილებული“.**

ტომ ჯონსის რა მოგახსენოთ, მაგრამ ვინ — ვინ და ქართველებმა ყველაზე უკეთ ვიწვნიეთ ე.წ. ფონოგრამშჩიკთა ზეიმი, ამიტომ, ცოტა ძნელად წარმოსადგენია, პლუს ფონოგრამაზე გაზრდილ შემსრულებელს, ნამდვილი სიმღერა ასწავლო. ალბათ, ამის დროც დადგება, მაგრამ მანამდე, იმაზე ვისაუბროთ, რა კავშირშია „ახალი ტალღის“ სკანდალები საქართველოსთან.

„ახალი ტალღა“ ტრანზიტი — იურმალა-საქართველო?!

როგორც კი ბალტიისპირულ-რუსული სკანდალი აგორდა, საქართველოს პოლიტ-კულუარებიდან ასეთმა ინფორმაციამ გამოჟონა: ძალიან მალე ახალგაზრდა შემსრულებელთა ფესტივალი „ახალი ტალღა“ იურმალადან საქართველოში გადმოინაცვლებს და მას სწორედ ის „ზაფხულის თეატრი“ უმასპინძლებს, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის პატრონაჟით შენდება შეკვეთილშიო. ვიღაცას შეიძლება გაეცინოს, მაგრამ ლოგიკურად ვიმსჯელოთ: ეს იქნება ევროსტანდარტების საკონცერტო დარბაზი, რომელსაც მოძრავი ჭერი ექნება და კარგ ამინდში სცენად გადაკეთდება. დარბაზი 9 000-ზე მეტ ადამიანს დაიტევს და მას ანალოგი არათუ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ევროპაშიც არ ექნება. დარბაზთან მასშტაბური პარკის გაშენებაც იგეგმება, სადაც მსოფლიოს 7 საოცრება — იმიტირებული პირამიდები, ბაბილონის დაკიდული ბაღები, ზევსის ქანდაკება, ალექსანდრიის შუქურა... იქნება წარმოდგენილი. მშენებლობის დაწყებისთანავე, რამდენჯერმე გაიჟღერა ფრაზამ, რომ დარბაზი განკუთვნილი იქნება იურმალას ტიპის ფესტივალებისთვის, ექნება უმაღლესი დონის საგრიმიოროები, კინოდარბაზები, აღიჭურვება უახლესი ტექნიკით, ექნება შესაფერისი აკუსტიკა... და ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ვერსიას, „ახალი ტალღის“ საქართველოში ჩატარების შესახებ, არსებობის საფუძველი ნამდვილად გააჩნია. მითუმეტეს, რომ იგორ კრუტოი ოფიციალურ განცხადებაში თავს დებს, რომ პაულსის საორგანიზაციო ჯგუფიდან წასვლა, არ გახდება კონკურსის დახურვის მიზეზი. სხვათა შორის, საუბარი ფესტივალის იურმალადან გადატანის შესახებ, დაახლოებით, ორი წელია მიდის, რაც ბალტიისპირეთის ტურისტული სააგენტოების აღშფოთების მიზეზი გახდა. აბა, როგორია ამხელა სეგმენტის დაკარგვა? საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ იქაურმა ტუროპერატორებმა წერილით მიმართეს პაულსს, გადაერჩინა მათი ბიზნესი და შემოსავლის ეს უშრეტი წყარო, საკუთარი ნაჩქარევი გადაწყვეტილებით არ გადაეკეტა... მაგრამ, როგორც ჩანს, პაულსმა ასაკთან ერთად, კონკურსზე გავლენაც დაკარგა.

მერი გატის ტრუკსნისი იმედოვნებს, რომ ახალგაზრდა შემსრულებლების კონკურსი არ დატოვებს ლატვიას, კულტურის სამინისტრო კი ჯიუტად აცხადებდა, რომ „ძინტარის“ საკონცერტო დარბაზი კაპიტალურ რემონტს საჭიროებს და 2013 წლის ზაფხულისთვის სამუშაოების დასრულება ვერ მოესწრებოდა.

ამ ინფორმაციის გაჟღერებისთანავე, რამდენიმე ქალაქმა გამოთქვა კონკურსის თავისკენ გადაქაჩვის სურვილი, მათ შორის იყვნენ სან-რემო, მონტე-კარლო, კიევი... სხვათა შორის, 2012 წლის კონკურსს სან-რემოსა და მონტე-კარლოს მერებიც ესწრებოდნენ. ისინი სპეციალურად მიიწვიეს, რათა უფრო ახლოს გასცნობოდნენ შიდასამზარეულოს. ახლახან კი ცნობილი გახდა, რომ 2013 წელს ფესტივალი კვლავ იურმალაში გაიმართება, ოღონდ, ხუთწლიანის მაგივრად, ერთწლიანი კონტრაქტი გაფორმდება. ჰოდა, ვადებიც შესანიშნავად ემთხვევა, 2014 წლის ზაფხულამდე წელიწადნახევარია, ამასობაში „ზაფხულის თეატრის“ დასრულებასაც მოასწრებენ და საორგანიზაციო საკითხების მოგვარებასაც. ისე კი, ურიგო არ იქნებოდა, ეს კულუარული ინფორმაცია რეალობად ქცეულიყო. ამით საქართველოს პრესტიჟი ერთიორად გაიზრდებოდა, ტურიზმიც იხეირებდა და იქნებ ქართველ მომღერლებსაც ესწავლათ რამე. ყოველ შემთხვევაში, სიტყვა „შოუბიზნესის“ მნიშვნელობას მაინც გაიაზრებდნენ, რადგან, რამდენიც უნდა ვეძახოთ რუსულ შოუბიზნესს პაპსა, უდავოა, რუსებმა მშვენივრად იციან შოუბიზნესის მნიშვნელობა, კარგ შოუებსაც დგამენ და ბიზნესის კეთებაც არაჩვეულებრივად გამოსდით. სკანდალი რომ სკანდალია, ისე აწყობენ, მთელმა მსოფლიომ გაიგოს.

რაც შეეხება ოფიციალურ მხარეს, „ახალი ტალღის“ წარმომადგენელი საქართველოში, **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲝᲥᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ** „ვერსიასთან“ საუბარში აცხადებს, რომ ოფიციალურ დონეზე, კონკურსის საქართველოში ჩატარებაზე საუბარი არ ყოფილა:

„ამ ეტაპზე, მსგავსი რამ წარმოუდგენელია. ეს საერთაშორისო დონის კონკურსია და მისი ორგანიზება ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა. ჯერჯერობით, დარბაზიც არ არსებობს, სადაც ფესტივალის ჩატარებას შევძლებდით. სად უნდა გაიმართოს, ბათუმში? კონკურსი ღია ცისქვეშ უნდა ჩატარდეს, იქაური წვიმების ამბავი კი ყველას კარგად მოეხსენება. ერთი უამინდობა და ჩაშლილია ყველაფერი. ასე რომ, ჯერჯერობით, ამაზე საუბარი ნაადრევია“... სამომავლოდ, რა იქნება, არავინ იცის, ოქიტაშვილის განცხადებით, ამჟამად, მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ საუბარი იყო ღონისძიების სოჭში ჩატარებაზე, მაგრამ ამ შემოთავაზებაზე თავად ორგანიზატორებმა თქვეს უარი. შემდეგ ვარიანტად ნიცა განიხილებოდა, მაგრამ საბოლოოდ, ისევ იურმალა გადაწყვიტეს. შესაძლოა, ახლა ბევრმა იფიქროს, ნიცას თუ განიხილავდნენ, საქართველო იქამდე ვერასოდეს მივაო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „ზაფხულის თეატრს“ ანალოგი ევროპაშიც არ ექნება, გაუგებარია, რატომ უნდა თქვან ასეთ „ოფერზე“ უარი რუსული „შოუბიზ-მაფიის“ წარმომადგენლებმა, მით უმეტეს, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობების დათბობის ტენდენცია ნამდვილად შეინიშნება.

***P.S.** სტატია თითქმის დასრულებული იყო, როცა ვერსიის წყარომ კიდევ ერთი ნიუსი მოგვაწოდა. როგორც გაირკვა, პაულსსა და კრუტოის შორის მოლაპარაკებები თუ ვაჭრობა კვლავ გრძელდება და არაა გამორიცული, ლატვიელი მაესტრო წელსაც „ახალი ტალღის“ მამად მოგვევლინოს. როგორც ჩანს, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად დააინტერესებენ მას ფინანსურად.*

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐᲨᲘ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲪ ᲩᲐᲔᲠᲗᲕᲔᲑᲐ“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, დავით ბერძენიშვილის განცხადებით, სასამართლოს რეფორმასთან დაკავშირებით, საპარლამენტო უმრავლესობას საკანონმდებლო ცვლილებების უზრუნველყოფა არ გაუჭირდება და ამ პროცესში საპარლამენტო უმცირესობის ნაწილიც ჩაერთვება.

მისი თქმით, სასამართლოს რეფორმირების პროცესი, რეალურად, უკვე დაიწყო და ამჟამად, სასამართლოების პოლიტიკური წნეხისგან, აღმასრულებელი ხელისუფლებისგან გათავისუფლების პროცესი მიმდინარეობს.

სულ უფრო დნება საპარლამენტო უმცირესობა. ამჟამად, მათ რვა მანდატით ნაკლები აქვთ, ვიდრე ჰქონდათ ორიოდე თვის წინ. ამის მთავარი მიზეზი არის ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის, მიხეილ სააკაშვილის ხანდახან არაადეკვატური ქმედება ნაციონალური მოძრაობის დეპუტაციასთან მიმართებაში. სასამართლო რეფორმის ჩატარების მცდელობა თავად სააკაშვილის ინიციატივით დაიწყო ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლების დროს, თუმცა ბოლომდე ვერ მივიდა. უშუალოდ, სააკაშვილის მმართველობის პროცესში იყო ანტირეფორმა და ამჟამად, მიმდინარეობს სასამართლოების პოლიტიკური წნეხისგან, აღმასრულებელი ხელისუფლებისგან გათავისუფლების პროცესი. ეს პროცესი, რეალურად, უკვე დაიწყო და საპარლამენტო უმრავლესობას ამ ცვლილებების საკანონმდებლო უზრუნველყოფა არ გაუჭირდება. ამ პროცესში საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლების ნაწილიც ჩაერთვება. რაც მეტი იქნება სააკაშვილის წინააღმდეგობა, მით მეტი მხარდამჭერი ეყოლება უმრავლესობას პარლამენტში“, — აღნიშნა ბერძენიშვილმა და დასძინა, რომ გარკვეული დროის შემდეგ, არამარტო კოტე კუბლაშვილი აღარ იქნება დაკავებულ თანამდებობაზე, არამედ მიხეილ სააკაშვილიც დატოვებს ამჟამინდელ თანამდებობას:

„ეს ბუნებრივი ამბავია, ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. არის მანდატი გაცემული, ეს მანდატი გაცემულია გარკვეულ რეალობებში და იმის შემდეგ, რაც სასამართლო რეფორმა გატარდება, გამოჩნდება, რა კონფიგურაციას მიიღებს საქართველოს სასამართლო ხელისუფლება, მათ შორის საკადრო თვალსაზრისითაც. კუბლაშვილის თანამდებობაზე ყოფნა რეფორმის შემდეგ დამოკიდებული იქნება იმ ინსტიტუციაზე, რომელიც გადაწყვეტილებას მიიღებს ვინ, როდის და რამდენ ხანს იყოს თანამდებობაზე“.

„მედიანიუსი“

უახლოეს ერთ წელიწადში 60 ახალი გადამამუშავებელი საწარმო გაიხსნება

სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე გურიაში მანდარინის მწარმოებლებს ხვდება და რეგიონებში მანდარინის რეალიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს ადგილზე ეცნობა.

როგორც „პირველს“ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს, მანდარინის რეალიზაციის პრობლემას რამდენიმე ძირითადი მიზეზი აქვს.

„პირველი და უმთავრესი მიზეზი, გადამამუშავებელი საწარმოების არარსებობაა. ამასთან დაკავშირებით, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი ფონდის ფარგლებში, უახლოეს ერთ წელიწადში, 60 ახალი, ციტრუსის გადამამუშავებელი, სამაცივრე და სასაწყობე საწარმოები გაიხსნება. პრობლემას წარმოადგენს მოსავლის ხარისხიც — ფერმერთა უმრავლესობას არ ჰქონდა ბაღის სწორად მოვლის, ხარისხიანი სასუქის მიწოდების შესაძლებლობა. საგაზაფხულო პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო ფერმერებს ხარისხიან სასუქს უფასოდ მიაწვდის. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებები ექსპორტსა და ახალ ბაზრებთან დაკავშირებით“, — აცხადებენ სამინისტროში.

თავის მხრივ, სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებით, ტრადიციულ ბაზრებზე ქართული მანდარინის ექსპორტის ხელშეწყობასა და რუსული ბაზრის გახსნასთან დაკავშირებით, მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

„ეს მუდმივი პროცესია — მოსავლის რეალიზაციისთვის, მოსამზადებლად, მთელი წელი უნდა ვიმუშაოთ. წელს კი, დაჩქარებული რეჟიმით, მთავრობამ ერთ თვეში მოასწრო ცენტრალური ბიუჯეტიდან 2 მილიონამდე ლარის გამოყოფა აჭარასა და გურიაში მანდარინის მწარმოებელთა დასახმარებლად“, — აცხადებს დავით კირვალიძე.

სოფლის მეურნეობის მინისტრი აჭარაშიც იმყოფებოდა, სადაც ადგილობრივი მეციტრუსეების პრობლემებსაც პირადად გაეცნო. იანვრის ბოლოს, მისი ინიციატივით, მანდარინის თემაზე ფორუმი გაიმართება, სადაც მთავრობის, აგრარულ სექტორში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლები, ფერმერები თუ მეცნიერები ერთად განიხილავენ არსებულ მდგომარეობას და დაგეგმავენ დარგის განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებს.

„პირველი“

„ვაღიარებ, ისრაელისგან პოლიტიკური დემარში მოსალოდნელი იყო“

რუსუდან შელია
პოლიტიკა

პოლიტიკური დემარში საქართველოში ისრაელის ელჩის მიერ „სამწუხარო მოულოდნელობაზე“ საუბრით დაიწყო და ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის 2012 წლის დეკემბერში დაგეგმილი ვიზიტის ჩაშლით გაგრძელდა. სულ ცოტა ხნის წინ კი ისიც გაირკვა, რომ საპატრიარქოს მომლოცველთა 40-კაციან ჯგუფს საშობაოდ, ისრაელის მხარემ ვიზების გაცემაზე უარი განუცხადა. რა მექანიზმების გამოყენებით შეეცდება ქართული მხარე ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობების დარეგულირებას, „ვერსიის“ კითხვებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე გიორგი ვოლსკი პასუხობს:

როგორ აფასებს საქართველო-ისრაელს შორის შექმნილ დაძაბულ ვითარებას და რაში არ ეთანხმება თანაგუნდელ პაატა ზაქარეიშვილს გიორგი ვოლსკი

— ისრაელს ოფიციალური მიზეზი არ დაუსახელებია, მაგრამ არ გამოვრიცხავ, საპატრიარქოს მომლოცველებისთვის საშობაოდ ვიზებზე უარის თქმა, საქართველოს მიერ გაერო-ში პალესტინის სტატუსის გაზრდის მხარდაჭერას უკავშირდებოდეს. მიუხედავად ამ საკმაოდ სამწუხარო ფაქტისა, გარწმუნებთ, საქართველო-ისრაელის ურთიერთობებს საფრთხე ნამდვილად არ ემუქრება. მეტიც, ეს ნორმალურ დიპლომატიურ მოვლენად მეჩვენება.

— რა გაძლევთ ოპტიმიზმის საფუძველს, როცა ისრაელის პრესაში აქტიურად საუბრობენ, რომ მათი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტის გაუქმებისა და ქართველი პილიგრიმებისთვის საშობაოდ ვიზებზე უარის თქმის შემდეგ, საპასუხო ნაბიჯები საქართველოს წინააღმდეგ მწვავე ფაზაში იანვრის მეორე ნახევრიდან შევა?

— გარწმუნებთ, საერთაშორისო ურთიერთობებში მსგავსი ფაქტები ხშირად ხდება. თანაც ისრაელს უკმაყოფილება მხოლოდ საქართველოს მიმართ არ გამოუხატავს. იცით, ნამდვილად არ გვქონდა იმის მოლოდინი, რომ ისრაელის სახელმწიფო გაერო-ში ჩატარებული კენჭისყრის მეორე დღესვე სიცილ-კისკისით გაიღვიძებდა და ურთიერთობებს ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებდა. თავად ისრაელსაც ხომ საკუთარი საზოგადოების წინაშე გარკვეული პასუხისმგებლობა აკისრია?! ამიტომაც, ვაღიარებ, ისრაელისგან გარკვეული პოლიტიკური დემარში მოსალოდნელიც კი იყო. მიუხედავად ამისა, მოდით, ნუ ვიმარჩიელებთ და დარწმუნებით ნუ ვიტყვით, რომ ქართველი პილიგრიმები საშობაოდ სწორედ ამ მიზეზით შეზღუდეს. რაც შეეხება ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტის გაუქმებას, ბუნებრივია, უკმაყოფილება რაღაც ფორმით ხომ უნდა გამოეხატათ?!

— ეს იმას ნიშნავს, რომ ისრაელის წინააღმდეგ შეგნებულად წახვედით ვა-ბანკზე, რატომ? ექსპერტები გაერო-ში კენჭისყრის დასრულების შემდეგ იმასაც ამბობდნენ, რომ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით გადადგა...

— ნამდვილად ვერ დავეთანხმები ექსპერტების მიერ აღნიშნულ მოსაზრებას, რადგან საქართველოს ერთი ხმა რუსეთისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ წარმოადგენდა. პირიქით, კრემლი ბევრად უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა თუ ჩვენ არაბულ სამყაროს დავუპირისპირდებოდით, რადგან მსგავსი გადაწყვეტილება პოლიტიკური სპეკულაციის საშუალებას მისცემდა. მოდით, ისიც ვთქვათ, რომ გაერო-ში პალესტინის სტატუსის ამაღლება მისი სახელმწიფოებრიობის აღიარებას არ ნიშნავს. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ჩვენ პალესტინის სტატუსის ამაღლების მხარდაჭერა მემკვიდრეობით გვერგო. კერძოდ, 1992 წელს საქართველომ პალესტინა აღიარა. პირადად, მე, ისრაელთან ამ ეტაპისთვის, გარკვეულ დაძაბულ ვითარებაში პოზიტივსაც ვხედავ — პალესტინას საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ პასუხისმგებლობა მნიშვნელოვნად გაეზრდება, რაც თავისთავად, შეამცირებს იმ აგრესიას, რომელიც ღაზას სექტორიდან და ჰამასის მხრიდან მომდინარეობს. ვიმეორებ, პილიგრიმებთან დაკავშირებით მომხდარი ფაქტი ნამდვილად უსიამოვნოა, მაგრამ უფრო მაღალ დონეზე საქართველო-ისრაელის ურთიერთობა აუცილებლად დალაგდება.

— ქართულმა მხარემ რა ნაბიჯი გადადგა ურთიერთობის დასარეგულირებლად? ამ ყველაფრის შემდეგ ისრაელთან კვლავ უვიზო რეჟიმზე საუბარი, რეალური იქნება?

— ჩემსა და საზოგადოების ნაწილს შორის ის განსხვავებაა, რომ მათ უმრავლესობას საერთაშორისო ურთიერთობებში მუშაობის გამოცდილება არ აქვს. შესაბამისად, ზოგიერთი მოვლენებს პრიმიტიულად აფასებს. დიპლომატიურ ურთიერთობებში პარტნიორისგან ოფიციალური განმარტების მოთხოვნა კარგ ჟესტად არ ითვლება. ჯერჯერობით, აუცილებლობას ვერ ვხედავ, საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაობის დეტალები გახმაურდეს. მოგეხსენებათ, ქართულმა მხარემ ისრაელის მისამართით საკმაოდ თბილი განცხადება გააჟღერა და ვფიქრობ, ამ ტონში საუბარი მომავალშიც გაგრძელდება.

— ამასობაში, კვლავ ღიად რჩება საკითხი, როდის მიიღებენ თეთრ სახლში პრემიერ-მინისტრს. რატომ ჭიანურდება რამდენიმე თვის წინ დაანონსებული შეხვედრა?

— გარწმუნებთ, თეთრ სახლში ბიძინა ივანიშვილის ვიზიტი აუცილებლად შედგება. უბრალოდ, არის საკითხები, რომელიც ჯერ საქართველოში უნდა დალაგდეს და ჩამოყალიბდეს. აბსურდია, თითქოს, ქართულ-ამერიკული ურთიერთობები შეყოვნდა. პირიქით, ჩვენს შორის საუბარი ყველა დონეზე მიმდინარეობს. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში ბევრი რამ უნდა შეიცვალოს, მაგალითად, ამერიკის სახელმწიფო მდივანი. პარალელურად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროშიც იგეგმება სერიოზული ცვლილებები.

— კონკრეტულად, ირაკლი ალასანიას ინიციატივას გულისხმობთ, რომელიც ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების საბრძოლო მოქმედებებში ჩართულობის შეწყვეტას ითვალისწინებს?

— დიახ, ეს ყველაფერი ჩვენ მოკავშირეებთან, უპირველეს ყოვლისა კი, ამერიკის შეერთებულ შტატებთან უკვე შეთანხმებულია. მოგეხსენებათ, უახლოეს მომავალში, ბარაკ ობამასა და ავღანეთის პრეზიდენტ კარზაის შეხვედრა იგეგმება, სადაც გადაწყდება, რა მიმართულებით ჩაერთვება აშშ კონფლიქტში. თუ ამერიკის დიდი ნაწილი გადაერთვება სწავლებისა და ინტელექტუალური სწავლების რეჟიმში, იგივეს გააკეთებს საქართველოც. ეს ჩვენი კი არა, ნატო-ს ინიციატივაა, რათა ავღანეთმა, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, ფუნქციონირება დაიწყოს. ვფიქრობ, ამ საქმეში ჩვენი მედიკოსები, ინჟინრები და სხვადასხვა დარგის სპეციალისტებიც ჩაერთვებიან. ერთი სიტყვით, ბიძინა ივანიშვილის აშშ-ში ვიზიტი საკმაოდ მაღალ დონეზე იქნება ორგანიზებული. ამ განცხადების გამო, არაერთხელ ვყოფილვარ თავდასხმის ობიექტი, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ: პირველ რიგში, ჩვენ ისე უნდა დავალაგოთ საგარეო ურთიერთობები, რომ ამერიკასა და რუსეთს შორის საჯილდაო ქვა აღარ ვიყოთ. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რიტორიკა უნდა შევცვალოთ და იმ ჯოხის ქნევას შევეშვათ, რომელიც რეალურად, ხელში არ გვაქვს. ამ ვირტუალური ჯოხის ქნევაში გავატარეთ ცხრა წელი.

— რიტორიკის შეცვლა რუსულ ბაზარზე ქართული ღვინისა და „ბორჯომის“ დაბრუნებით წარმოგიდგენიათ?

— ფაქტია, რუსეთთან რაღაცით უნდა დავიწყოთ. ამ მიმართულებით არსებობს ორი ვარიანტი: ჩავკეტოთ რუსეთთან ურთიერთობა, მოსკოვიდან პუტინის მოშთობასა და რუსული პოლიტიკის ძირფესვიანად შეცვლას დაველოდოთ ან ნატო-ს წევრი ქვეყანა ოკუპირებული ტერიტორიების გარეშე გავხდეთ. საერთოდ, ქართველები სულ იმაზე ვსაუბრობთ, რა არის ჩვენთვის მომგებიანი, თუმცა მეორე მხარის ინტერესებში ჩაღრმავებას არასოდეს ვცდილობთ. დავსვათ კითხვა, ნატო-სთვის რამდენად მომგებიანია ალიანსში ჩვენი პრობლემებით მიგვიღოს? მიუხედავად ყველაფრისა, ნატო-ში შესასვლელად ყველა ღონეს უნდა მივმართოთ და ამ ნაბიჯით ერთი ჩამოყალიბებული, ფუმფულა კურდღელი დავიჭიროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთის ჩამონგრევის მოლოდინში დრო გადის, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ახალი თაობები მოდიან, რომლებმაც ქართული არ იციან, მეტიც, შესაძლოა, არც საქართველოს არსებობის შესახებ სმენიათ. ამიტომ ახლა რომ შევჩერდეთ და მხოლოდ კონფლიქტების მოგვარებაზე ვიფიქროთ, ეს შეცდომა იქნება, რომლისკენაც სააკაშვილი გვიბიძგებს. მიწებზე საუბარი, როცა რეალური საფუძველი არ არსებობს, წარმოუდგენელია.

— ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ გუნდს, ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, რეალური სტრატეგია არ გააჩნია, გარდა პაატა ზაქარეიშვილის ინიციატივისა აფხაზეთთან რკინიგზის აღდგენასთან დაკავშირებით, რომელსაც არავინ გამოხმაურებია.

— პირდაპირ გეტყვით, ამ ეტაპზე, ზაქარეიშვილის განცხადება არარეალურად მეჩვენება. ეს ნამდვილად არ ყოფილა მთავრობის სხდომიდან ან შიდა თათბირებიდან გამოტანილი იდეა. უბრალოდ, მან მაგალითი მოიყვანა, როგორ შეიძლება განვითარდეს ურთიერთობები, თუმცა, რა თქმა უნდა, სანამ აქამდე მივალთ, დიდი გზა გვაქვს გასავლელი. სულ უნდა ვიმოძრაოთ, რადგან სიცოცხლე სწორედ მოძრაობაშია — თუ ვიმუშავებთ, შედეგიც იქნება. პირველ რიგში, სტრატეგიას ჩამოვაყალიბებთ, რა გზას ვირჩევთ, ვჩერდებით და ყვირილზე გადავდივართ, თუ სერიოზულ მუშაობას ვიწყებთ და 2008 წლის ომის შემდეგ, რუსეთთან დაკარგული ნდობის აღდგენაზე ვიზრუნებთ. პუტინზე უარესი, მაგალითად, ზიუგანოვი რომ მოვიდეს რუსეთის ხელისუფლებაში, მერე რა ვქნათ? ამიტომ, დასამალი არაფერია. ამ ეტაპზე, არსებული მდგომარეობის დაზვერვას ვცდილობთ და ვმსჯელობთ, რა შეიძლება გამოდნეს ხელში არსებული მასალიდან. სამწუხაროდ, ბევრი საკითხი და კომპონენტია, რომელზეც საქართველო გავლენას ვერ მოახდენს. ეს ამერიკულ-რუსულ ურთიერთობებზეა დამოკიდებული და ამიტომ წინამორბედი ხელისუფლების შეცდომები აღარ გვეპატიება.

ვერსიანიუსი

კრემლის წინ ექსტრემისტული ბანერი გამოფინეს

კრემლის წინ, ხიდზე, უცნობმა პირებმა სხვადასხვა ექსტრემისტული ორგანიზაციების სიმბოლოებით გაფორმებული ბანერი გამოფინეს. როგორც რუსული მედია იუწყება, პოლიციამ ბანერი დილის 5 საათზე ნახა და ჩამოხსნა. ბანერი უცნობი ინტერნეტპორტალის კორესპონდენტმა გადაიღო. ჟურნალისტი, რომლის გვარიც არ სახელდება, პოლიციაში დაკითხეს და შემდეგ გაუშვეს.

არ კონკრეტდება ისიც, რომელი ექსტრემისტული ორგანიზაციების სიმბოლიკა იყო გამოსახული ბანერზე, თუმცა „ტვიტერზე“, სამოქალაქო აქტივისტ ვიტალი შუშკევიჩის მიერ განთავსებულ ფოტოზე, ჩანს ბანერზე განთავსებული ნაციონალ-სოციალისტური პარტიისა და სხვა აკრძალული ორგანიზაციების სიმბოლიკა და მათ გვერდით „ერთიანი რუსეთის“ სიმბოლოც, ხოლო ქვემოთ წარწერა „რუსეთის ექსტრემისტული ორგანიზაციები“. როდის არის ფოტო გადაღებული, უცნობია.

„ჯი-ეიჩ-ენი“

აშშ-ში გრიპის ეპიდემიამ 18 ბავშვის სიცოცხლე იმსხვერპლა

აშშ-ს მთელ ტერიტორიაზე გრიპის ძლიერი ეპიდემია გავრცელდა, რამაც 18 ბავშვის სიცოცხლე იმსხვერპლა.

უცხოური მედიის ცნობით, გრიპის ეპიდემიამ 41 შტატი მოიცვა.

ბოსტონის მერმა, ტომას მენინომ შტატში საგანგებო სიტუაცია გამოაცხადა.

ექიმები ყველას ურჩევენ, გრიპის საწინააღმდეგო აცრები გაიკეთონ.

მათი თქმით, ვაქცინაცია, პირველ რიგში, მოხუცებისა და ბავშვებისთვისაა აუცილებელი.

ზოგიერთი შტატის ხელისუფლებამ ვაქცინაცია უფასოდაც დაიწყო.

„მედიანიუსი“

ლაშა ჟვანია: „ისრაელი მეგობარი სახელმწიფოების მიმართ ასეთ რევანშისტულ ნაბიჯებს არ დგამს!“

თამარ მელქაძე

საქართველოს საპატრიარქოსთვის საშობაოდ ტურისტულ ვიზებზე უარის თქმის ოფიციალურ მიზეზად ებრაულმა მხარემ ქართველ არალეგალთა მატება დაასახელა. გაჩნდა გონივრული ეჭვი, რომ სინამდვილეში, ისრაელმა საქართველოს პალესტინის მხარდაჭერა არ აპატია და სამაგიერო ამ ფორმით გადაუხადა. მიუხედავად ამისა, პოლიტიკურ მოტივაციას კატეგორიულად გამორიცხავს პატრიარქის ფონდის ხელმძღვანელი ლაშა ჟვანია. მისი თქმით, ისრაელი მეგობრების მიმართ რევანშისტულად არ მოქმედებს.

— ეს არაა პირველი შემთხვევა, როცა ქართულ მხარეს ვიზების გაცემაზე უარი ეთქვა. ასეთი რამ 2011 წელსაც მოხდა. მაშინ პირადად მივწერე ისრაელის შს მინისტრს და მისი ჩარევის შემდეგ მოგვარდა პრობლემა. მთელი წლის განმავლობაშიც იყო შეფერხებები, რადგან ძალიან ბევრი არალეგალი წავიდა ტურისტული ჯგუფების საშუალებით. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში, ჩვენი ტურისტული კომპანიები არ ახდენენ წასვლის მსურველთა ფილტრაციას, რაც ისრაელს ბევრ პრობლემას უქმნის. აუცილებელია, ტურისტულმა სააგენტოებმა მოახერხონ მხოლოდ პილიგრიმებსა და ტურისტულ ჯგუფებზე მუშაობა. არ უნდა დაუშვან, რომ პოტენციური დამრჩენი მოხვდეს ტურისტების სიებში.

— გასაგებია, მაგრამ, როგორ უნდა განსაზღვრონ ვინ დარჩება და ვინ არა?

— ტურისტული კომპანია „პილიგრიმ ტურსი“, რომლის ერთ-ერთი მფლობელი ვარ, ახერხებს წამსვლელთა მაქსიმალურ ფილტრაციას და, პრაქტიკულად, არ ხდება ტურისტების დარჩენა ჩვენი კომპანიის გამოყენებით. ამის მექანიზმები არსებობს და თუ სააგენტოები მას დაიცავენ, პრობლემა ამოიწურება.

— არალეგალი ემიგრანტების პრობლემაა ვიზების არგაცემის ოფიციალური მიზეზი, თუ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან პალესტინის მხარდაჭერამ განაპირობა ისრაელის უარი?

— არალეგალების დარჩენაა ის პრობლემა, რომელიც აღელვებს ვიზის გამცემ ორგანოს, ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროს. გამორიცხულია, უარი პალესტინის ფაქტორს განეპირობებინა — ეს საქმეში ჩაუხედავი ადამიანების მიერ ანგაჟირებული თემაა. ისრაელი ასეთ რევანშისტულ ნაბიჯებს არ დგამს მეგობარი სახელმწიფოების მიმართ, ასე რომ, ამ საკითხის შედეგად არ მიუღიათ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც რაიმე ფორმით ზიანს მიაყენებს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას და გამოიწვევს ისრაელის მხრიდან საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯების გადადგმას.

— სამაგიეროდ, სწორედ ამის შემდეგ გადაიდო ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი საქართველოში...

— ვიზიტის გადადება შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც არჩევნებს, ასევე მათ ქვეყანაში არსებულ პრობლემებს. ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი გადადგა თანამდებობიდან და ამის შესახებ წინასწარ იცოდა. შესაბამისად, ვერ დაიგეგმებოდა მისი ოფიციალური ვიზიტი. ეს არაა „პოლიტიკური დემარში“. პოლიტიკურ მოტივაციას, ვიზებთან დაკავშირებით, აბსოლუტურად გამოვრიცხავ!

— მხოლოდ საპატრიარქოს ეთქვა უარი თუ ზოგადად, ყველას?

— მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან დღეესასწაულებზე ისრაელის ვიზებზე მოთხოვნა საკმაოდ დიდია. საქართველოდან შეიძლება, მაქსიმუმ, 160-200 მსურველი ყოფილიყო, მაგრამ ყველას უარი ეთქვა. არ მოხდა გაფილტვრა და ამიტომ საერთოდ არ განიხილეს საქართველოდან წასული მოთხოვნები. 2011 სექტემბრიდან დეკემბრამდე არცერთ ტურისტულ კომპანიას არ მიუღია ჯგუფური ვიზა. ქართული ტურისტული კომპანიების ნაწილი სანდოობით არ სარგებლობს და, სამწუხაროდ, ამის გამო ზარალდებიან როგორც სხვა კომპანიები, ასევე თავად პილიგრიმები. ეს პოლიტიკური კი არა, ტექნიკური პრობლემაა, რომელიც უახლოეს მომავალში გადაწყდება. ვესაუბრე ისრაელის ელჩ იოვალ ფუქსს, რომელიც მომხდარით ძალიან შეწუხებულია. მან დამირეკა და საკითხში გარკვევასა და დახმარებას დამპირდა. როგორც წესი, საშობაოდ საქართველოდან შედარებით ცოტა პილიგრიმი ჩადის ისრაელში, რადგან ეს უფრო ოჯახური დღესასწაულია. მეტი დინება წმინდა მიწისკენ აღდგომის დღესასწაულზეა. წელს ჯგუფური არა, მაგრამ ინდივიდუალური ვიზები გაიცა.

— როცა ელჩი იყავით, არ მოხერხდა საქართველო-ისრაელს შორის უვიზო რეჟიმის შემოღება. ბოლო დროს მომხდარი ფაქტების გათვალისწინებით, დღეს შესაძლებელია ეს მოხდეს?

— უვიზო რეჟიმის შემოღება ნამდვილად არ გაართულებს სიტუაციას. ისრაელის რეგულაციებით, ვიზის მიღება არ ნიშნავს, ავტომატურად, საზღვრის გადაკვეთის უფლებას. საზღვარს აქვს დისკრეციული უფლება, შეუშვას ან არ შეუშვას ესა თუ ის ადამიანი ქვეყნის ტერიტორიაზე. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, რაიმე დამატებითი გართულებები გამორიცხულია. ელჩის თანამდებობაზე რომ დავრჩენილიყავი, ეს საკითხი დადებითად გადაწყდებოდა. საკითხი მიბმული იყო რუსეთის მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე — თუ ისრაელი სავიზო რეჟიმს გაუუქმებდა რუსეთს, ავტომატურად უნდა მომხდარიყო ეს საქართველოსთვისაც. უვიზო რეჟიმის შემოღება მხოლოდ რუსეთთან, ხელს შეუწყობდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსული პასპორტების გაცემას, რასაც საქართველოს მოქალაქეებისთვის დისკრიმინაციული ხასიათი ექნებოდა. ისრაელი ამ საკითხს აქტიურად განიხილავდა, მაგრამ საბოლოოდ, რატომ არ მიიღო ეს გადაწყვეტილება ჩვენს სასარგებლოდ, ვერ გეტყვით. ეს იყო ჩვენი დიპლომატიური სამსახურის მუშაობის სერიოზული ჩავარდნა. რაც შეეხება დღევანდელ ელჩს, მისი მუშაობის პოზიტიურ შედეგებს, სამწუხაროდ, ვერ ვხედავ. ჩვენ გაცილებით მეტს ვაკეთებდით. ვნახოთ, რას იზამს ახალი ხელისუფლება. იმედია, საგარეო საქმეთა სამინისტროში ცვლილებების ფონზე, ეს საკითხი დაიძვრება და ახალ დიპლომატიურ კორპუსს გაცილებით ეფექტურად მუშაობის საშუალება ექნება.

— რა მდგომარეობაშია იერუსალიმში არსებული „ქართული სახლი“... ვანდალური ფაქტი, რომელიც ჯვრის მონასტერზე განხორციელდა, დაემთხვა პალესტინისთვის საქართველოს მხარდაჭერას. ხომ არაა მისი დახურვის საფრთხე, დედაოებს ხომ არ შექმნიათ რაიმე პრობლემა?

— არანაირი საფრთხე იერუსალიმის სახლს არ ემუქრება. ბეთლემში არსებული ქართული სახლი დროებითაა დახურული, რადგან უნდა გაირკვეს, რა სახით გააგრძელებს არსებობას — დარჩება როგორც სახლი, თუ გახდება მონასტერი. არ მესმის, რა შუაშია საქართველოსთან ის, რომ ჯვრის მონასტრის ღობეზე ქრისტიანობის შეურაცხმყოფელი განცხადებები დაწერეს? იმავე დღეს, რამალასთან ახლოს, ერთ-ერთ ქრისტიანულ ტაძარზეც იყო მსგავსი წარწერები გაკეთებული. ეს ინციდენტები არაფერ შუაშია საქართველოსა და ქართველებთან. ეს იყო, ზოგადად, ქრისტიანობის წინააღმდეგ მიმართული ქმედება.

— დღეს რა სახსრებით ფუნქციონირებს „ქართული სახლი“?

— იერუსალიმში არიან დედა ევგენია და დედა სალომე. სახლი შემოწირულობებით არსებობს. არც სახელმწიფოს, არც სხვა მხრიდან დაფინანსება არ აქვთ და არც არასოდეს ჰქონიათ. ზამთრის პერიოდი მათთვის ყველაზე რთულია, რადგან გაზის გადასახადია მაღალი. თავის გატანა გაზაფხულზე უფრო უადვილდებათ. კარგი იქნებოდა, იერუსალიმის სახლს გარკვეული კულტურული ცენტრის ფუნქცია ჰქონოდა. ყოველწლიური მიწის გადასახადის შეღავათით სარგებლობენ „დიპლომატური სახურავის“ ქვეშ არსებული სახლები. ამის პრაქტიკა მსოფლიო დიპლომატიაში არსებობს. ასეთ შემთხვევაში ბევრი კარგი რამ შეიძლება გაკეთდეს, როცა ასეთი სახლები დიპლომატიურ წარმომადგენლობასთანაა დაკავშირებული.

— რატომ არ მოხდა ამ საკითხით დაინტერესება თქვენი ელჩობის პერიოდში?

— ჩემი ელჩობის დროს გაიხსნა ეს სახლი. საბუთების მოწესრიგების პროცესი იყო და იმ პერიოდში ამ სახლს საკმაოდ ეფექტურად ვინახავდით. დედაოებს ჰქონდათ მიმართვა წინა მოწვევის პარლამენტში. შეიკრიბა 17 პარლამენტარი და გადაწყდა, რომ თითოეული მათგანი 100-100 დოლარს გადაურიცხავდა ქართულ სახლს, მაგრამ, როგორც ვიცი, ეს მხოლოდ ერთხელ მოხდა.

— რუსეთში პატრიარქის ვიზიტისგან რას უნდა ველოდეთ?

— როგორც ცნობილია, მისი უწმინდესობა დაჯილდოვდა მაღალი ჯილდოთი და პრემიით მართლმადიდებელ ხალხებს შორის ურთიერთობების გაღრმავებისა და მისი მოღვაწეობის გამო. პატრიარქი რუსეთში ამ ჯილდოს მისაღებად ჩადის. იქნება ოფიციალური შეხვედრები რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის საჭეთმპყრობელთან, ჩატარდება ერთობლივი წირვა. ასევე, პატრიარქი დააყენებს საკითხს მეფეების, თეიმურაზისა და ვახტანგის ნეშტების გადმოსვენების თაობაზე. იმედია, ყველაფერი დადებითად გადაწყდება და წელს მოხდება მათი გადმოსვენება სამშობლოში. საუბარი, ბუნებრივია, შეეხება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. რუსეთის ეკლესია აღიარებს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ვიზიტის დროს, კათოლიკოს-პატრიარქი მუდმივად აყენებს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხს რუსეთის ხელმძღვანელობასთან, მაგრამ კონკრეტული შეხვედრის შესახებ ჯერ არაა საუბარი.

10-15 იანვარს ლიტვის, ლატვიისა და ჩეხეთის რესპუბლიკებში მაია ფანჯიკიძის ვიზიტი გაიმართება

როგორც „პირველს“ საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, მაია ფანჯიკიძე შეხვედრებს თავის კოლეგებთან, ასევე აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების სხვა მაღალ წარმომადგენლებთან გამართავს.

დაგეგმილია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლა ვილნიუსში, აღმოსავლეთ ევროპის სწავლების ცენტრში, თემაზე — „საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა — განგრძობადობა თუ ცვლილება“.

გარდა ამისა, ლიტვა-საქართველოს შორის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში არსებული კომისიის 2013 წლის სამოქმედო გეგმის ხელმოწერის ცერემონია გაიმართება.

ლიტვის რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მონაწილეობას მიიღებს თრაკაიში დაგეგმილ შნონ ჯეეტინგ-ში. ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის მაღალი რანგის ოფიციალური პირების, ასევე საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტთა ყოველწლიურ არაფორმალურ განხილვებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დაესწრება.

14 იანვარს იგეგმება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლა არასამთავრობო ორგანიზაციაში — LATO (Latvian Transatlantic Organisation, ლატვიის ტრანსატლანტიკური ორგანიზაცია).

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ვიზიტის ფარგლებში, ლიტველ, ლატვიელ და ჩეხ კოლეგებთან ერთად, ერთობლივ პრესკონფერენციას გამართავს.

„პირველი“

თეა წულუკიანი: „ბოლო ინფორმაციით, ადეიშვილი ბუდაპეშტში იმყოფებოდა“

იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადებით, იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი ბუდაპეშტში იმყოფებოდა:

„ჩემი ბოლო ინფორმაციით, ადეიშვილი იმყოფებოდა ბუდაპეშტში, სადაც მას სტუმრად არაერთი მაღალჩინოსანი ეწვია. ნებისმიერი ბრალდებულის მიმართ, რომელიც არ ცხადდება საგამოძიებო ორგანოში, არსებობს სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც არ ჩაირთვება იმისთვის, რომ მოძიებული იყოს ჩემი წინამორბედი“.

პარლამენტი 14 იანვრიდან მუშაობის განახლებას გეგმავს

საკანონმდებლო ორგანოში რიგგარეშე სესიები გაიმართება, რომელიც 14 იანვარს, ბიუროს სხდომით დაიწყება, ხოლო 15, 16, 17, 18 იანვარს პარლამენტში რიგგარეშე სესიები ჩატარდება. როგორც ჟურნალისტებთან საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, დავით საგანელიძემ განაცხადა, დეპუტატებს ბევრი საკითხი დარჩათ განსახილველი, რომელიც თებერვლამდე ვერ მოიცდის:

„ძალიან ბევრი საკითხია ისეთი, რომელიც თებერვლამდე ვერ მოიცდის და, შესაბამისად, იანვრის მეორე ნახევარში, შესაძლოა, დაგვჭირდეს რიგგარეშე სესიების მოწვევა“.

საგანელიძის თქმით, შესაძლოა, დეპუტატებმა რიგგარეშე სესიებზე საგადასახადო სისტემისა და პარლამენტის თბილისში გადმოტანის შესახებ იმსჯელონ.

შეგახსენებთ, რომ კანონმდებლობის მიხედვით, საკანონმდებლო ორგანომ საგაზაფხულო სესიები თებერვლის დასაწყისში, პირველ სამშაბათს უნდა განაახლოს.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ვერსიანიუსი

დიდი ოდენობით ფსიქოტროპული პრეპარატის შემოტანის ფაქტზე, მამაკაცი დააკავეს

სამართალდამცველებმა დიდი ოდენობით ფსიქოტროპული პრეპარატის შემოტანის ფაქტზე, მამაკაცი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 1984 წელს დაბადებულ ტარელ მ.-ს პირადი ჩხრეკისას აღმოჩნდა, რომ ის საქართველოში კონტრაბანდული გზით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფსიქოტროპული პრეპარატ „ლირიკის“ შემოტანას ცდილობდა. დაკავებულს ამ პრეპარატის 108 ფირფიტა სხეულზე და ქურთუკის შიდა მხრიდან ჰქონდა ჩამაგრებული.

საერთო ჯამში, სამართალდამცველებმა „ლირიკის“ 1512 აბი დაითვალეს, რომლებიც ექსპერტიზის თანახმად, 453,6 გრამ ფსიქოტროპულ ნივთიერება „პრეგაბალინს“ შეიცავს.

ცნობისთვის, არსებული კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოში „ლირიკის“ შემოტანა მხოლოდ სპეციალური ნებართვით შეიძლება და თავისუფალი ბრუნვიდან ამოღებულია.

სისხლის სამართლის საქმე აღძრულია 261-ე მუხლის (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონოდ შეძენა-შენახვა) მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 263-ე მუხლის (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანა), მე-3 „ა“ ქვეპუნქტით.

აღნიშნული დანაშაული თავისუფლების 15 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

„პირველი“

მერაბ ბერიძე

კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ოქტომბერში გაიმართება, სადაც კენჭს ვეღარ იყრის მიხეილ სააკაშვილი. კოალიცია „ქართული ოცნების“ ჯერჯერობით გაცხადებული კანდიდატები ირაკლი ალასანია და ვახტანგ ხმალაძე არიან, დანარჩენი პოტენციური ლიდერები კი დუმილის რეჟიმში ყოფნას განაგრძობენ. ამასთან, მომავალ პრეზიდენტს ბევრად შეზღუდული უფლებამოსილება ექნება და პარლამენტსა და მთავრობას შორის „მომრიგებელ-მოსამართლის“ საპატიო როლს შეასრულებს.

„მომდევნო პრეზიდენტი, ფაქტობრივად, ქვეყნის „საქორწინო გენერალი“ იქნება, მეტი არაფერი“

ვინ შეცვლის 2013 წელს საკაშვილს?

მმართველი კოალიციის შიგნით, საპრეზიდენტო კენჭისყრასთან დაკავშირებით, პირველი პოლიტიკური მოთელვები დაფიქსირდა. თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ კანდიდატი საპრეზიდენტო არჩევნებში დიდი ალბათობით გაიმარჯვებს, მაგრამ კოალიციას საპრეზიდენტო კანდიდატის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია:

„კოალიციამ ჯერ ვერ მოიცალა ამ საკითხის გადასაწყვეტად და არც არის საჩქარო. ჩვენ გვაქვს კიდევ რამდენიმე თვე იმაზე შესათანხმებლად, ვინ იქნება კანდიდატი. დარწმუნებული ვარ, კანდიდატი იქნება ღირსეული, რომელიც დიდი ალბათობით გაიმარჯვებს საპრეზიდენტო არჩევნებში. ჩვენთვის მთავარი ამოცანაა, შევქმნათ ახალი გარემო თვისებრივად კონკურენტული არჩევნების ჩასატარებლად“.

ალასანიას გუნდის წევრები დარწმუნებულნი არიან, რომ თავდაცვის მინისტრი პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელების შემთხვევაში, დიდ მხარდაჭერას მოიპოვებს. ზურაბ აბაშიძეს ეჭვი არ ეპარება, რომ კოალიციას ერთიანი კანდიდატი ეყოლება: **„ჩვენ ვისურვებდით, კანდიდატი ირაკლი ალასანია იყოს და ამაში ორი აზრი არ არის, ის ჩვენი თავისუფალი დემოკრატების ლიდერია და თუ ისურვებს, კენჭი იყაროს, დარწმუნებული ვარ, დიდი მხარდაჭერა ექნება “.**

თავის მხრივ, პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის, ვიქტორ დოლიძის განცხადებით, „ოცნებას“, შესაძლოა, რამდენიმე საპრეზიდენტო კანდიდატი ჰყავდეს: **„ყველაფერი შესაძლებელია და გამორიცხული არაფერია. ეს არის ჯანსაღი პროცესი. კოალიცია იმიტომ შეიქმნა, რომ შეიძლება ერთიანი ლიდერი დაასახელოს და შეიძლება — სხვადასხვაც, რადგან რამდენიმე პოლიტიკური სუბიექტისგან შედგება“.**

დოლიძემ ასევე აღნიშნა, რომ „ყველა პოლიტიკური ძალა, პარტია იმიტომ არსებობს, ყველა ფიქრობს, თავისი კანდიდატი ჰყავდეს“ და არ უარყო, თუ პარტია თავისუფალი დემოკრატები დამოუკიდებელ კანდიდატურას დაასახელებენ, ეს ირაკლი ალასანია იქნება: **„ჩვენი პარტიის ლიდერი, ლოგიკურად, ირაკლი ალასანიაა და შემდეგ რა მოხდება, ვნახოთ“.**

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძეც ადასტურებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე „ოცნებამ“, შესაძლოა, რამდენიმე კანდიდატი წარადგინოს: **„შესაძლოა, „ქართულმა ოცნებამ“ ერთი კანდიდატი წარადგინოს, თუმცა არ არის გამორიცხული, კოალიციის ერთმა ნაწილმა თავისი კანდიდატი შემოგვთავაზოს, მეორემ – მეორე და ეს იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება“.**

პარლამენტის ვიცე-სპიკერის, მანანა კობახიძის განცხადებით, „ოცნების“ პოლიტსაბჭოს პრეზიდენტობის კანდიდატთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მიღებული არ აქვს: **„ამისთვის წინ დიდი დროა. ალბათ, ამ საკითხზე ვიმსჯელებთ და შესაბამისი გადაწყვეტილება იქნება მიღებული. რაც შეეხება ვახტანგ ხმალაძეს, რომელიც პრემიერმა არაერთხელ ახსენა, რა თქმა უნდა, გამორიცხული არაფერია და მე მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს“.**

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია ირწმუნება, რომ კოალიციაში საპრეზიდენტო კანდიდატზე მსჯელობა, ჯერჯერობით, არ დაწყებულა და საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პოზიცია არ არის: **„სხვადასხვა კანდიდატი სახელდება, თუმცა გადაწყვეტილება არ არის მიღებული და კონსულტაციებიც არ ყოფილა. კოალიციას ერთი კანდიდატი ეყოლება თუ რამდენიმე, ეს პროცესი წინ გველოდება“.**

ეს რაც შეეხება მთავარი პოლიტიკური მოთამაშეების დამოკიდებულებას საკითხის მიმართ. გასაგებია, რომ ისინი ფრთხილობენ და წინასწარი დასკვნებისგან თავს იკავებენ. არჩევნებამდე საკმაო დროა დარჩენილი და ცვლილებები ჯერ კიდევ წინაა. დიდ ინტერესს იწვევს საზოგადოების პოზიცია, იმ ადამიანების აზრი, ვინც ქვეყნის ახალ, თუნდაც ნომინალურ ლიდერს ნდობა უნდა გამოუცხადოს და ხმა მისცეს. სააგენტო „პირველმა“ ჩაატარა სოციოლოგიური გამოკითხვა. კითხვას, ვის ისურვებდით საქართველოს პრეზიდენტად, ორ დღეში 2 500-ზე მეტმა ადამიანმა უპასუხა. მათგან 29.67% ირაკლი ალასანიას გაპრეზიდენტების მომხრეა. მეორე ადგილზეა ნინო ბურჯანაძე, 11.93%-ით. მესამეზე, ვანო მერაბიშვილი — 10.68%; მეოთხეზე, კახაბერ შარტავა — 7.8%; მეხუთეზე, ვახტანგ ხმალაძე — 6.46%; მეექვსეზე, დავით ბაქრაძე — 3.7%; მეშვიდეზე, დავით უსუფაშვილი — 3.53%. დანარჩენმა კანდიდატებმა ხმების მცირე რაოდენობა მიიღეს. 4,5-მა პროცენტმა ყველას წინააღმდეგ ხმა მისცა.

„ვერსია“ თბილისელების აზრით დაინტერესდა.

ნუკრი მაისურაძე, 56 წლის: **„ბოლომდე არ ვარ გარკვეული, კონკრეტულად, რა უფლებამოსილების პრეზიდენტს ვირჩევთ. უკვე კარგია, რომ სააკაშვილი ქვეყნის ლიდერი ვეღარ იქნება, მაგრამ საპრეზიდენტო პოსტი ამ კაცსა და მის ხუშტურებს არ უნდა გადავაყოლოთ. გამსახურდიას ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის შემდეგ, ერთი პერიოდი პრეზიდენტის თანამდებობა საერთოდ გაუქმებული იყო. შევარდნაძემ მაშინ სახელმწიფოს მეთაური დაირქვა, რაც მხოლოდ სახელის შეცვლას ნიშნავდა. მერე ისევ აღდგა პრეზიდენტის პოსტი. სააკაშვილმა 2004 წლის შემდეგ ყველაფერი საკუთარ ხელში მოაქცია და რა შედეგებიც მივიღეთ, ვხედავთ. რომ ჩვენი ტიპის გარდამავალ სახელმწიფოში პრეზიდენტს საჭირო უფლებამოსილება უნდა ჰქონდეს და მარტო ცერემონიებით არ უნდა შემოიფარგლოს. ასეთ შემთხვევაში, პრეზიდენტის პოსტზე ირაკლი ალასანიას ან, თუნდაც, ნინო ბურჯანაძის კანდიდატურას მხარს დავუჭერდი. რაც შეეხება „ნაციონალებს“, არა მგონია, მომავალ შემოდგომაზე რაიმე შანსი ჰქონდეთ. მათი საქმე წასულია“.**

ლამარა მენთეშაშვილი, 63 წლის: **„პრეზიდენტის როლისა და ადგილის გაუფასურება კარგს არაფერს მოგვიტანს. პატივს ვცემ ვახტანგ ხმალაძეს. ძლიერი იურისტი და უწესიერესი ადამიანია, მაგრამ ჩვენისთანა დაულაგებელ ქვეყანაში პრეზიდენტი არ შეიძლება მარტო საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის, არბიტრის ფუნქციის მატარებელი იყოს. როგორც ვატყობ, ხმალაძეს მხოლოდ ასეთი უფლებამოსილების თანამდებობაზე ექნება კენჭისყრის სურვილი. მეორე მხრივ, გაუგებარია, ირაკლი ალასანიას რატომ უნდა ამ თანამდებობაზე კენჭისყრა. ახალგაზრდა კაცია და წინ აქვს აქტიური პოლიტიკური მომავალი. პოლიტიკოსები ჯერ უნდა ჩამოყალიბდნენ, რა უნდათ და მერე იმსჯელონ შესაბამის კანდიდატურებზე. პრეზიდენტი ძლიერი ფიგურა უნდა იყოს, რომელიც კრიზისულ მდგომარეობაში პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებს. დარწმუნებული ვარ, არჩევნებამდე სხვა პოტენციური კანდიდატებიც გამოჩნდება, ვინც დღეს ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს. ძლიერი კონკურენციის გარეშე კი, ნორმალური არჩევანის გაკეთება გაგვიჭირდება“.**

შექმნილ რეალობასა და მოსალოდნელ შედეგებზე კომენტარი პოლიტოლოგ **ჰამლეტ ჭიპაშვილსაც** ვთხოვეთ: **„ახალი რედაქციის მიხედვით, რაც პრეზიდენტის არჩევის შემდეგ, მეორე დღესვე შევა ძალაში, მთელი ძალაუფლება ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ხელში გადადის. სააკაშვილს ასე ჰქონდა დაგეგმილი, რომ პრემიერი გახდებოდა. იქამდე ამ პერიოდს ვანო მერაბიშვილი გაივლიდა. ამ შემთხვევაში, პრეზიდენტი ვინ გახდებოდა, ამაზე მხოლოდ ვარაუდი იყო. საუბრობდნენ ბაქრაძესა და სხვებზე. ჭორის დონეზე, მაგრამ მაინც.**

რაც შეეხება ახალ რეალობას, ივანიშვილმა, თუ არ ვცდები, ორჯერ დაასახელა ვახტანგ ხმალაძის კანდიდატურა, მაგრამ კოალიციაში სხვადასხვა აზრია. მათ შორის, გასათვალისწინებელია ალასანიას პარტიის წევრთა მოსაზრებები. არ იქნება გასაკვირი ხმალაძის სიტყვები, რომ კოალიციამ, შესაძლოა, არაერთი კანდიდატი დაასახელოს. ამასთან, 2013 წლის ოქტომბერში არჩეული პრეზიდენტი, ფაქტობრივად, ამ ქვეყნის „საქორწინო გენერალი“ იქნება, მეტი არაფერი. დაახლოებით, ისეთი უფლებამოსილება ექნება, როგორიც ვთქვათ, გერმანიაში აქვს პრეზიდენტს.

დღემდე დასახელებულ კანდიდატურებს აქვთ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის თანამდებობა საქართველოში, ახალი კონსტიტუციიდან გამომდინარე, 15 წლის ყმაწვილებს არ უნდა ეკავოს. ალასანია პრეზიდენტობისთვის შეუფერებელი ასაკის მატარებელი მგონია. ეს არის დამჯდარი პიროვნების თანამდებობა — პრეზიდენტი არ უნდა იყოს ასეთი ქორფა. ჯერ ერთი, ეს ალასანიას პოლიტიკური ზრდის შეჩერება იქნება. მხედველობაში მაქვს, რომ წარმოუდგენელია პრეზიდენტობის შემდგომ, პრემიერ-მინისტრის უფრო ძალისმიერი თანამდებობისთვის იბრძოლო. ეს, ცოტა არ იყოს, სასაცილო მდგომარეობა იქნება. აქ უნდა დასახელდეს პიროვნება, რომელიც ერს გამოაჩენს, მისი სახე იქნება.

კონკრეტულად ვერ დავასახელებ, მაგრამ პრეზიდენტი უნდა იყოს საპატიო ასაკის პიროვნება, რომელსაც საზოგადოება დიდ პატივს სცემს და რომელიც განახორციელებს ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა პატიმრების შეწყალება, დაჯილდოება, უცხოური მაღალი რანგის დელეგაციების მიღებადა ა.შ. არ არის საჭირო აკადემიკოსობა და თუნდაც, უშიშროების სამსახურში მუშაობა, რა ტვირთი და გამოცდილებაც ალასანიას აქვს. უნდა იყოს ცნობილი პიროვნება, მეცნიერი, ისტორიკოსი, ადამიანი, ვისაც ერი იცნობს და პატივს სცემს. სამწუხაროდ, ეს ხალხი ლამის, დაიკარგა სააკაშვილის წყალობით. ისინი წლების განმავლობაში ჩაირეცხნენ, მაგრამ ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია, 35 წლის ყმაწვილის გაპრეზიდენტება. ეს უკვე გვქონდა და აღარ გვინდა. ასევე, მიუღებელი პრეზიდენტის სასახლისთვის ფუნქციის წართმევა. დღევანდელი სახელმწიფო კანცელარია კომპარტიის ოფისი იყო თავისი ვიწრო დანიშნულებით. პრეზიდენტის ახალმა სასახლემ კი თავისი ფუნქცია უნდა შეინარჩუნოს და გააფართოვოს“.

ოქტომბერში საქართველოს ახალი პრეზიდენტი ეყოლება. სააკაშვილის ხუშტურები სულს ღაფავს და მალე, ალბათ, დავიწყებას მიეცემა. ქვეყანას ახალი ლიდერი სჭირდება, რომელიც ყველაფერს საკუთარ თავზე არ მოირგებს. არც ისე გამოვა, რომ საქართველოს პრეზიდენტს წამყვანი პოლიტიკური მოთამაშეები არაფერს ეკითხებოდნენ და არბიტრის სასტვენის ამარა დატოვონ. ნებისმიერ შემთხვევაში, უკვე დადებითი ფაქტია, რომ მომავალ არჩევნებზე ადამიანებს თავისუფალ გარემოში ხმის მიცემის საშუალება ექნებათ. ამ ქვეყნის მოსახლეობას შეცდომის დაშვების უფლება აღარ აქვს.

ვერსიანიუსი

სააპელაციო სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილს 11-წლიანი პატიმრობა მოუხსნა

სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა, რომლის თანახმადაც, ბრალდების მხარემ ოქრუაშვილისთვის ბრალის მოხსნის შესახებ შუამდგომლობა თავად დააყენა. ბრალდების მხარის განცხადებით, „ჯეოსელის“ წილების გამოძალვის ეპიზოდთან დაკავშირებით არსებულ მტკიცებულებებში ოქრუაშვილის ბრალეულობა არ იკვეთება.

ამასთან, ბრალდების მხარის განცხადებით, ისინი გამოითხოვენ კომუნიკაციის მარეგულირებელი კომისიის ყოფილი თავმჯდომარის, დიმიტრი ქიტოშვილის იმ ჩვენებას, რომელშიც ის აცხადებს, რომ მისი და ოქრუაშვილის წინააღმდეგ ჩვენება ზეწოლისა და მუქარის შედეგად მიაცემინეს.

„გამოიკვლევა გარემოებები და კანონით გათვალისწინებული ყველა ღონისძიებით, ქიტოშვილის ჩვენებას შევისწავლით“, — განაცხადა პროკურორმა, მერაბ ჯერენაშვილმა.

ამასთან, დაზარალებული, „ჯეოსელის“ ყოფილი მეწილე ჯემალ სვანაძე პროკურორების შუამდგომლობას ოქრუაშვილისთვის ბრალის მოხსნის შესახებ, დაეთანხმა და აღნიშნა, რომ მას საქმე არა ოქრუაშვილთან, არამედ ქიტოშვილთან აქვს. მოსამართლემ დაკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და გააუქმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, ოქრუაშვილისთვის თავისუფლების 11 წლის ვადით აღკვეთის შესახებ, თუმცა ოქრუაშვილი სხდომის დარბაზიდან ვერ გათავისუფლდა, რადგან მის წინააღმდეგ საქალაქო სასამართლოში სხვა საქმეები იხილება.

შეგახსენებთ, რომ ოქრუაშვილს ბრალად სსკ 338-ე მუხლის მე-3 ნაწილით ედებოდა ბრალი, რაც ქრთამის გამოძალვას ნიშნავს.

„პირველი“

დავით ბერძენიშვილი: „სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში სკოლა და განათლების სისტემა არჩევნების გაყალბების ნაწილად იქცა“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, დავით ბერძენიშვილის განცხადებით, იმ პირებს, რომლებიც საჯარო სექტორში იყვნენ დასაქმებულნი და ხელმძღვანელებმა დანაშაულში ჩაითრიეს, ამნისტია შეეხებათ.

„ზოგადად, შემიძლია ვთქვა, რომ ეს შეეხება საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანების აბსოლუტურ უმრავლესობას, რომლებიც ნებით თუ უნებლიეთ, მათი ხელმძღვანელების მიერ ჩათრეულნი იყვნენ დანაშაულში.

გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან ამ ადამიანების 80-90% გათავისუფლდება“, — განაცხადა ბერძენიშვილმა და მაგალითად, წინა ხელისუფლების პერიოდში სკოლებში არსებული მდგომარეობა მოიყვანა: **„მრავალი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით კი, სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში, სკოლა და განათლების სისტემა უფრო და უფრო ეფლობოდა „საარჩევნო მანქანაში“ და ბოლო წლებში ის გაყალბების ერთ-ერთ სერიოზულ შემადგენელ ნაწილად იქცა, თუმცა ბუნებრივია, თითოეული ადამიანი, რომელიც ძალდატანებით მონაწილეობდა გაყალბებაში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის წინაშე ვერ დადგება“.**

„ნიუსპრესი“

SOS! საფრთხე, რომელიც ახალგაზრდობას განადგურებით ემუქრება!

რა არის „ლეგალური ნარკოტიკი“ „სპაის-გოლდი“ და რაფომ არ გვაქვს ლაბორატორია, რომელიც მას აღმოაჩენს?

ნელი თორდია

წელიწადზე მეტია, საქართველოში დაუბრკოლებლად შემოედინება და ვრცელდება სინთეტიკური ნარკოტიკის ახალი სახეობა, რომელიც ვიზუალურად ბალახს წააგავს და მარიხუანას მსგავსი მოქმედება გააჩნია. ბიო-მოსაწევად ცნობილი „ლეგალური ნარკოტიკის“ საქართველოში შემოტანისა და გავრცელების გზებზე „ვერსიას“ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლებების დაცვა-ანტიკორუფციული კავშირის თავმჯდომარე გიორგი ბურჯანაძე ესაუბრება.

— თქვენს მკითხველს მივაწვდი საგანგაშო ინფორმაციას იმ საფრთხის შესახებ, რომელიც ჩვენს ახალგაზრდობას განადგურებით ემუქრება. საქართველოში გამოჩნდა ნარკოტიკული საშუალება, რომლის „ხელზე“ შეძენა ან ინტერნეტით გამოწერა სირთულეს არ წარმოადგენს. მას უკვე უამრავი მომხმარებელი ჰყავს. მოქმედი კანონმდებლობით, პრეპარატის მოხმარება, რომელსაც ზოგი „ბიოს“ უწოდებს და ზოგი „სპაის გოლდს“, აკრძალული არაა. არადა, მას ისეთივე ნარკოტიკული თრობის ეფექტი აქვს, როგორც მარიხუანას. ვიზუალურად, პალმის ბუსუსების მსგავსად გამოიყურება, თუმცა მაკარონისმაგვარი ჩხირების სახითაც შეხვდებით. „სპაის გოლდი“ საქართველოში ევროპიდან, საფოსტო გზავნილების საშუალებით შემოედინება. სხვადასხვა სახის შეფუთვით შენიღბულ ნარკოტიკს დებენ კოლბებში და ისე გზავნიან.

— ახალი ნარკოტიკით, განსაკუთრებით, მოზარდები დაინტერესდნენ. ეს ხელმისაწვდომობის „დამსახურებაა“ თუ დაბალი ფასისა?

— სწორედ ესაა საგანგაშო, რომ ახალი ნარკოტიკის მიმართ ინტერესი მოზარდებმა გამოიჩინეს. ბარებსა და დისკოთეკებზე, ძირითადად, „ბიოს“ მოიხმარენ. ვერ ვიტყვი, რომ იაფფასიანი და ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი ნარკოტიკია, რადგან, როგორც ვიცი, 3-გრამიანი პაკეტი 50-60 ევრომდე ღირს, მაგრამ ამ პრეპარატის განსაკუთრებულობა ისაა, რომ ტესტს არ ექვემდებარება — 2-საათიანი გამაბრუებელი ეფექტის შემდეგ, მისი კვალის აღმოჩენა შეუძლებელია ანუ „ბიოს“ მოწევიდან 2 საათის შემდეგ, ადამიანი არხეინად მართავს საჭეს, თან მშვიდადაა, რადგან იცის, რომ პოლიცია შემოწმების შემთხვევაშიც ვერაფერს აღმოაჩენს. „ბიოს“ მომხმარებელმა კარგად იცის, რომ ქალაქში რამდენიმე ადგილია, სადაც ამ ნარკოტიკის ყიდვა დაუბრკოლებლად შეუძლია. ვფიქრობ, შექმნილი ვითარება საკანონმდებლო ხარვეზის ბრალია. შესაბამისმა სამსახურებმა სასწრაფოდ უნდა მოიმოქმედონ რამე, ასეთი ტიპის პრეპარატების ასაკრძალად! გემახსოვრებათ, რა სკანდალი მოყვა სააფთიაქო ქსელში ისეთი ფსიქოტროპული წამლების თავისუფლად გაყიდვას, როგორიცაა „ლირიკა“ და „ჰელიმონია“. ასეთი უკონტროლობის შედეგები პირველად დააფიქსირეს სკოლის მასწავლებლებმა, რომლებიც გაოგნებულები უყურებდნენ, როგორ ეძინებოდათ მოსწავლეებს გაკვეთილზე და სკამებიდან ცვიოდნენ... ტელეეთერში შესაბამისი სიუჟეტის გასვლიდან ერთი კვირის შემდეგ, ერთ-ერთი აფთიაქი გადავამოწმეთ და „ლირიკა“ კვლავ გაყიდვაში დაგვხვდა. სამწუხაროა, რომ სახელმწიფომ დღემდე თავი ვერ მოაბა ამ პრობლემის გადაწყვეტას და მომავალი თაობა დაუცველია.

ახალი ნარკოტიკის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას გავარკვიეთ, რომ „სპაის გოლდის“ შემქმნელი „სპაის ბრენდი“ აწარმოებს განსხვავებული სიძლიერის მოქმედების მოსაწევის რამდენიმე ვარიანტს: Spice Silver, Spice Gold, Spice Diamond.

ნაერთები დაფასოებულია სხვადასხვა ფერის პაკეტებში და შეიცავს 3-3 გრამ ნარკოტიკულ ნივთიერებას. დღეისთვის, ბოლომდე შესწავლილი არ არის, რა ზემოქმედებას ახდენს „სპაის გოლდი“ ადამიანის ორგანიზმზე, თუმცა ცნობილია, რომ დოზის გადაჭარბებისას (განსაკუთრებით, გამოუცდელი მწეველის შემთხვევაში), ახასიათებს თავბრუსხვევა, გულისრევის შეგრძნება, ჰალუცინაციები და შფოთვა. არსებობს მოსაწევის გამოყენების შედეგად გარდაცვალების ფაქტებიც. დღეისთვის, პრეპარატი აკრძალულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, აშშ-სა და რუსეთში.

მასალაზე მუშაობისას, „თბილისის ფორუმზე“ „სპაის გოლდის“ მოყვარულთა საინტერესო დიალოგებს გადავაწყდით: „როდის შევძლებთ „ბიოს“ ყიდვას? ვინმეს აქვს კონტაქტი ედგარასთან?“ „ამბობენ, უკრაინაში გაალეგალეს და მთელი უკრაინა შეჯდა „ბიოზეო“. 2 წლის წინ ვიწერდით სხვადასხვა სახეობებს და ასწორებდა... ეფექტი მშვენიერი აქვს, არანაირი დადებილება და ა.შ. როგორც ითქვა. მგონი, აქაც ჩვეულებრივად გაიყიდება მალე“...

ნარკოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელთან, გელა ლეჟავასთან საუბარში კი გავარკვიეთ, რომ ახლადგამოჩენილ ნარკოტიკთან მიმართებაში საკანონმდებლო ხარვეზი არაფერ შუაშია და ძირითადი პრობლემა სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორიების არარსებობაა.

— თქვენი სტატია უნდა იყოს განგაში, რადგან სერიოზულ პრობლემას შეეხეთ. ე.წ. ლეგალური ნარკოტიკი არის პრობლემა, რომელზეც ევროპა 2005 წლიდან მუშაობს, რადგან მას შეუძლია ორგანიზმს ზიანი მიაყენოს. მაფიამ იეშმაკა, როცა ნარკოტიკული ნივთიერების ქიმიური ფორმულის შეცვლით ის „ლეგალური“ გახადა.

— და ადვილად ხელმისაწვდომიც, არა?

— დიახ. მაგალითად, არსებობს ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინი“ და აქვს თავისი ქიმიური ფორმულა, რომლითაც შესულია გაერო-ს მიერ დადგენილ ნარკოტიკთა სიაში. გასაგებია, რომ ესაა ნარკოტიკი და მისი გამყიდველი დასაჭერია, მაგრამ მაფიამ გააკეთა ჰეროინის მსგავსი ნივთიერება, რომელსაც ფორმულაში ერთი შემადგენელი შეუცვალა და თითქოს სხვა ნივთიერება მიიღო. ეს ნივთიერება, თავისი ქიმიური შემადგენლობით, არ შედის ნარკოტიკულ ნივთიერებათა ნუსხაში და „ლეგალურია“. რეალურად კი, თავისი მოქმედებით, შეიძლება, ბევრად ნარკოგენური და მომწამვლელი იყოს, ვიდრე „ჰეროინი“. ნარკომაფიამ, დაახლოებით, 100-მდე ასეთი ნივთიერება შექმნა და ასეთი ეშმაკობის წყალობით, ხელიდან დაუსხლტა კანონმდებლობას. კობა დავითაშვილმა პარლამენტში დასვა ეს საკითხი და ჩვენ შევქმენით საკანონმდებლო ბაზა, მაგრამ ამას აზრი არ აქვს, თუ ვერ დავადგენთ, რა ნივთიერებასთან გვაქვს საქმე.

— შესაბამისი საკანონმდებლო ბაზისა და სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორიების არსებობის შემთხვევაში, აკრძალული ნივთიერების დადგენა განსაკუთრებულ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს?

— სამწუხაროდ, დღეისთვის, ჩვენი ლაბორატორიები ასეთი სახის სამუშაოს შესრულებისთვის მზად არ არიან. თქვენ ახლა უაღრესად სერიოზული საკითხი დააყენეთ, რომელსაც უნდა გამოეხმაურონ ჯანდაცვის სამინისტრო, შსს და ყველა შესაბამისი სტრუქტურა.

დასავლეთში შექმნილია ე.წ. ადრე გამოვლენის სისტემა, რომელშიც ჩართულია აკადემია, პოლიცია... ანუ, მთელი სისტემაა საჭირო, დავადგინოთ, ამა თუ იმ ნივთიერების გამყიდველი უნდა დაიჭირო თუ არა. ხომ უნდა გაირკვეს, მაგალითად, ის თეთრი ფხვნილი, რომელიც ადამიანს აღმოუჩინეს, ნარკოტიკია თუ შაქარი? უნდა არსებობდეს ტესტერი, რომელიც ამას დაადგენს. სამწუხაროდ, ჯერ ამის ფუფუნება არ გვაქვს. ეს სერიოზული პრობლემაა, რომელიც ძალიან სწრაფად უნდა მოგვარდეს.

კერძო ტაქსების მძღოლები გაფიცვით იმუქრებიან!

ნელი თორდია

კერძო პირების მფლობელობაში მყოფი სამარშრუტო ხაზების ერთ კომპანიაში გაერთიანების შემდეგ, ბევრი ვარაუდობდა, რომ მალე, კერძო ტაქსების „გაყვითლების“ დრო დადგებოდა. ამ ფონზე, გასაკვირი არაა, რომ თბილისში „რენოს“ მარკის ტაქსების გამოჩენამ, კერძო ტაქსის მძღოლების საფუძვლიანი შეშფოთება გამოიწვია. მძღოლები შიშობენ, რომ საგადასახადო სისტემის მოწესრიგების მომიზეზებით, დედაქალაქის მერია შეეცდება, ტაქსის ბიზნესში, მიკროავტობუსების მსგავსად, თავისი მონოპოლისტი ფირმა შემოიყვანოს, რაც შემოსავლების შემცირებასა და მათ გაღატაკებას გამოიწვევს. რატომ იმუქრებიან გაფიცვით და რას მოითხოვენ კერძო ტაქსების მძღოლები თბილისის მუნიციპალიტეტისგან? „ვერსიას“ საქართველოს მძღოლთა ასოციაცია „ტასატის“ თავმჯდომარე ნიკოლოზ კაჭკაჭური ესაუბრება.

საქართველოს მძღოლთა ასოციაციის თავმჯდომარე საფრანსპორტო სისტემაში უმართავ სიტუაციას პროგნოზირებს



— თბილისში უამრავი კერძო ტაქსი მოძრაობს. ამას თავისი მიზეზები აქვს. არსებული სოციალური ფონისა და უმუშევრობის გამო, უამრავი ადამიანისთვის ოჯახის რჩენის ერთადერთ საშუალებად, საკუთარი ავტომობილი იქცა. ეს ადამიანები დილიდან გვიან ღამემდე მუშაობენ, ოჯახში პურის ფული რომ შეიტანონ და ამიტომ მათი შიში სრულიად გასაგებია. საქმე ის გახლავთ, რომ ბოლო დროს გამოჩნდა რამდენიმე კომპანია, რომელიც კერძო ტაქსების ბიზნესის ხელში ჩაგდებას ცდილობს. ჩემთვის უცნობია, ვინ არიან ეს ადამიანები და რა პირობებს სთავაზობენ კერძო ტაქსების მფლობელებს, მაგრამ მძღოლები ძალიან ნერვიულობენ და აინტერესებთ, რას უპირებენ მათ. სამწუხაროდ, დღეს მოძრავი კერძო ტაქსები ბიუჯეტს არანაირ გადასახადს არ უხდიან. ზემოხსენებული კომპანიები კი სწორედ ამით სარგებლობენ — საგადასახადო სამსახურებისთვის საქმის გაადვილების მომიზეზებით ცდილობენ, მოიგონონ რაღაც სისტემა, რომ ეს ტაქსები, უკაცრავად და, შეყარონ თავიანთ კომპანიაში.

— ბიუჯეტში გადასახადების შეტანისთვის კომპანიაში გაერთიანება აუცილებელია?

— ადრე, ტაქსებზე გაიცემოდა 10 და 15-ლარიანი ლიცენზიები, რომ მძღოლს ბიუჯეტში გადასახადები შეეტანა, მაგრამ ახლა, ეს გაუქმებულია. ყველამ იცის, რომ კერძო ტაქსის მძღოლებს ბიუჯეტში არც ერთი თეთრი არ შეაქვთ და ამის ასე გაგრძელება შეუძლებელია, მაგრამ საგადასახადო სამსახურებთან ურთიერთობისთვის შუამავალი რგოლი საჭირო არაა. ტაქსის მძღოლები ისედაც კაპიკებზე მუშაობენ და კიდევ სარჩენის დამატება არ სჭირდებათ. თავისთავად ცხადია, რომ კომპანიას, რომელიც ამას ითავებს, შენახვა უნდა, ამიტომ სისტემის მოწესრიგება სახელმწიფომ უნდა აიღოს საკუთარ თავზე და არა რომელიმე კერძო კომპანიამ. კარგი იქნება, თუ ამ საქმეს მერია მიხედავს. უნდა შემოიღონ ყოველთვიური 30 ან 50-ლარიანი ლიცენზიები და მძღოლი შუამავლების გარეშე შეძლებს სახელმწიფოსთან ანგარიშსწორებას.

კერძო ტაქსების მფლობელები აპირებენ, მერიას განცხადებით მიმართონ და ამ პრობლემის მოგვარება სთხოვონ. წინააღდეგ შემთხვევაში, გაფიცვით იმუქრებიან.

— ანუ, სამარშრუტო ტაქსებისა და ავტობუსების შემდეგ, ტაქსების გაფიცვას უნდა ველოდეთ?

— არავის უნდა გაიფიცოს და ოჯახი მშიერი დატოვოს, მაგრამ არც ის უნდათ, ოჯახში წასაღები კაპიკები ვიღაცასთან გასაყოფი გაუხდეთ. ზოგადად, ტაქსების ბიზნესს ყურადღება და მიხედვა სჭირდება, რადგან ახლა ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული და სისტემა წესრიგში თუ არ მოიყვანეს, ბიუჯეტიც დაზარალდება და მოსახლეობაც. სამარშრუტო მიკროავტობუსები რომ შემოჰყავდათ, ვამბობდი, „ფორდის“ ტიპის მიკროავტობუსებს „მერსედესი“ სჯობსმეთქი, მაგრამ არავინ გაითვალისწინა. ეს მანქანები სანამ ახალია, მანამ ამართლებს. უკვე გაჩნდა ძრავის პრობლემები და ამან თუ მასობრივი ხასიათი მიიღო, მერწმუნეთ, მგზავრებს გადაადგილების პრობლემა შეექმნებათ. ამას შედარებისა და იმ შემთხვევისთვის ვამბობ, თუ „რენოს“ ტაქსების შემომყვანმა „ვესტ საიდ ჯგუფმა“ ტაქსების მონოპოლიის ხელში აღება და სისტემის „რენოს“ მანქანებით დაკომპლექტება გადაწყვიტა. სამარშრუტო ტაქსების მსგავსად, ხვალ რომ ვიღაცამ ტაქსის მძღოლებს გამოუცხადოს — თქვენი „მერსედესები“ და „ფორდები“ გადაყარეთ და ტაქსაობა თუ გინდათ, „რენოები“ შეიძინეთო, მარტო გაფიცვა კი არა, უმართავი სიტუაცია შეიქმნება.

სამარშრუტო ტაქსები მსგავსად, ხვალ რომ ვიღაცამ ტაქსის მძღოლებს გამოუცხადოს, თქვენი „მერსედესები“ და „ფორდები“ გადაყარეთ და ტაქსაობა თუ გინდათ, „რენოები“ შეიძინეთო, გაფიცვა კი არა, უმართავი სიტუაცია შეიქმნება.

დაუზუსტებელი მონაცემებით, დღეისთვის, თბილისში 50 000-მდე კერძო ტაქსი მოძრაობს და ყვითელი ლოგოს შეძენისთვის საჭირო 10 ლარის გარდა, ტაქსის მძღოლი არანაირ გადასახადს არ იხდის. იმის გასარკვევად, იგეგმება თუ არა კერძო ტაქსების სისტემაში ტენდერის ჩატარება და ტაქსის მძღოლებისთვის მუშაობის ლიცენზიების შემოღება, მერიას დავუკავშირდით. „ვერსიასთან“ საუბარში მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ მერია კერძო ბიზნესის საქმიანობაში არ ერევა, ამდენად, მათთვის უცნობია ტაქსის მძღოლების პრეტენზიები. „მოგვმართონ განცხადებით. აგვიხსნან, რა უნდათ და რას ითხოვენ. ჩვენი მხრიდან რეაგირება მხოლოდ განცხადებით მომართვის შემთხვევაში იქნება“, — ასეთია თბილისის მერიის პოზიცია.

ნინო ხარშილაძე
საზოგადოება

მომავალი სასწავლო წლიდან, 7 სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში, 14 სპეციალობაზე, სადაც ამავე მიმართულებებზე დოქტურანტურის პროგრამები ხორციელდება, სწავლა უფასო იქნება. მნიშვნელობა არ აქვს, აბიტურიენტი მიიღებს თუ არა სახელმწიფო გრანტს — ბაკალავრიატში მის სწავლას სახელმწიფო სრულად დააფინანსებს.

„ვერსია“ დაინტერესდა, რომელ ფაკულტეტზე იქნება სწავლა უფასო და რა კრიტერიუმებით შეარჩიეს უმაღლესი სასწავლებლები. ამის გასარკვევად, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს, **დავით ზურაბიშვილს** დავუკავშირდით.

2013 წლიდან არაპრესტიჟულ ფაკულტეტებზე სწავლა უფასო იქნება!



რა პრინციპით შეარჩია განათლების სამინისტრომ 7 უმაღლესი სასწავლებლის 14 სპეციალობა

— 2013 წელს ჩარიცხული სტუდენტებისთვის, ბაკალავრიატში 4-წლიანი სწავლა უფასო იქნება, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების შემდეგ სპეციალობებზე: აგრონომია, განათლების მეცნიერებები, ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია, მშენებლობა, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ეკონომიკა, არქეოლოგია, ისტორია, ქართული ფილოლოგია, ფილოსოფია და არქიტექტურა. მეტსაც გეტყვით, ეს საბოლოო ვარიანტი არ არის. ველოდებით შენიშვნებს და, შესაძლოა, რამდენიმე სპეციალობა დავამატოთ კიდეც.

— ამ პროგრამაში რატომ მოხვდა მხოლოდ ის სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები, რომელთაც სადოქტორო პროგრამები აქვთ?

— თანხის პრობლემაა და ამიტომ ავიღეთ კრიტერიუმად ასეთი უმაღლესი სასწავლებლები. რასაკვირველია, გვერჩივნა, ეს პროგრამა ყველა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელზე გავრცელებულიყო, მაგრამ ფიზიკურად არ გვქონდა ამის საშუალება. პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობა აქვს 7 უმაღლეს სასწავლებელს. ესენია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმისა და ბათუმის უნივერსიტეტები. ამ პროგრამის დამსახურებით, უმაღლეს სასწავლებლებს (ასეთი სულ 2-3-ია), მოტივაცია გაუჩნდებათ, სადოქტორო პროგრამები გააკეთონ.

— ის კერძო, აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლები, რომელთაც დოქტურანტურა აქვთ, რატომ ვერ მოხვდნენ ამ პროგრამაში?

— კერძო უმაღლესი სასწავლებლები ისედაც უპირატეს მდგომარეობაში არიან, რადგან სახელმწიფო იქ უფრო მეტ გრანტს მიმართავდა ყოველთვის. მათთან ფასი რეგულირებული არ არის. სტუდენტებს იმდენს ახდევინებდნენ, რამდენიც უნდოდათ. სახელმწიფომ, პირველ რიგში, ვალდებულება უნდა აიღოს მის დაქვემდებარებაში მყოფ უმაღლეს სასწავლებლებზე. კერძო უმაღლესი სასწავლებლებიც რომ დაგვეფინანსებინა, თანხა არ გვეყოფოდა, რადგან ამ შემთხვევაში, 80 მილიონი ლარი იქნებოდა საჭირო. არადა, ამ პროგრამისთვის სულ 8 მილიონია განსაზღვრული.

— არჩევანი მაინცდამაინც, აღნიშნულ სპეციალობებზე რატომ გააკეთეთ?

— სამწუხაროდ, ამ სპეციალობებზე სწავლა დღეს ნაკლებად სურთ ახალგაზრდებს. ქვეყანაში ეკონომიკა უნდა განვითარდეს. 5-10 წლის მერე საქართველო ბევრად განვითარებული უნდა იყოს. რასაკვირველია, განვითარებულ ქვეყანას სჭირდება ფიზიკოსებიც, ქიმიკოსებიც, ფილოლოგებიც. განათლების სფეროს ინვესტირება არასოდეს უნდა შემოიფარგლოს იმის მიხედვით, დღეს ბაზარზე რა მოთხოვნილებაა. სახელმწიფო ყოველთვის გრძელვადიან პერსპექტივაზე უნდა ზრუნავდეს. ახლავე თუ არ ვიფიქრეთ ამაზე, როცა დაგვჭირდება, შესაბამისი კადრები აღარ გვეყოლება.

— ცოტა გასაკვირია, ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი რატომ არ არის მოთხოვნადი?

— სამწუხაროდ, საქართველოში, დღეს ეს ფაკულტეტიც არაპრესტიჟულია, ამიტომ ვცდილობთ, მეტი აბიტურიენტი დავაინტერესოთ ამ პროფესიით. არაა გამორიცხული, ამ ჩამონათვალს კავკასიური ენების ფაკულტეტიც დავამატოთ. ეს ჩვენი სახელმწიფოს მისახედია. საქართველოში კავკასიური ენების სკოლა არსებობდა და აფხაზები ჩამოდიოდნენ აქ სასწავლებლად. ამას პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს და სახელმწიფო უნდა აქცევდეს ყურადღებას, ამას ბაზრის კონიუნქტურას ვერ მიანდობ.

სამწუხაროდ, აღარც აგრონომები გვყავს. რამდენიმე დღის წინ, სოფლის მეურნეობის მინისტრ დავით კირვალიძესთან შეხვედრა მქონდა და მან თქვა, აგრონომების სერიოზული დეფიციტიაო. ახალგაზრდა თაობაში აგრონომი, პრაქტიკულად, არ არის. არიან ის ადამიანები, ვისაც საბჭოთა დროს აქვს ნასწავლი. ჩვენთან არის სპეციალობები, სადაც ყველაზე ახალგაზრდა 60 წლისაა. სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნქციაა, უზრუნველყოს, რომ განათლება რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის იყოს ხელმისაწვდომი. 2013 წლისთვის გრანტებიც გავზარდეთ. გავაუქმეთ 30%-იანი გრანტი და ამის ხარჯზე, გაცილებით მეტი სტუდენტი მიიღებს 100, 70, და 50%-იან გრანტს.

— ამ პროგრამით, მაგისტრატურა და დოქტურანტურა რატომ არ ფინანსდება?

— ხელისუფლებაში ჩვენი გუნდი ახალი მოსულია და უკვე მოვახერხეთ, საგრძნობლად გაგვეზარდა საგრანტო დაფინანსება, უფასო სწავლაც შემოვიღეთ, მასწავლებლებს ხელფასი გავუზარდეთ... ეს იმ ფონზე, როცა განათლების ბიუჯეტი საგრძნობლად არ გაზრდილა. დაველოდოთ ხვალინდელ დღეს. ბევრი საინტერესო გეგმა გვაქვს და ვნახოთ, რა იქნება.

აფხაზეთის ომის ვეტერანი თავდაცვის ყოფილ მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილს ბრალდებებს უყენებს

რატომ დაუნგრია ქოხი გიგი უგულავამ და რა მოთხოვნით ზის ივანიშვილის რეზიდენციის წინ უფროსი ლეიტენანტი ნინო ფოფხაძე

ორიოდე დღის წინ, რეზერვის ოფიცერი, უფროსი ლეიტენანტი, ომის ვეტერანი ნინო ფოფხაძე, ინვალიდ შვილსა და მოხუცებულ დედასთან ერთად, ღია ცის ქვეშ დარჩა. ის პოლიციამ ბარნოვის ქუჩაზე მდებარე სახლიდან გამოასახლა. ქალბატონმა ნინომ „ვერსიას“ გაუმხილა, რომ ეს მისი დარბევის პირველი შემთხვევა არაა. ფოფხაძე თავდაცვის ყოფილ მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილს, მის მოადგილე ალექსანდრე სუხიტაშვილს, გენშტაბის ყოფილ უფროსებს — დევი ჭანკვეტაძესა და გიორგი კალანდაძეს, ასევე თბილისის მერ გიგი უგულავას და პატრულისა და ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებს მძიმე ბრალდებებს უყენებს. ნინო ფოფხაძე თავად გვიამბობს, რისი იმედი აქვს მთავარ პროკურორთან, არჩილ კბილაშვილთან საუბრის შემდეგ და რა მოთხოვნით აპირებს შიმშილობის დაწყებას ივანიშვილის რეზიდენციის წინ.

— მთელი ღამე გავატარე ივანიშვილის რეზიდენციის წინ. აქ მყავს ჩემი მოხუცი დედა და ინვალიდი შვილიც. წასასვლელი არსად გვაქვს. ვიყინებით. ჯერჯერობით, ბატონი ბიძინა არ გვინახავს, მაგრამ... იმედია, ყურადღებას მოგვაქცევს... აფხაზეთის ომში ვიბრძოდი და ნამდვილად, ომის ვეტერანი ვარ... ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვეტერანების სიაში, 80 000-მდე ყალბი გვარი წერია. ეს რომ ვთქვი, ამომიჩემეს და გადამეკიდნენ. 2005 წლის 15 დეკემბერს, ყინვაში, ირაკლი ოქრუაშვილმა ქუჩაში გამოგვყარა. გიგი უგულავამ და ზურაბ ადეიშვილმა ოთხჯერ დაგვარბიეს. ბარნოვის 2-ში დროებით ვიყავით და არასამთავრობო ორგანიზაცია და წინააღმდეგობის მოძრაობა გვიხდიდა ფულს. 8 იანვარს ძველი თბილისის პოლიციის მესამე განყოფილებიდან მოვიდნენ, ვინმე ხინჩაგაშვილი სახლში შემომივარდა და... გამოგვყარეს. სანამ არჩილ კბილაშვილს შევხვდებოდი, მითხრეს, იარაღს ჩაგიგდებთ და ისე გაგაგდებთ აქედანო. სხვა გზა რომ აღარ დამიტოვეს, მთავარ პროკურატურასთან შიმშილობა დავიწყე და კბილაშვილს შევხვდი. ყველაფერი ვუამბე. მითხრა, ეს რთული საქმეა, 2 წელი მაინც უნდა მის გამოძიებას, ამიტომ, სადაც ცხოვრობთ იქ იყავით, ხელს არავინ გახლებთო. 5 იანვარს, სააკაშვილის გადაყენებას რომ ითხოვდნენ, იმ აქციაზე ვიყავი რეზიდენციასთან, სიტყვითაც გამოვედი. ჩემი ინვალიდი შვილი მოსკოვშია დაბადებული და პოლიციელები გვეუბნებიან, აქედან წაეთრიოსო.

— ეს სახლი ვისია?

— რეალურად, არავისი. საბუთები საჯარო რეესტრშია გაყალბებული. ვიღაც ჩრდილოეთ კორეელ ინვესტორს, ჩელხოპატს ეკუთვნისო, მეუბნებიან.

— არჩილ კბილაშვილთან შეხვედრა რატომ მოითხოვეთ?

> **— უნივერსიტეტის ქუჩა №2-ში ჩემი ბინის დაბრუნება მინდა. თვენახევრის წინ სწორედ იქ აღმოაჩინეს დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალა, ტყვიაწამალი და იარაღი. ეს ის ბინაა, საიდანაც 2005 წელს, 15 დეკემბერს გამომასახლეს. იქ 7 წელი ვცხოვრობდით, პრივატიზაცია რომ უნდა გამეკეთებინა, მაშინ გამომაგდო ირაკლი ოქრუაშვილმა. ეგ კაცი პოლიტიკური დევნილი არ არის!**

— რატომ გამოგასახლეს?

— არ ვიცი. მაშინდელი მინისტრის მოადგილემ, ალეკო სუხიტაშვილმა მოიყვანა უამრავი სამხედრო პოლიციელი, მითხრა, ოქუაშვილის სიტყვიერი ბრძანების საფუძველზე მოვედიო. ერთდროულად, ორ ტელეფონზე ლაპარაკობდა და ისე ასრულებდა ჩემი გამოსახლების ოპერაციას. ადვოკატები არ შემოუშვეს, ჩემი ინვალიდი შვილი კი შიშველი წამოაგდეს ფეხზე. ყველაფერი რომ გაიტანეს, გიგი კალანდაძე მომივარდა და ვკითხე, ამას რატომ აკეთებთ-მეთქი. უხეშად მიპასუხა, შენ ვინ გეკითხებაო. ეს ბინები თავად უნდოდათ, რათა გაეყიდათ და ფული ეშოვნათ. გენშტაბის ყოფილი უფროსი დევი ჭანკვეტაძე, რომელიც მაშინ საბინაო კომისიის თავმჯდომარე იყო, ამ ბინებს 5000 დოლარად ყიდდა. ეს ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი კბილაშვილს.

> **3 ზამთარი და 2 ზაფხული ღია ცის ქვეშ ვიყავით. იმ სახლიდან რომ გამომაგდეს იქვე, ახლოს, სადაც ახლა რესტორანი „მწვანე ველია“, მე და ჩემმა შვილმა პატარა ქოხი შევჭედეთ. ის ქოხი, 2012 წლის 25 იანვარს, უგულავამ დამინგრია. მაშინ ზედამხედველობის ორმა თანამშრომელმა — ლადო ჯამბურიძემ და შოთა რუხაძემ მცემეს. ამასწინათ, შოთა რუხაძე ვნახე, გარემოვაჭრეებს არბევდა. მითხრა, ეს ყველაფერი გიგი უგულავამ და ლადო ჯამბურიძემ გაგიკეთესო. ვიღას იმედი უნდა მქონოდა? არც პრეზიდენტის იმედი მაქვს. მეტიც, მიხეილ სააკაშვილი ჩემი მთავარსარდალი არასოდეს იქნება! იძულებული ვარ, ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციასთან ავიდე და იქ დავჯდე.**

— აფხაზეთის ომში რატომ წახვედით?

— 90 წელს მოსკოვი დავტოვე. არადა, შემეძლო მილიარდერი გავმხდარიყავი. მოსკოვში მეუბნებოდნენ, აქ დარჩით, ბინასაც მოგცემთ და კარგადაც იცხოვრებთო, მაგრამ როცა „პერესტროიკა“ მოხდა, ჩამოვედი. ჩემი დიდი ბაბუები და ბიძები სამამულო ომში დაიღუპნენ. გენში მაქვს პატრიოტიზმი. აფხაზეთში 1992-93 წლებში, თითქმის ერთი წელი ვიბრძოდი. ფრონტის წინა ხაზზე ბატალიონი მე გამყავდა. კონტუზია მივიღე და თავში სამი „ასკოლკა“ დღემდე მაქვს. ოქრუაშვილმა, ავარიის სახით, ტერაქტიც მომიწყო.

— ოქრუაშვილმა ტერაქტი რატომ მოგიწყოთ?

— როდესაც ჩემს შვილთან ერთად ქუჩაში დავრჩი, ინვალიდი ბავშვი სიცივით მეღუპებოდა. გადავწყვიტე, რუსეთში გადავსულიყავი. მაშინ სომხეთში ჩამოსული იყო სპეციალური კომისია, რომელიც რუსეთის მოქალაქეობას ანიჭებდა ადამიანებს. ვიფიქრე, გადავალ და მოქალაქეობას მოვითხოვ-მეთქი. საზღვარი ოფიციალურად გადავლახე. გამიკვირდა, სამი საათი საზღვარზე გამაჩერეს. ორი რუსი ოფიცერი მახლდა, რომლებსაც კომისიის წევრებთან უნდა მივეყვანე. ტერაქტი რომ მომიწყვეს, ერთ-ერთი ოფიცერი ალექსეი ნიკალაევი იქ დაიღუპა. ჩემს შვილს ფეხი სტკივა, მესამედ რომ დაგვარბიეს, პატრულმა მის საცემად გაინია და კრუნჩხვები, ეპილეფსია დაემართა. ამ სიცივეში ქუჩაში ვართ. პენსიითა და ჩემი 22-ლარიანი დახმარებით ბინის ქირა როგორ გადავიხადო?!

ნინო ხარშილაძე

„ნაფიც მსაჯულთა შერჩევის ობიექტური სისტემაა შექმნილი“

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, კოტე კუბლაშვილის განცხადებით, სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარების საწინააღმდეგო არაფერი აქვს:

„თქვენ იცით, რომ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის ობიექტური სისტემაა შექმნილი. იმედია, ეს სისტემა კარგად განვითარდება და ამას დიდი ინტერესით დაველოდები. სასამართლოს ამის საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი შეიძლება ჰქონდეს. პირიქით, ჩვენ ყველას გარანტიას ვაძლევთ, რომ ორგანიზებულად შეირჩევა ნაფიცი მსაჯულები და პროცესიც ობიექტურად წარიმართება. ვერდიქტი კი, პროკურორისა და ადვოკატის კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული და იმაზე, თუ რამდენად დაარწმუნებენ ისინი 12 მოქალაქეს თავიანთი პოზიციის სისწორეში“.

იუსტიციის სამინისტროში, მთავარი პროკურორის ინიციატივით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებათა პროექტი მომზადდა, რომლის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა ფართოვდება: ნაფიცი მსაჯულები იმ საქმეებსაც განიხილავენ, რომელზეც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს.

„მედიანიუსი“

გენადი ონიშჩენკო: „საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, შესაძლოა, მოსკოვში ღვინის შესახებ მოლაპარაკებებზე ჩამოვიდნენ“

რუსეთის მთავარმა სახელმწიფო სანიტარულმა ექიმმა, „როსპოტრებნადზორის“ ხელმძღვანელმა, გენადი ონიშჩენკომ დაუშვა შესაძლებლობა, რომ საქართველოს მთავრობის წევრებმა რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინისა და მინერალური წყლის დაბრუნების შესახებ მოლაპარაკებებში მონაწილეობა მიიღონ, — ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.

„გაარკვიონ, ვინ ჩამოვა და ჩამოვიდნენ. მზად ვარ, 20 იანვრამდე შევხვდე. თუ საქართველოს მთავრობა მოისურვებს, ამ დელეგაციის შემადგენლობაში მთავრობის წარმომადგენლები იყვნენ, ჩვენ წინააღმდეგნი არ ვართ“, — განაცხადა გენადი ონიშჩენკომ რუსულ მედიასთან საუბრისას და აღნიშნა **„ჩვენ მზად ვართ, მათ შევხვდეთ იანვრის მეორე დეკადაშიც კი“.**

ამასთან, გააკეთა განცხადება იმის შესახებაც, რომ ონიშჩენკო უკვე შეხვდა ქართული ბიზნესის ზოგ წარმომადგენელს.

„ჩვენთვის საინტერესოა, ქართული დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ისეთი სტრუქტურის წარმომადგენლები, რომლებსაც სახელმწიფოსგან მინიჭებული აქვს უფლება, გააკონტროლონ პროდუქციის ხარისხი და უსაფრთხოება. ყოველივე ეს, მოსალოდნელ მოლაპარაკებებს უფრო ეფექტურს გახდიდა. შესაძლოა, რაღაც ერთიანი პოზიცია გამოგვემუშავებინა — ინფორმაციის გაცვლისა და რუსეთის ბაზარზე შემოსატანი პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით“.

„ჯი-ეიჩ-ენი“

„ხელისუფლება ვალდებულია, ხელი შეუწყოს ეროვნული კინოს განვითარებას!“

ნათია ვასაძე

ბოლო დროს, ხშირად ჩნდება კითხვები — ეშველება თუ არა ქართულ კინემატოგრაფს და გამოვა თუ არა ქართული კინო შექმნილი კრიზისიდან. ამ თემასთან დაკავშირებით, ცოტა ხნის წინ, კულტურის სამინისტროში შეხვედრაც გაიმართა, რომელსაც რეჟისორები, სცენარისტები და კულტურის კრიტიკოსები ესწრებოდნენ. შეხვედრა ხმაურიან „გარჩევაში“ მას შემდეგ გადაიზარდა, რაც გიორგი შენგელაიამ, ქართულ კინოში ბოლო 20 წლის განმავლობაში არსებულ პრობლემებზე ისაუბრა და იქვე აღნიშნა, რომ ქართული კინოს პრობლემა ახალ თაობაშია. შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოების ნაწილმა, შენგელაიას „ბრალდება“ კინორეჟისორთა თაობათა შორის დაპირისპირებად აღიქვა. ქართულ კინოხელოვნებასა და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებზე, „ვერსიას“ კინორეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი ესაუბრება.



— ბატონო მერაბ, კულტურის სამინისტროში გამართულ შეხვედრას როგორ შეაფასებთ?

— ჟურნალისტები არასწორად ახდენენ ამ ფაქტის ინტერპრეტაციას. მიუხედავად მწვავე და ხმამაღალი მსჯელობებისა, ეს არ არის თაობებს შორის დაპირისპირება. ეს მდგომარეობა შეიქმნა იმის გამო, რომ არ სრულდება კინოსთან დაკავშირებით ათი წლის წინ მიღებული „კანონი ხელისუფლების მხრიდან ეროვნული კინოს მხარდაჭერის შესახებ“. მისი სახელწოდებითაც კი ნათელი ხდება, რომ ხელისუფლება ვალდებულია, ხელი შეუწყოს ეროვნული კინოს განვითარებას. ამ კანონის მიღებაში, პარლამენტარებთან ერთად, წვლილი კინემატოგრაფისტთა მნიშვნელოვანმა ჯგუფმაც შეიტანა. ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, შეუძლებელია, ფილმის წარმოების შედეგად მიღებული თანხით, კვლავ შეიქმნას ახალი ფილმი, ამიტომ ქართული კინოს განვითარებისთვის სახელმწიფომ უნდა გაიღოს ფინანსები.

— შეხვედრაზე არაერთგვაროვანი შეფასებები იყო კინოცენტრთან დაკავშირებითაც. თქვენ კმაყოფილი ხართ მისი საქმიანობით?

— ვფიქრობ, შეხვედრაზე ზედმეტად უარყოფით შეფასებებს აძლევდნენ კინოცენტრის საქმიანობას. კინოცენტრმა ბევრი საინტერესო რამ გააკეთა, პირველ რიგში კი, საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების თვალსაზრისით. საერთაშორისო ურთიერთობების გარეშე, პრაქტიკულად, შეუძლებელია კინოინდუსტრიის განვითარება. ჩვენ ხომ, 20 წლის განმავლობაში ამის ძალიან მცირე საშუალება გვქონდა. ჩანს, დანერგილი სისტემები არასწორად იყო შერჩეული და ეს არ იძლეოდა ინტეგრაციის საშუალებას. აქედან გამომდინარე, აუცილებელი გახდა ახალი გზების ძიება, რაც კინოცენტრმა, ასე თუ ისე, დაიწყო. ერთ-ერთ ასეთ წარმატებულ მაგალითად შეიძლება საერთაშორისო კინოორგანიზაციაში „ევრიმაჟი“ საქართველოს გაწევრიანებაც ჩაითვალოს.

— საქართველოში ფილმების გადაღება ხომ, ძირითადად, კინოცენტრის დაფინანსებით ხდებოდა.

— კინოცენტრს, უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში, რამდენიმე ფილმი აქვს დაფინანსებული. ამ ხნის განმავლობაში, სულ დახარჯულია 12 მილიონი ლარი. 2012 წელს კი — 4 200 000 ლარი. დაფინანსება წელსაც იგივეა და ისეთი მცირე, რომ რეალურად, ამ თანხით, რაიმე ღირებულის გაკეთება ძალიან რთულია. მაგალითად, ახლახან იყო ჩემი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის — „ღვინის აკვნის“ პრემიერა, რომელიც სწორედ კინოცენტრის მიერ დაფინანსდა. მოგვცეს ფილმის ბიუჯეტის 75%-მდე, მაგრამ ეს თანხა, რეალურად, იმის 40%-იც არ იყო, რაც ფილმის გადაღებას სჭირდება. დანარჩენი 25%-ის მოძიება თავად მოვახერხეთ. დაგვეხმარა სოროსის ფონდი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, კინოსტუდია „ჯი ეფ ემი“, რომელმაც უსასყიდლოდ მოგვცა აპარატურა, თუმცა სტუდიის თანამშრომლებს ჩვენ ვუხდიდით ხელფასებს. ძალიან რთულია, საქართველოში იპოვო ბიზნესმენი, რომელიც ქართულ კინოში ინვესტიციის ჩადებას მოინდომებს.

— ამის მიზეზი რა არის და რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ კერძო ინვესტორების წასახალისებლად?

— ქართულ კინოში ფულის ჩადების ინტერესი კერძო ინვესტორებს არ გააჩნიათ იმიტომ, რომ მათ ამ საქმიდან მოგება არ აქვთ. სისტემა ჯერ არ არის ისე გამართული, კერძო ინვესტორმა თავისი მოგება მიიღოს. თუ ვინმე დღეს თანხას ქართულ კინოში დებს, ეს მხოლოდ და მხოლოდ, ხელოვნების მიმართ სიყვარულითაა გამოწვეული. სახელმწიფოს ქართული კინოს დახმარება თუ უნდა, ინვესტორსაც და გადამღებ ჯგუფსაც უნდა მოუხსნას ბეგარა. ამ შემთხვევაში, ერთი მესამედით გაიზრდება გადამღები ჯგუფის თანხა და ქართული კინოთი ინვესტორების დაინტერესებაც შესაძლებელი გახდება. ამ თხოვნით ადრეც მივმართეთ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებს, მაგრამ უშედეგოდ.

— მხოლოდ ფინანსების უქონლობამ გამოიწვია ჩვენს კინოინდუსტრიაში არსებული პრობლემები თუ, სხვა მიზეზებიც არსებობს?

— მოგეხსენებათ, წლების წინ ქართულ კინოს ფენომენს ეძახდნენ. ეს იმის გამო, რომ უამრავი ნიჭიერი რეჟისორის დამსახურებით, ქართული კინო გახლდათ, ერთდროულად, თანამედროვეცა და ეროვნულ კულტურაზე დაფუძნებულიც. უცხოელებისთვის სწორედ ის ქართული ხასიათი, იუმორი, ან თუ გნებავთ, დრამატული და რომანტიკული დამოკიდებულება იყო საინტერესო, რაც იმდროინდელ ქართულ კინოს ახლდა. თუ გვინდა, ასეთი კინო დაბრუნდეს საქართველოში, ამას აუცილებლად სჭირდება სახელმწიფოს დახმარება. გარდა ამისა, მოუგვარებელია კინოთეატრების სისტემა — ჩვენთან მათი რაოდენობაც კი მცირეა, სულ რაღაც, სამი კინოთეატრი ფუნქციონირებს თბილისში. აუცილებლად უნდა აღვნიშნო კინოცენტრში ჩატარებული კონკურსები, სადაც ჟიური იღებს გადაწყვეტილებას, რომელი სცენარი დააფინანსოს. ხშირად, ეს ჟიური არაპროფესიონალებით დაკომპლექტებულა, ზოგ შემთხვევაში, მათი მართვაც კი ხდებოდა. არ მინდა, ვინმეს საყვედური ვუთხრა, მაგრამ ჩანს, ჟიურის შერჩევაში არ იყო გათვალისწინებული ყველაზე მთავარი — საზოგადოებრივი აზრი. თავის დროზე, კულტურის სამინისტრო კინოსაზოგადოებასთან ერთად, აყალიბებდა კინოცენტრის გამჭვირვალედ მუშაობის პრინციპებს, მაგრამ კულტურის სამინისტროში, ჯერ კიდევ 7 წლის წინ, გააუქმეს კინემატოგრაფისტებისგან შექმნილი საბჭო, რომელსაც მრჩევლის ფუნქცია გააჩნდა. ეს კიდევ ერთი ნაბიჯი იყო ქვეყანაში ერთმმართველობის დამყარებისკენ. აქ არ გამოდის ანალიტიკური ჟურნალი, სადაც განიხილავენ და გააანალიზებენ ქართულ კინოში არსებულ პრობლემებს. ნელ-ნელა იქმნება შთაბეჭდილება, რომ კინო აღარ არის პრიორიტეტული და ქართულ კულტურაზე ზეგავლენის მოხდენაც აღარ შეუძლია. საბოლოო ჯამში, ფინანსებისა და სახელმწიფოს მხრიდან სხვა ხელშეწყობის უქონლობა ქმნის დაპირისპირებას. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, თაობები კი არ დაუპირისპირდა ერთმანეთს, ყოფილმა ხელისუფლებამ შექმნა პირობა ამ დაპირისპირების შესაძლებლობისა.

— გვყავს ახალგაზრდა კადრები, რომელსაც შეიძლება ქართული კინო დაეყრდნოს და ბოლო წლებში, მათ მიერ გადაღებულ რომელ ფილმებს გამოყოფდით?

— რა თქმა უნდა, ქართულ კინოს ჰყავს დასაყრდენი ახალგაზრდა რეჟისორების სახით. მათ არ ჩამოვთვლი, მაგრამ რამდენიმე ფილმს აუცილებლად გამოვყოფ: გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირი“, ლევან კოღუაშვილის „ქუჩის დღეები“, „ქალები საქართველოდან“, რუსიკო ჭყონიას „გაიღიმეთ“ და ა.შ. მოდის თაობა, რომელიც იღებს კარგ ფილმებს, მაგრამ მუშაობისთვის, საჭიროა, შეიქმნას ისეთი სისტემა, რომელიც მათ გაჩერების საშუალებას არ მისცემს. მაგალითად, ადრე იყო გაერთიანება „დებიუტი“ და უნივერსიტეტდამთავრებულ ადამიანს პირველი ფილმის გადაღების საშუალებას სახელმწიფო აძლევდა. დღეს კი, ახალგაზრდა თავად ამჟღავნებს ნიჭს და იმის გამო, რომ არ აქვს ფინანსური შესაძლებლობა, ხელფეხშეკრულია.

— თანამედროვე ქართველი რეჟისორები ცდილობენ, შექმნან ევროპულ ბაზარზე ორიენტირებული პროდუქცია. ეთანხმებით თუ არა აზრს, რომ ამ ე.წ. ევროპული სტანდარტების გამო, ქართულმა კინომ ეროვნულობა დაკარგა?

— მიმაჩნია, რომ ეს ფილმები გათვლილია არა ევროპულ, არამედ დაბალ სტანდარტებზე და იმ, ვითომდა ბაზარზე, რომელიც არ უნდა იყოს ქართული კინოს ორიენტირი. ჩემზე დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინა იმ თანამედროვე უხარისხო ფილმებმა, რასაც საახალწლო დღეებში ტელევიზიებით აჩვენებდნენ, თუმცა ამაყი ვიყავი, როცა ამის პარალელურად, ვუყურე ისეთ ქართულ ფილმებს, როგორიცაა „ცისფერი მთები,“ „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები...“ ასე რომ, თუ მხოლოდ კომერციის მონა-მორჩილი ხარ, კვდები, როგორც ხელოვანი.

— არჩევნებამდე, „ქართული ოცნება“ ერთ-ერთ პრიორიტეტად ქართული კინოს აღორძინებასაც ასახელებდა. იმედი გაქვთ, ივანიშვილის ხელისუფლება ქართულ კინოში არსებულ პრობლემებს მოაგვარებს?

— სწორედ „ოცნების“ ინიციატივით, თებერვლიდან, ხელოვანებმა კინოსთან დაკავშირებით შევიმუშავეთ კონცეფცია, სადაც გაწერილია ის ყველაფერი, რაც ქართული კინოს აღორძინებას სჭირდება. ახალი ხელისუფლების მხრიდან ჯერ-ჯერობით, კულტურის მიმართ ყურადღებას ვერ ვხედავ, მაგრამ ვითვალისწინებ, მხოლოდ სამი თვეა გასული და კარგად მესმის, რომ პირველ ეტაპზე, საჭიროა, ყოფითი პრობლემების მოგვარება, რაც ხალხს ზურგზე აწევს ტვირთად. მერე, ალბათ, კულტურასაც მიხედავენ, რადგან ბიძინა ივანიშვილი ქართულ კულტურას ყველაზე მეტად ეხმარებოდა. ამ სფეროში დღემდე რაც შემორჩა, მისი ქველმოქმედების დამსახურებაა.

მიწის ნაკვეთის მფლობელები კანცელარიის წინ შიმშილობენ

ლანჩხუთის რაიონის სოფელ შრომისუბანში მდებარე მიწის ნაკვეთის მფლობელები, სადაც №101 ჭაბურღილია განთავსებული, სახელმწიფო კანცელარიის წინ შიმშილობენ.

როგორც „პირველს“ თედო გრძელიძემ განუცხადა, მისი ოჯახის ოთხმა წევრმა შიმშილობის აქცია დაიწყო. გრძელიძემ განმარტა, რომ 1992 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ შრომისუბანში მდებარე მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე ჭაბურღილი დაიდგა და ინგლისელი ინვესტორები მის ოჯახს 2009 წლის აპრილამდე, მიწის იჯარის თანხას ჩვეულებრივ უხდიდნენ, თუმცა 2009 წლის მერე იჯარის გადახდა შეწყდა:

„როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, 2009 წლის მერე ჭაბურღილი სახელმწიფოს გადაეცა, კერძოდ, ნავთობისა და გაზის კორპორაციას და იჯარის გადახდა შეწყვიტეს. არაერთხელ მივმართეთ განცხადებით, მაგრამ უშედეგოდ. გვეუბნებოდნენ, როგორც კი ახალი ინვესტორი გამოჩნდება, იჯარას გადაიხდიანო, თუმცა №101 ჭაბურღილზე ახლაც ჩვეულებრივ მიდის ნავთობის ამოღება, ჩვენ კი არავინ არაფრად გვაგდებს და უკვე მეოთხე წელია, კუთვნილ იჯარას არ გვიხდიან. ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ იმედი გაგვიჩნდა, რომ სამართალს ვიპოვით, რათა ჩვენი ზარალი აგვინაზღაურონ. ყველა დოკუმენტი გვაქვს, რაც ამტკიცებს, რომ ეს მიწა ჩვენი ოჯახის კუთვნილებაა, ამიტომ მივმართავთ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილსა და ნავთობის კორპორაციის ახალ მენეჯმენტს, რომ ამ საკითხით დაინტერესდნენ“.

„პირველი“

ექსკლუზივი

დავით დევიძე
5(93) 219 042

თბილისის მერია ხრიდოლის ფედერაციას სააკაშვილის წინააღმდეგ გამოსული მომიტინგეების დარბევას სთავაზობდა

შარშან, დეკემბერში, თურქეთში ჩატარდა მსოფლიო თასის გათამაშება წესების გარეშე ბრძოლაში. ჩემპიონატში მონაწილე 15 ქვეყანას შორის, პირველად ისტორიაში, საქართველოს ხრიდოლის ნაკრებიც გახლდათ. ჩვენი გუნდი 16 მებრძოლით იყო დაკომპლექტებული. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ბიჭები პირველად გავიდნენ ასეთი რანგის ასპარეზობაზე, პირველობა და, შესაბამისად, მსოფლიო თასიც არავის დაუთმეს — ისინი სამშობლოში 14 ოქროსა და 2 ვერცხლის მედლით დაბრუნდნენ(!). წმინდა სპორტული თვალსაზრისით, ეს უნიკალური მიღწევაა და იშვიათად თუ დაიკვეხნის ვინმე. მიუხედავად ამისა, ქართველების ეს გამარჯვება, საქართველოში თითქმის არავის გაუგია. ქართველი მებრძოლები ჩუმად, ყოველგვარი საპატიო დახვედრის გარეშე, დაბრუნდნენ სამშობლოში. როგორც ირკვევა, ამ სიჩუმესა თუ დაუფასებლობას თავისი მიზეზები აქვს. ჩანს, არსებობს სერიოზული პრობლემა, რომელსაც სასწრაფოდ სჭირდება მოგვარება. „ვერსიას“ ხრიდოლის ფედერაციის პრეზიდენტი ნუკრი მჭედლიშვილი ესაუბრება:

— ეს იყო ხრიდოლის პირველი მონაწილეობა მსოფლიო თასზე. მანამდე იყო ევრაზიის ოლიმპიადა, სადაც ასევე პირველი ადგილი ავიღეთ. თურქეთში 15 ქვეყანა მონაწილეობდა და 7 სახეობაში ტარდებოდა შეჯიბრი. ეს გახლდათ შერეული საბრძოლო ხელოვნება, სადაც წარმოდგენილი იყო კარატე, კინგ-ბოქსი, ბრძოლა წესების გარეშე...

— მონაწილე 15 ქვეყნიდან, ცნობილი ბევრი იყო?

— მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა ქვეყანამ, სადაც სპორტის ეს სახეობებია განვითარებული, მათ შორის იყო იაპონია, ჩინეთი, რუსეთი, ირანი, ასევე ევროპის ქვეყნები. ჩვენ პირველად ვმონაწილეობდით, მაგრამ არც ერთი წონითი კატეგორია არ დავთმეთ— ერთი ვერცხლი ქართული ფინალიდან იყო ანუ ოქროც და ვერცხლიც ერთდროულად ავიღეთ. მეორე ვერცხლი კი იმიტომ გვერგო, რომ ფინალისტი ცუდად გაგვიხდა, სიცხე ჰქონდა და იძულებული გახდა, მეორე ადგილს დასჯერებოდა. გუნდის ნაწილმა, რომელმაც ხელჩართულში ვერ იბრძოლა, რადგან შესაბამისი წონითი კატეგორია არ იყო, სხვა სახეობაში — „სანდა“ მიიღო მონაწილეობა. „სანდა“ იგივეა, კინგ-ბოქსს რომ დავუმატოთ ჭიდაობა და ის შეიძლება, მალე ოლიმპიური სახეობა გახდეს. ასე რომ, თურქეთში მიღწეული წარმატების გათვალისწინებით, სამომავლოდ, ოლიმპიური ოქროების იმედიც უნდა გვქონდეს.

— 16 მონაწილიდან 14 ოქრო და 2 ვერცხლი უნიკალური შედეგია. რა რეაქცია ჰქონდათ უცხოელებს?

— ცხადია, გაკვირვებულები არიან, მაგრამ ასე თუ ისე, მანამდეც გვიცნობდნენ. პირველად, აზერბაიჯანში ტარდებოდა საერთაშორისო ტურნირი და როცა იქ პირწმინდად მოვიგეთ, ყველა ამბობდა — ეს შავი მგლები საიდან მოვიდნენო? ერთი ნაკრების მწვრთნელმა მთხოვა, თუ შესაძლებელია, თქვენთან ჩამოვიდე და ილეთები შევისწავლო, მინდა, ჩემი გუნდი, რომელსაც კარატეს ვავარჯიშებ, მთლიანად თქვენ სახეობაზე გადმოვრთოო. ასე რომ, იმ წრეებში, სადაც წესების გარეშე ბრძოლას აქცევენ ყურადღებას, ყველა გვიცნობს.

— სპორტული მიღწევების გარდა, ძველი საბრძოლო ტრადიციების გაცოცხლებასაც ცდილობთ. რამდენად პოპულარულია ხრიდოლი საქართველოში?

— დღეისთვის, ათასამდე ბავშვი ვარჯიშობს. გვაქვს 50 ჯგუფი და თბილისის 20-მდე სკოლაში ხრიდოლი დანერგილია, როგორც სასწავლო საგანი. 2009 წლის გაზაფხულზე, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა გვთხოვეს, ჩვენს შეიარაღებულ ძალებშიც დავნერგოთ ხრიდოლიო. გადავამზადეთ 40 ინსტრუქტორი, რომლებსაც მანამდე, საბრძოლო ხელოვნების სხვა სახეობები ჰქონდათ ათვისებული. უკვე მეხუთე წელია, შეიარაღებულ ძალებში ხელჩართულ ბრძოლაში შეჯიბრი ტარდება ხრიდოლის წესებით. სამომავლოდ კი დაგეგმილია, მთლიანად ხრიდოლზე გადაერთონ.

— ამ ფონზე, გასაკვირია, თქვენი მიღწევებისა და ფანტასტიკური შედეგების შესახებ სიუჟეტები რომ არ მზადდება?

— გეტყვით, რატომ არ გაშუქდა ჩვენი წარმატება. სამწუხაროდ, ეს არ არის მარტო ხრიდოლის პრობლემა. დღევანდელი საქართველო ფუმფულა ბიჭების ქვეყანაა. სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ — ასეა! საღამოობით, ჩართეთ ტელევიზორი და ერთი თვის განმავლობაში, დააკვირდით ნებისმიერი არხის პროგრამებს. ბევრად მეტ დროს უთმობენ გასართობ სახეობებს, ვიდრე საბრძოლო ხელოვნებას. გააშუქებენ ბილიარდს, ჩოგბურთს, კეგლს, გოლფს, მაგრამ ხრიდოლსა და კრივს არა, იმიტომ, რომ როგორც ვთქვი, ეს არის ფუმფულა და თოხლო ბიჭების ქვეყანა. რასაც ვერ ვიტყვი, ჩვენს ჩრდილოკავკასიელ ძმებზე. იქ საბრძოლო სახეობების პოპულარიზაციას ეწევიან და მსოფლიოს ამარაგებენ მებრძოლებით. ჩვენში კი, ამ ტრადიციას ვიღაც ხელოვნურად შლის. გაიმარჯვე? — მაინც არავის სჭირდები! ძალისმიერი სპორტი, სულიერი და ფიზიკური გაკაჟება აღარავის აინტერესებს.

— თუ ასეა, ალბათ, არც სახელმწიფო გეხმარებათ?

— ხრიდოლს აქვს თავისი იდეოლოგია: არავის დახმარება არ გვჭირდება! აქეთ ვეხმარებით. 500-ზე მეტ ბავშვს უფასოდ ვავარჯიშებთ. დახმარება სჭირდება ქართულ საქმეს. თუ ვინმე მოვა და შემწეობას გაიღებს სპორტული ინვენტარისა თუ საჭიდაო ხალიჩების შესაძენად, ქართულ საქმეს აკეთებს. აბა, ის კი არაა ქართული საქმე, რომ მოდიან და გვეუბნებიან, ამ საქმეს მოგიგვარებ, სანაცვლოდ კი, ესა თუ ის სამსახური გაგვიწიეთო.

— წილში ჩაჯდომასაც ხომ არ გთხოვენ?

— წილში ჩაჯდომაც მოუთხოვიათ და სხვა სამსახურებიც. მაგალითად, უთქვამთ, ჩემი რეკლამა დაახატე ჩოხასო. ამას არ ვიზამთ! ჩვენი პოლიტიზირების მცდელობაც იყო, მაგრამ ყველაფერზე უარი ვთქვით.

> „ჩვენი პოლიტიზირების მცდელობაც იყო, მაგრამ უარი ვთქვით... ეს ხრიდოლის პრინციპებს ეწინააღმდეგება“



— ჩემი ინფორმაციით, იმის მცდელობაც იყო, მომიტინგეების დარბევაში მიგეღოთ მონაწილეობა. მართალია?

— დიახ, ასეთი წინადადებებიც იყო. პირველად, მერიიდან მაშინ დაგვიკავშირდნენ, სანამ სააკაშვილი მოვიდოდა ხელისუფლებაში. უარი ვუთხარით. როცა მიშა მოვიდა, ხუთჯერ მოგვიგზავნეს მერიიდან კაცი, დაგვიდექით გვერდით. დარბაზის პრობლემა გვქონდა. მაშინაც მოვიდა ადამიანი და შემოგვთავაზა, ვითანამშრომლოთ და ყველაფერს მოგიგვარებთო. ზუსტად ვისგან იყო მოგზავნილი, არ უთქვამს, მაგრამ იყო საუბარი, რომ მერია ყველა პრობლემას მოგვიგვარებდა, ოღონდ, თანამშრომლობა იყო საჭირო. ჩვენ ვუთხარით, რომ არც ხალიჩა გვინდოდა და არც არაფერი.

სხვათა შორის, პატარკაციშვილის დროს, სპორტის ყველა ფედერაციის წარმომადგენლებს დაუძახეს და უთხრეს, მოეწერათ ხელი, რომ ბადრი პატარკაციშვილი იყო სამშობლოს მოღალატე. ეს სჭირდებოდათ, რათა ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარეობიდან გადაეყენებინათ. მაშინ 90%-მა მოაწერა ხელი. მე ვთქვი, არ ვიცნობ ამ კაცს, არც არაფერი ხეირი მინახავს მისგან, მაგრამ ვინც ეს დაწერა, ის არის სამშობლოს მოღალატე იმიტომ, რომ ადვილი არ არის, ადამიანს მიაკერო სამშობლოს მოღალატის იარლიყი-მეთქი. არ მოვაწერეთ ხელი. ეს ეწინააღმდეგებოდა ხრიდოლისა და კაცობის პრინციპებს.

— „საჭირო თანამშრომლობაში“, ისევ და ისევ, მომიტინგეების დარბევა იგულისხმებოდა?

— აბა, სხვა რაში ვჭირდებოდით? დეპუტატობაც კი შემომთავაზეს. სანაცვლოდ, 50 კაცი უნდა მოგვემზადებინა, მაგრამ ასეთი წინადადება რომ მიგვეღო, ეს იქნებოდა სამშობლოს ღალატი. ჩვენი მიზანი არ არის პოლიტიკა. თავად საზოგადოებაშიცაა პრობლემა. საზოგადოებაა ავად. ტყუილად კი არ ვირჩევთ ხან ზვიადს 90%-ით, ხან შევარდნაძეს და ხან მიშას. ჩვენში მოშლილია მხედრული სულისკვეთება და ყოჩს ვეძებთ, რომ უკან გავყვეთ ცხვრებივით. სიამაყე და ღირსების გრძნობა დაიკარგა და... ამიტომაც არ აშუქებენ ტელევიზიები საბრძოლო ხელოვნებას. შედეგად, მივიღეთ თოხლო ბიჭები. სხვათა შორის, ეს პრობლემა ნაკლებად დგას რაიონებში. ალბათ, ამანაც გამოიწვია, რომ ხრიდოლის ნაკრებში იშვიათად ნახავთ თბილისელს. რაიონებიდან ჩამოდიან, მაგრამ თუ გადაგვარებული და დონდლო ცხოვრება გაგრძელდა, ათი წლის შემდეგ, რაიონებშიც იგივე მდგომარეობა იქნება. აი, მაშინ კი აღარაფერი გვეშველება. უბედურება ისაა, რომ ამის გამოსწორებას არავინ ცდილობს. არადა, როგორ შევძლებთ ჯარისა და არმიის შექმნას, თუ მებრძოლებს არ გავზრდით?!

ევროპა 2013 წელს: გადაწყვეტილებების წელი

ჯორჯ ფრიდმანი

წლის ბოლოს ყოველთვის ჩნდება კითხვები იმის თაობაზე, თუ რა მთავარი პრობლემები გველოდება მომდევნო წელიწადში. ეს საკითხის გამარტივებაა, რადგან ყოველ წელს უამრავი მოვლენა ხდება, და თითოეული ჩვენგანისთვის სხვადასხვა პრობლემაა მნიშვნელოვანი. მიუხედავად ამისა, საჭიროა იმაზე დაფიქრება, თუ რა მოვლენა აიძულებს მსოფლიოს არსებული კურსის შეცვლას. ჩემი აზრით, 2013 წელს, ევროპა ის ადგილია, რომელსაც ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ. თუკი ევროპას ერთ მთლიან გეოგრაფიულ ერთეულად განვიხილავთ, მას მსოფლიოში ყველაზე დიდი ეკონომიკა აქვს. სურვილის შემთხვევაში ის აშშ-საც სერიოზულ სამხედრო კონკურენციას გაუწევს. ევროპა მსოფლიო სისტემის ერთ-ერთი ქვაკუთხედია, და იქ მიმდინარე მოვლენები გადამწყვეტად აისახება იმაზე, თუ როგორ ცხოვრობს და მუშაობს მთელი მსოფლიო. გავბედავ და ვიტყვი, რომ 2013 წელს ევროპის მომავალთან დაკავშირებით ბევრი რამ გამოიკვეთება.

საკითხი ასე დგას: შეძლებს თუ არა ევროკავშირი სტაბილურობის მიღწევას, განხეთქილების შეჩერებას და შემდგომში გაფართოებასა და ინტეგრაციას. თუმცა ალტერნატივაც არსებობს: დაძაბულობა ევროკავშირის შიგნით შეიძლება გამწვავდეს, მისმა ინსტიტუტებმა ლეგიტიმურობა დაკარგონ, ხოლო ბლოკში შემავალმა სახელმწიფოებმა გააძლიერონ საკუთარი, დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოება.

ევროპული პროექტი საფრთხეშია

2008 წლის კრიზისის შემდეგ ოთხ წელიწადზე მეტი გავიდა; დაახლოებით ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 2008 წლის გამო წარმოქმნილმა პრობლემებმა ევროპაში საბანკო და ვალებთან დაკავშირებული კრიზისი შექმნა. მას შემდეგ კრიზისმა სახე იცვალა და ფინანსურიდან ეკონომიკურ კრიზისად გარდაიქმნა. ევროპა რეცესიის ფაზაში შევიდა, ხოლო უმუშევრობამ კონტინენტზე 10%-ს გადააჭარბა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სხვა რამ. ეს იყო დრო, როდესაც ევროკავშირის შექმნის დროს ჩამოყალიბებულმა მართვის აპარატმა ვერ შეძლო მისაღები და რეალისტური პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამომუშავება და მიღება. ევროკავშირის ქვეყნები ერთმანეთს უყურებდნენ დიდწილად არა როგორც ერთიანი პოლიტიკური ინსტიტუტის წევრები, არამედ როგორც ცალკეული ნაციონალური სახელმწიფოები, რომლებიც მხოლოდ საკუთარ ინტერესებს იცავენ თამაშში, სადაც ერთი ქვეყნის წარმატება მეორის საზიანოდ მიიღწევა.

შეგვიძლია ამას ორგვარად შევხედოთ. ჯერ ერთი, გაურკვეველია, თუ რომელმა ქვეყნებმა უნდა ზიდონ ევროზონის სტაბილიზაციასთან დაკავშირებული ფინანსური ტვირთი. ფინანსურად უფრო მტკიცე ქვეყნებს უნდათ, რომ მთავარი დატვირთვა საკუთარ თავზე უფრო სუსტებმა აიღონ და აამოქმედონ მკაცრი ეკონომიის რეჟიმი. სუსტ ქვეყნებს კი სურთ, რომ ეს ტვირთი ძლიერმა სახელმწიფოებმა ზიდონ და ამარაგონ ისინი კრედიტებით, მიუხედავად იმისა, რომ სულ უფრო იზრდება იმის რისკი, რომ ეს თანხები ვერ დაბრუნდება. მეორეც, პრობლემა ის არის, თუ რომელმა კლასმა უნდა ზიდოს ეს მძიმე ტვირთი? საშუალო და დაბალი კლასისთვის, რომლებსაც იმ სახელმწიფო ხარჯებს შეუზღუდავენ, რომელსაც მათთვის მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს? თუ ელიტა, რომელსაც გადასახადებს გაუზრდიან და რეგულაციებს გაუმკაცრებენ?

როდესაც იმ ევროპელებს ელაპარაკები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ევროპა თავის პრობლემებს უკვე აგვარებს, აუცილებლად ჩნდება კითხვა: და რომელ პრობლემებს აგვარებს ის? ბანკების? უმუშევრობის? ან პრობლემებს, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ ქვეყნები საერთო გადაწყვეტილებას ვერ პოულობენ? უფრო კონკრეტულად, ევროპელი ლიდერები ამ პრობლემებზე უკვე მრავალი წლის განმავლობაში მუშაობენ, თანაც საუბარია ყველაზე ჭკვიან, კომპეტენტურ და ნიჭიერ ადამიანებზე მსოფლიოში. ის, რომ ისინი პრობლემებს ვერ აგვარებენ, უკავშირდება არა კარგი იდეების დეფიციტს ან არსებული პრობლემების უფრო დეტალური გააზრების აუცილებლობას, არამედ პოლიტიკური შეთანხმების არარსებობას ისეთ საკითხზე, როგორიცაა ვინ გადაიხდის ამ ყველაფრის ფასს – პოლიტიკური და სოციალური თვალსაზრისით. სახელმწიფოთაშორისი და კლასთაშორისი დაძაბულობა ხელს უშლის იმ გადაწყვეტილებების გამომუშავებას, რომელთაც შეიძლება ყველა დაეთანხმოს და რომლის დაცვაც შესაძლებელია.

თუკი ევროპელები მსგავს გადაწყვეტილებებს 2013 წელს არ შეიმუშავებენ, სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება ისიც, შესაძლებელია კი საერთოდ მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება. ასეთ შემთხვევაში გაჩნდება აუცილებლობა ევროპის მომავალზე ვიფიქროთ ან ევროკავშირის გარეშე ან ძალიან სუსტ ევროკავშირთან ერთად. მაგრამ თუკი ევროპა მაინც შეიმუშავებს გეგმას, რომელსაც საყოველთაო მხარდაჭერა და ძლიერი იმპულსი ექნება, ჩვენ შევძლებთ იმის თქმას, რომ ის კრიზისს თავს აღწევს. ეს კი, თავის მხრივ, 2013 წლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად გადაიქცევა.

ასეთ დროს გონიერი და საღად მოაზროვნე ადამიანი არ დამეთანხმება და მეტყვის, რომ არ ვითვალისწინებ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელსაც სხვა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემები აქვს. და მასაც შეუძლია ერთიანი მიდგომა შეიმუშაოს ამ პრობლემების გადაწყვეტის გზებზე, რაც ვნახეთ კიდეც იქ წარმოქმნილ „ფისკალურ კრახში“, რომელიც კიდევ არაერთხელ განმეორდება. მაგრამ, თუკი ფინანსური თვალსაზრისით ასეთი შედარებები უადგილო არ არის, პოლიტიკური თვალსაზრისით აშშ-ში ყველაფერი სხვაგვარადაა. აშშ-ს დაშლა არ ემუქრება, იმ შემთხვევაშიც, თუკი ის წინააღმდეგობრივ პოლიტიკას გაატარებს. შეერთებული შტატები 200-ზე მეტი წლისაა და მან ბევრად უფრო სერიოზულ გამოცდებს გაუძლო, მათ შორის, სამოქალაქო ომს და დიდ დეპრესიას. ხოლო ევროკავშირი 20 წლისაც არ არის, და ეს მისთვის პირველი სერიოზული კრიზისია. აშშ-ის ფინანსური სისტემის ცუდი მართვის შედეგები მნიშვნელოვანია. მაგრამ ევროპისგან განსხვავებით, ეს შედეგები უშუალოდ აშშ-ის არსებობას არ ემუქრება.

კრიზისის სხვა შედეგები

ყველაზე მნიშვნელოვანი არა ფინანსური, არამედ პოლიტიკური განზომილებაა. აბსოლუტურად შესაძლებელია ის, რომ ევროკავშირი გაუმკლავდეს თავის საბანკო პრობლემებს და თავიდან აიცილოს სუვერენული ვალის მორიგი კრიზისი. მაგრამ ეს მისთვის რეცესიის და უმუშევრობის ფასად მოხდა, რომელიც აქ გაცილებით დიდია, ვიდრე აშშ-ში, ხოლო ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში კიდევ უფრო დიდი.

ჩვენ შეგვიძლია ევროკავშირი სამი კატეგორიის ქვეყნებად დავყოთ და შევადაროთ მათთან არსებული უმუშევრობის დონე ამერიკის უმუშევრობასთან, სადაც მისი მაჩვენებელი დაახლოებით 7,7%-ია. ევროკავშირის ხუთ ქვეყანაში უმუშევრობა არსებითად დაბალია (ავსტრია, ლუქსემბურგი, გერმანია, ჰოლანდია და მალტა). შვიდ ქვეყანაში უმუშევრობის დონე დაახლოებით ისეთივეა, როგორიც აშშ-ში (რუმინეთი, ჩეხეთი, ბელგია, დანია, ფინეთი, ბრიტანეთი და შვედეთი). ხოლო დანარჩენ 15 ქვეყანაში უფრო მაღალია, ვიდრე შეერთებულ შტატებში. 11 ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელი 10-დან 17%-მდეა, მათ შორის, საფრანგეთში – 10,7%, იტალიაში – 11,1%, ირლანდიაში – 14,7%, პორტუგალიაში – 16,3%. ორ ქვეყანაში უმუშევრობას შემაშფოთებელი მაჩვენებელი აქვს – საბერძნეთში – 25,4%, ხოლო ესპანეთში – 26,2%. უმუშევრობის ასეთი დონე უახლოვდება დიდი დეპრესიის პიკის დროს შეერთებული შტატების მაჩვენებელს.

მოწინავე და ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებისთვის, რომელთა ნაწილი ყველაზე ძლიერი და გავლენიანია ევროპაში, ეს ციფრები შოკისმომგვრელია. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს ის, თუ რას ნიშნავს ეს სოციალური თვალსაზრისით. გასათვალისწინებელია ის, რომ უმუშევრობა ყველაზე მაღალი ახალგაზრდებშია. იტალიაში, ესპანეთსა და საბერძნეთში, 25 წელს ქვევით ახალგაზრდების მესამედზე მეტს სამუშაო არ აქვს.

ბევრი წელი გაივლის მანამ, სანამ უმუშევრობა ესპანეთსა და საბერძნეთში მისაღებ დონემდე შემცირდება. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც უმუშევრობა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში დაახლოებით 10%-ს შეადგენს, ეს დრო თავისი ხანგრძლივობით მნიშვნელოვანი იქნება, ხოლო ევროპა დღემდე რეცესიის მდგომარეობაშია.

იფიქრეთ ახალგაზრდებზე, რომლებმაც 20 წელს გადააბიჯეს და რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ საუნივერსიტეტო დიპლომები. უმუშევრობის არსებული მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ ამ ადამიანებმა შეიძლება საერთოდ ვერ შეძლონ არჩეული პროფესიით მუშაობის დაწყება და იმ დონის სამუშაოს მიღება, რომელსაც იმედოვნებენ. ესპანეთსა და საბერძნეთში, ახალგაზრდებიც (და ხანშიშესულებიც) პირად კატასტროფებს აწყდებიან. სხვა ქვეყნებში ასეთი ადამიანების რაოდენობა ნაკლებია, მაგრამ პრობლემა მათთვისაც რეალურია. უნდა გვახსოვდეს, რომ უმუშევრობა აისახება არა მხოლოდ ცალკეულ ადამიანზე. ის გავლენას ახდენს მის ახლო ნათესავებზე, მშობლებზე და ოჯახზე. ეს გავლენა არა მხოლოდ ფინანსურია, არამედ ფსიქოლოგიურიც. ის ამკვიდრებს სასოწარკვეთის, შიშის, მარცხის და წარუმატებლობის განცდას.

ის აყალიბებს ახალგაზრდათა იმ თაობას, რომელსაც ფესვები არ აქვს, სავსეა ენერგიით და ბრაზით. უმუშევრობა უდევს საფუძვლად როგორც მემარცხენე, ასევე მემარჯვენე ძალების ანტისახელმწიფოებრივ მოძრაობებს. მას, ვისაც დიდხანს სამუშაო არ აქვს და იმედიც დაკარგული აქვს, უბრალოდ არაფერს კარგავს, და ფიქრობს, რომ რაიმეს მიღწევას სახელმწიფოში სიტუაციის დესტაბილიზაციით შეძლებს. რთულია იმის განსაზღვრა, უმუშევრობის ზუსტად რა მაჩვენებელი აჩენს ამ ტიპის არეულობებს, თუმცა უდავოა, რომ ესპანეთი და საბერძნეთი უკვე არიან ამ ზონაში, და მათ შეიძლება სხვებმაც მიბაძონ.

უნდა აღინიშნოს, რომ თუკი საბერძნეთში ძლიერი მემარჯვენე-რადიკალური მოძრაობა გაჩნდა, ესპანეთის პოლიტიკური სისტემა, რომელსაც ცენტრს და ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის გარკვეული დაძაბულობა ახასიათებს, შედარებით სიმტკიცეს ინარჩუნებს. ჩემი აზრით, ეს სიმტკიცე ეფუძნება რწმენას, რომ უმუშევრობის პრობლემების გადაწყვეტის გზები მოიძებნება. ჯერჯერობით ხალხს არ აქვს გაცნობიერებული სიტუაციის სერიოზულობა და ის, რომ უმუშევრობის პრობლემა მალე ვერ მოგვარდება. მას ღრმა სტრუქტურული ფესვები აქვს. შეერთებულ შტატებში, დიდი დეპრესიის დროს უმუშევრობის დონის ოდნავ შემცირება შესაძლებელი გახდა რუზველტის ახალი კურსის წყალობით. მაგრამ ბოლომდე ამ პრობლემის გადაჭრისთვის საჭირო გახდა მასშტაბური რესტრუქტურიზაცია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის წლებში მოხდა.

აი, რატომ არის 2013 წელი ევროპისთვის კრიტიკული. მან ბევრი რამ გააკეთა საბანკო კრიზისის დასაძლევად, სახელმწიფო ვალის კრიზისიც გადაავადა. ამისთვის რომ მიეღწია, ევროპამ მნიშვნელოვნად დაასუსტა თავისი ეკონომიკა და ზოგიერთ ქვეყანაში მასობრივი უმუშევრობა წარმოქმნა. ხარჯების ტვირთის არათანაბარი განაწილება, როგორც ქვეყნებს, ასევე საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის, ევროკავშირს საფრთხეს უქმნის. და საქმე მხოლოდ ის არ არის, რომ ყველა ქვეყანა სარგებელს თავისკენ ეძაბა. არამედ ის, რომ ჩნდება ახალი პოლიტიკური მოძრაობები, განსაკუთრებით ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მეტად დაზარალებულ ფენებში, რომლებიც ნაციონალისტურად არიან განწყობილნი და საკუთარ ელიტას არ ენდობიან. კიდევ რა შეიძლება მოხდეს ქვეყნებში, რომლებიც კრიზისს განიცდიან? იმ შემთხვევაშიც, თუკი ამ კატასტროფის შესუსტება შესაძლებელი გახდება ჩრდილოვანი ეკონომიკის და ემიგრაციის ხარჯზე, რაც უმუშევრობას შეზღუდავდა, ევროპის 14 ქვეყანაში საშინელი ეკონომიკური მდგომარეობა დარჩება.

ევროპა გზის გასაყარზე

ევროკავშირი იმდენად ფოკუსირებულია თავის ფინანსურ კრიზისზე, რომ ვფიქრობ, მის ლიდერებს და ჩინოვნიკებს დღემდე სრულად ვერ გაუცნობიერებიათ უმუშევრობის რეალიები. ნაწილობრივ ეს გამოწვეულია იმით, რომ ევროპული ელიტის და იმ ადამიანების მსოფლმხედველობაში, ვისაც ერთიან ევროპაში ცხოვრება არ მოეწონა, განხეთქილება სულ უფრო იზრდება. ნაწილობრივ კი ეს გეოგრაფიით აიხსნება. ის ქვეყნები, სადაც უმუშევრობის დონე შედარებით დაბალია, ევროპის ჩრდილოეთით მდებარეობს, ეს უკანასკნელი კი ევროკავშირის ცენტრია. ხოლო ისინი, სადაც უმუშევრობის დონე კატასტროფულია, მის პერიფერიაზე არიან კონცენტრირებულნი და იმის უგულებელყოფა, რაც შორს არის, იოლია.

თუმცა 2013 წელს, ევროპული პრობლემის გაცნობიერება და ფორმულირება ფინანსური კრიზისის ფარგლებს უნდა გასცდეს და მის სოციალურ შედეგებზე გადავიდეს. პრობლემის გადაჭრა თუ არა, კრიზისის დარეგულირების საქმეში წინსვლა შესამჩნევი უნდა გახდეს. სტაგნაციის და უმუშევრობის შენარჩუნება არსებულ დონეზე კიდევ ერთ წელიწადს ვერ გაგრძელდება ისე, რომ არ გააჩინოს წონადი პოლიტიკური ოპოზიცია. ეს ოპოზიცია კი ან თავად შექმნის სახელმწიფოს, ან არსებულ სახელმწიფოებს ევროპის ერთიანი ქსოვილის დარღვევას აიძულებს.

ქსოვილი საკმარისად მტკიცე და მყარი არ არის იმისთვის, რომ წარმოქმნილ გამოწვევებს გაუმკლავდეს. ადამიანებს არ სთხოვენ ევროკავშირისთვის თავგანწირვას ბრძოლის ველზე, მაგრამ მათგან ითხოვენ იცხოვრონ ღატაკი და სასოწარკვეთილი ცხოვრებით, ეს კი სიმამაცის და თავგანწირვის გამოხატვაზე გაცილებით რთულია. ხოლო იმის გამო, რომ ევროკავშირის მთავარი დაპირება და იმედი კეთილდღეობა იყო, ასეთი დაპირების შეუსრულებლობა და იმედების გაცრუება, რასაც სიღარიბე და კრიზისის ტვირთის არათანაბარი განაწილება მოაქვს, გაუსაძლის ვითარებას ქმნის. ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება. თუკი ევროპა კრიზისშია, ეს ნიშნავს იმას, რომ კრიზისშია მსოფლიოს უმსხვილესი ეკონომიკა, თანაც ეს კრიზისი პოლიტიკურიც არის და ფინანსურიც. ეს კი მსოფლიოსთვის ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია.

ვერსიანიუსი

თურქეთი და რუსეთი სირიის საკითხს განიხილავენ

როგორც თურქული მედია იუწყება, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ფირიდინ სინიირიოღლუ რუსეთში ვიზიტს სირიის კრიზისის განსახილველად გეგმავს. ელოდებიან, რომ თურქი დიპლომატი მოსკოვს კრიზისის გადაჭრის საკუთარ გეგმას წარუდგენს. სინიირიოღლუ მოსკოვში მოლაპარაკებებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, ახლო აღმოსავლეთის საკითხებში, მიხელ ბოგდანოვთან გამართავს. როგორც საერთაშორისო წარგზავნილმა სირიაში, ლახარდ ბრახიმმა განაცხადა, თუ ქვეყანაში კრიზისი წელს ვერ მოგვარდა, ის მთლიანად განადგურდება. ბრახიმმა, „ბი-ბი-სისთან“ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ბაშარ ასადის გამოსვლამ, სადაც მან შეიარაღებული კონფლიქტის დამნაშავეებად მეამბოხეები და ტერორისტები გამოაცხადა, კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გაართულა.

ჯი-ეიჩ-ენი

სამართალდამცველებმა, ქურდობის ბრალდებით, მამაკაცი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ნინოწმინდის რაიონის სოფელ სათხაში მცხოვრებმა, 1992 წელს დაბადებულმა გაი კ-მ 2012 წლის 3 დეკემბერს, იმავე სოფელ ში მცხოვრები გაიანე პ-ს საცხოვრებელი სახლიდან 3 300 აშშ დოლარი, 2 000 ლარი, 7 ცალი „მაგთის“ „მონო“ ბარათი და 8 ცალი „ბილაინის“ ბარათი მოიპარა. გაი კ-ს დაკავების შემდეგ გაირკვა, რომ მან მოპარული ფულის ნაწილი დახარჯა, სატელეფონო ბარათები კი — სხვადასხვა სავაჭრო ჯიხურში ჩააბარა. დანარჩენი თანხა სამართალდამცველებმა პირადი ჩხრეკისას ამოიღეს. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით აღიძრა. გამოძიებას შს ნინოწმინდის რაიონული სამმართველოს პოლიციის განყოფილება აწარმოებს.

„პირველი“

ჰოროსკოპი

11 იანვარი

ვერძი — ვერძებს დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ, რათა გარშემომყოფები დაარწმუნონ იმ ინფორმაციის სისწორეში, რომელსაც თავად მიაწვდიან. ამასთან, რაც მეტ ენთუზიაზმს გამოიჩენთ და საკუთარ აზრს დაიცავთ, მით ნაკლებად გექნებათ წარმატების შანსი.

კურო — თუ თქვენ ზუსტად იცით, დღეს რა უნდა გააკეთოთ, ამ საქმიანობის შედეგი აუცილებლად წარმატებული იქნება. შეგიძლიათ, ახალი პროექტის წამოწყებაზე იფიქროთ, ან ახალ ნაცნობობაზე. მეგობრებისა და ახლობლების რჩევები, პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით, თქვენთვის სწორედ რომ დროული და სასარგებლო იქნება.

ტყუპები — დღე გონებრივი სამუშაოსთვის არის სასურველი. საკმაოდ კარგ შედეგებს მიაღწევთ, თუკი მოვლენების ორომტრიალში იოლად გაერკვევით. შეგიძლიათ, არა მხოლოდ გეგმების განხორციელების გზას მიაგნოთ, არამედ საქმესთან დაკავშირებით ახლობლებს რაიმე ურჩიოთ.

კირჩხიბი — დღეს კარგი დღეა შორსმიმავალი გეგმების დასაწყობად, ცხოვრებაში ახალი მიზნების დასახვისთვის. გარშემომყოფებიდან ბევრი მიხვდება, რომ ნამდვილად მზად ხართ ოჯახური ცხოვრებისთვის და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებენ. თუმცა, ამის გახმაურება დღეს ნამდვილად არ ღირს, სჯობს, უფრო შესაფერის მომენტს დაელოდოთ.

ლომი — ლომებს სასიამოვნო საუბრები ელით მეგობრებთან ან ახლობლებთან. ოჯახური პრობლემები მოსალოდნელი არ არის. ახლო ნაცნობებთან სიფრთხილე და გონიერება გამოიჩინეთ. დღეს, შესაძლოა, ინტუიციამ გიღალატოთ, ამიტომ ნაკლებად ნაცნობ ადამიანებთან ურთიერთობისას, მხოლოდ გონებას მიენდეთ.

ქალწული — დღეს შეგიძლიათ სახლში, შინაურებთან ნებისმიერ თემაზე ისაუბროთ: ოჯახის წევრები მზად არიან, გაგებით მოეკიდონ ყველაფერს და სიამოვნებით მოგისმენენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენს შეხედულებას არ იზიარებენ. საღამო სჯობს, რომანტიულ შეხვედრასა და საუბრებს დაუთმოთ — მიეცით საკუთარ თავს შანსი, სასიამოვნო სიტყვები მოისმინოთ.

სასწორი — დღეს ნუ იჩქარებთ ხელშეკრულების დადებას ან საკუთარ თავზე რაიმე ვალდებულების აღებას. ეს ყველაფერი, შესაძლოა, თქვენთვის სრულიად უსარგებლო აღმოჩნდეს და როცა ამას მიხვდებით, შეიძლება უკვე გვიანი იყოს. ამ დღეს ვარსკვლავები არც ძველი პროექტების წინ წამოწევას გირჩევენ, რადგან ამ საქმეში დაინტერესებული პირები გაცილებით ნაკლებნი იქნებიან, ვიდრე თქვენ ფიქრობდით.

ღრიანკალი — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს შესანიშნავი შესაძლებლობა ეძლევათ, დაწყებული საქმე ბოლომდე წარმატებით მიიყვანონ. თუმცა, არ არის გამორიცხული სერიოზული ინტელექტუალური ბრძოლა. მზად იყავით იმისთვისაც, რომ ახლანდელი მოკავშირეები კონკურენტების ან არაკეთილმოსურნეთა ბანაკში გადაბარგდებიან.

მშვილდოსანი — დღეს საქმეში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწევთ და პროფესიულ პოზიციებს გაიმყარებთ, თუკი ხელმძღვანელობასთან კამათს თავს დაანებებთ. დისკუსიაში ჩართვის ცდუნება დიდი იქნება, რადგან საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული ხართ და ეჭვიც არ გეპარებათ, რომ თქვენს მოსაზრებას ყურადღებას მიაქცევენ.

თხის რქა — დღეს იმ საქმეებისადმი გაგიჩნდებათ ინტერესი, რასაც აქამდე მხოლოდ ინერციით აკეთებდით. შესაძლოა, ემოციები ვერ შეიკავოთ იმ ადამიანთან, რომელიც თქვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს. გაჩნდება ახალი საფიქრალი თემა და ახალი გეგმების დაწყების სურვილი. გაუზიარეთ აზრები ადამიანს, რომელიც საქმის მცოდნე და გამოცდილია.

მერწყული — მერწყულებს დღეს თავის განებივრება შეუძლიათ: ვარსკვლავები დიდი ხნის ნატვრის ასრულებას პირდებიან. მხოლოდ ახლად გაცნობილ ადამიანებთან ფრთხილი იყავით — არის რისკი, რომ ზედმეტი წამოგცდეთ, რაც უსიამოვნებას მოგიტანთ. თუმცა, თქვენი ღიმილი და მომხიბვლელობა ყველაზე უკეთესი დაცვაა „კეთილისმსურველებისგან“.

თევზები — დღეს პრაქტიკულად, ყველა საკითხის მოგვარებას შეძლებთ, განსაკუთრებით კი, ფინანსებთან დაკავშირებულს. ალღოს წყალობით თავს აარიდებთ უსარგებლო ხარჯებსა და უპერსპექტივო დაბანდებებს. დღეს სასურველი არ არის კონტაქტები სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

ამინდის პროგნოზი

	პარასკევი	შაბათი	კვირა
თბილისი	+8	+5	+10
ქუთაისი	+6	+12	+13
ბათუმი	+10	+13	+13
სოხუმი	+6	+12	+10
თელავი	+3	+4	+8
გუდაური	-8	-5	-1
ბაკურიანი	-8	-4	-1
მესტია	-4	+2	+4





ქვეყანა აფრიკაში
მდინარე გერმანიაში
მსახიობი ანუ..
მუსიკ. ნოტი
ხელოვნების დარგი
ბზიკი ანუ..
სპორტის სახეობა
ცხვრის ჯოგი
ქალის სახელი
მურული სულელი
ტერიტორიის დაპყრობა
მუსიკ. ინსტრუმენტი
ნაგვის ყუთი
ჯინის ძმაკაცი
ბოსტნეული კულტურა
ფულის ბეჭდვა
ქალღმერთის ყეფა
ოპტიკური ილუზია
გეომეტრიული ფიგურა
ქაჯი ანუ..
ადამის ცოლი
კვეს-

საქართ. მდინარე
ტაძარი თბილისში
ერთგვარი ქსოვილი
რძის ნაწარმი
აკადემიურ. ფართო გავრცელება
კამათი ანუ..
მუსიკალ. ტერმინი
ი
შეძახილი ყურმილში
საქართ. რაიონი
ძეხვეულის ფირმა
ჰომეროსის პოემა

ადვილი								
6	9	8	5	7	3	4	2	1
4	3	2	1	6	9	8	7	5
1	5	7	2	8	4	9	6	3
5	7	6	3	4	8	1	9	2
3	2	1	9	5	7	6	8	4
8	4	9	6	2	1	5	3	7
9	1	5	8	3	2	7	4	6
2	8	4	7	1	6	3	5	9
7	6	3	4	9	5	2	1	8

სტანდარტი								
5	1	8	4	3	2	7	9	6
7	6	9	1	5	8	4	3	2
4	3	2	9	7	6	8	1	5
3	9	1	8	6	7	2	5	4
8	2	7	5	4	9	1	6	3
6	5	4	3	2	1	9	7	8
2	8	6	7	1	5	3	4	9
1	4	5	2	9	3	6	8	7
9	7	3	6	8	4	5	2	1

რთული								
4	6	5	8	7	2	9	3	1
1	8	3	9	6	5	7	4	2
2	7	9	4	3	1	8	5	6
3	2	1	6	9	8	5	7	4
9	5	7	3	2	4	6	1	8
6	4	8	5	1	7	3	2	9
5	3	2	1	8	9	4	6	7
8	1	4	7	5	6	2	9	3
7	9	6	2	4	3	1	8	5

ექსპერტი								
7	8	2	4	5	6	3	1	9
6	1	9	8	2	3	5	7	4
5	4	3	7	1	9	2	8	6
4	3	1	9	8	7	6	5	2
2	9	7	6	3	5	1	4	8
8	6	5	2	4	1	9	3	7
3	7	6	5	9	4	8	2	1
9	5	8	1	7	2	4	6	3
1	2	4	3	6	8	7	9	5

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები





ჰოროსკოპი

12 იანვარი

ვერძი — ვერძებს დღეს ცვლილებებიელით პირად ურთიერთობებში. კეთილგონიერებას გამოიჩენთ და თავს შეიკავებთ სარისკო, საშიში ნაბიჯის გადადგმისგან. ვერძი-მშობლები დღეს განსაკუთრებით ყურადღებით უნდა იყვნენ ბავშვების მიმართ, რადგან მათი დახმარება შეიძლება ნებისმიერ მომენტში გახდეს საჭირო.

კურო — დღეს ძალიან ადვილად წამოიწყებთ რომანტიკულ ურთიერთობებს, მათ შორის, „დისტანციურსაც“. ადამიანები, რომელთაც არ სჯერათ „ვირტუალური სიყვარულის“, მზად არიან დაუშვან, რომ ასეთი რამ არსებობს.

ტყუპები — დღეს სურვილი გაგიჩნდებათ, მონაწილეობა მიიღოთ საინტერესო მოვლენებში, მკვეთრი ემოციებით დაიტვირთოთ. თუმცა, პირად ცხოვრებაში, შესაძლოა, სიმშვიდე დაგხვდეთ. ასეთ სტაბილურობასაც აქვს თავისი პლუსი: შეგიძლიათ გულდამშვიდებულმა მოიფიქროთ და გეგმები დააწყოთ უახლოეს მომავალზე. თქვენი სასიცოცხლო ენერგია საკმაოდ მაღალია, გადატვირთვის ნუ შეგეშინდებათ.

კირჩხიბი — ვარსკვლავები დღეს გირჩევენ, უარი თქვათ კომპრომისებზე, განსაკუთრებით, პრინციპულ საკითხებში. თუმცა, უბრალოდ არდათანხმება ცოტაა — საკუთარი პოზიცია ახსენით და ეს ისე გააკეთეთ, რომ თანამოსაუბრეს თქვენს სიმართლეში ეჭვი არ შეეპაროს.

ლომი — ლომები თანდათან თავს ართმევენ დაგროვილ პრობლემებს, საქმეებს აწესრიგებენ. მოგეცემათ შანსი, რეალურად შეაფასოთ იმ პროექტების პერსპექტივები, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებთ. გააკეთეთ სწორი დასკვნები და შესაბამისი შესწორებები შეიტანეთ მომავლის გეგმებში.

ქალწული — თუ თქვენი მიზნები მნიშვნელოვანია, ამოცანები კი მასშტაბური, მაშინ იმოქმედეთ, რადგან სასიკეთო მომენტია წინ გრანდიოზული ნაბიჯის გადასადგმელად. წვრილმან პრობლემებზე კი ყურადღებას ნუ გაამახვილებთ — ისინი თავისთავად მოგვარდება ან იმ მომენტს დაელოდება, როცა თქვენ საამისოდ თავისუფალი დრო გექნებათ.

სასწორი — სასწორებს წარმატება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებათ გარანტირებული, თუ შეძლებენ, სწორად შეარჩიონ შესაფერისი დრო და ადამიანები თავის სიმართლეში დაარწმუნონ. გაუთვალისწინებელმა მოვლენამ შესაძლოა, სახლში სერიოზულ კონფლიქტამდე მიგიყვანოთ. შეეცადეთ, კეთილი ადამიანის მხარდაჭერა გამოიყენოთ.

ღრიანკალი — დღეს ბევრი საქმის გაკეთებას ვერ მოასწრებთ, რადგან ყურადღებას სხვა რამეზე მრავალჯერ გადაგატანინებენ და მოგაცდენენ. ბოლოს, ეს შეიძლება ობიექტური მიზეზით მოხდეს და უკეთესიც იქნება. შეცდომისგან დაგიცავენ, მაგრამ შეეცადეთ, თავადაც ყურადღებით იყოთ.

მშვილდოსანი — მშვილდოსნების ოპტიმიზმი იმ მტკიცებულებას ემყარება, რომ „ყველაფერი კარგად იქნება“ და არა იმას, რომ ყველაფერი ცუდად არ იქნება. ვარსკვლავები გპირდებიან, რომ თუ ამ ოპტიმიზმს, სულ ცოტა, ერთ ადამიანს მაინც გადასდებთ, მომავალში უფრო გაგიადვილდებათ ნებისმიერი სურვილის რეალიზება.

თხის რქა — იყოთ ყველაფერში პირველები — ასეთი სურვილი გაუჩნდებათ დღეს ამ ნიშნის წარმომადგენლებს. შეგიძლიათ, სცადოთ და ეს მომენტი თქვენთვის და გარშემომყოფებისთვისაც სასიკეთოდ გამოიყენოთ. ვარსკვლავები მხარდაჭერას გპირდებიან ნებისმიერ წამოწყებაში, განსაკუთრებით კი, თუ ეს პირად ურთიერთობებს ეხება.

მერწყული — თავის წარმოჩენის შანსი გეძლევათ. დღეს რაც უფრო ორიგინალური და განუმეორებელი იქნებით, მით უკეთესია. თქვენი მრავალმხრივი ნიჭი გამოავლინეთ. ნუ შეგეშინდებათ ახალი საქმეების, რაც უნდა რთული იყოს ისინი — ყველა სირთულეს თავს ადვილად გაართმევთ.

თევზები — თევზებისთვის სასიკეთო დღეა, განსაკუთრებით, ისეთი საქმის წამოწყებისთვის, რაც შემოქმედებით მიდგომას და არასტანდარტულ აზროვნებას მოითხოვს. თქვენი ორგანიზაციული ნიჭი აშკარად გამოვლინდება, ზოგჯერ ზედმეტადაც კი, რამაც, შესაძლოა, გარშემომყოფები გააღიზიანოს. უფროსობა კი თქვენი მიღწევებით კმაყოფილი იქნება.

ინტერნეტ-მაღაზია მდიდრებისთვის

პრაქტიკულად, ნებისმიერი ადამიანი ოცნებობს მილიონერობასა ან მილიარდერობაზე, მაგრამ ყველამ არ იცის, რაში შეიძლება დახარჯოს ამდენი ფული. საბედნიეროდ, უკვე არსებული და გამდიდრებისკენ მსწრაფი ადამიანისთვის ახალი ინტერნეტ-საიტი thebillionaireshop.com შეიქმნა, რომელიც გირჩევთ, სად დააბანდოთ თქვენი ფული. ონლაინ-მაღაზია მსურველებს მდიდრული იახტის, ელიტური სპორტული მანქანის, პირადი თვითმფრინავის ან თუნდაც საკუთარი ტროპიკული კუნძულის შეძენას სთავაზობს. ასეთი საიტის შექმნის იდეა შვედებს მოუვიდათ თავში, რომლებიც მანამდე ინტერნეტ-ლატარიის რესურსით იყვნენ დაკავებულნი და კლიენტებს დიდი თანხების მოგების საშუალებას აძლევდნენ. ბევრ გამარჯვებულს წარმოდგენა არ ჰქონდა, რაში უნდა დაეხარჯა მოულოდნელად მიღებული უზარმაზარი თანხა. გამჭრიახმა შვედებმა კი მოიფიქრეს საქმე, სადაც მილიონების მომგები და მოსვენებადაკარგული ადამიანები მაუსის ერთი დაკლიკებით, ფულს მატერიალურ სიმდიდრეში გაცვლიან.

ეკლესიაში სიარული ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა

ნორვეგიელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ტაძარში ვიზიტი სასიკეთო გავლენას ახდენს არა მხოლოდ ადამიანის სულზე, არამედ მის სხეულზეც. ასე, მაგალითად, ეკლესიაში ყოფნა მომატებულ სისხლის წნევას აქვეითებს და რაც უფრო ხშირად აღმოჩნდებით იქ, მით უფრო დაიწევს წნევა. ადრე მსგავსი დასკვნები გააკეთეს ამერიკელმა სწავლულებმა, მაგრამ მაშინ ეს უბრალო დამთხვევას მიაწერეს, რადგან ამერიკაში, რეგულარულად, მოსახლეობის 40% დადის ტაძარში. ნორვეგიაში კი ასეთი მხოლოდ 4%-ია. ასე რომ, სკანდინავიელების გამოკვლევა უფრო ზუსტი და სანდო აღმოჩნდა. ექიმები სულ 120 ათას ადამიანს აკვირდებოდნენ, რომელთაგან ეკლესიაში, დაახლოებით, 5 ათასი დადიოდა. სწორედ მათ აღენიშნათ ყველაზე დაბალი სისხლის წნევა დანარჩენებთან შედარებით. ახლა საჭიროა კიდევ ერთი კვლევის ჩატარება იმის გასარკვევად, რამდენად ახდენს გავლენას ადამიანის რელიგიური კუთვნილება მისი ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობაზე და სამკურნალო აღმოჩნდება თუ არა მსოფლიოს ყველა რელიგია.

მეძავებს ინგლისურს ასწავლიან

ბრაზილიაში, სადაც პროსტიტუცია ოფიციალურად დაშვებულია, მეძავებს ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ამზადებენ. ამ პერიოდისთვის მათ ინგლისურ ენას უფასოდ შეასწავლიან. მსოფლიო თასის მე-20 გათამაშებაზე ბრაზილიელები მილიონობით ტურისტს ელიან. შესაბამისად, ქალაქ ბელუ-ორიზონტეს მეძავთა ასოციაციის პრეზიდენტის, ვიეირას ინიციატივით, ქვეყანაში დასაქმებული ყველა მეძავი ვალდებულია, საერთაშორისო ენა საფუძვლიანად შეისწავლოს. ადგილობრივ კლიენტებთან საუბარი ადვილია, მაგრამ რა დააშავეს უცხოელებმა? — აცხადებს ვიეირა. ახალი პროგრამის ფარგლებში, უძველესი პროფესიის 20 წარმომადგენელი უკვე გადის ინგლისურის კურსებს. ასოციაციის წევრები გეგმავენ, ენის პედაგოგები და ფსიქოლოგებიც დაიქირაონ. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიაში მეძავებს კანონი იცავს.

დემი მურს ახალი რომანი აქვს

Vito Schnabel

თითქმის ერთი წელია, 50 წლის პოპულარული მსახიობი დემი მური და არანაკლებ ცნობილი, 34 წლის ეშტონ კატჩერი ერთად აღარ ცხოვრობენ, მაგრამ ჯერ ისევ ოფიციალურ ქორწინებაში არიან. ვარსკვლავური წყვილი ვერაფრით იყოფს 290-მილიონიან ქონებას, რაც 6-წლიანი თანაცხოვრებისას დააგროვეს და ყოველი ცენტისთვის იბრძვიან. დემიმ მოღალატე ქმარს ლოს-ანჯელესში არსებული უძრავი ქონების ნაწილი დაუთმო, რომელიც კანონით მისი საკუთრებაა, მაგრამ ეშტონისთვის ესეც ცოტაა. ახალგაზრდა ქმრის ღალატმა და მისმა სიხარბემ დემი ლამის დეპრესიაში ჩააგდო, მაგრამ მაინცდამაინც დიდხანს არ უგლოვია. მან ექსმეუღლის მაგალითს მიბაძა, რომელიც ახლა მსახიობ მილა კუნისთან ერთობა და კატჩერზე ახალგაზრდა კავალერი გამოძებნა. ის 26 წლის არტ-დილერი ვიტო შნეიბელია. როგორც მურის მეგობრები აცხადებენ, წყვილმა ერთმანეთი ნაომი კემპბელის მეგობარი მამაკაცის, რუსი ოლიგარქის, ოლეგ დორონინის დაბადების დღის წვეულებაზე გაიცნო. თვითმხილველთა თქმით, დემი და ვიტო მთელი საღამო ცეკვავდნენ და ყველას თვალწინ ერთმანეთს ეხვეოდნენ. დემის ახლობლები აცხადებენ, რომ ამ წვეულების შემდეგ წყვილი თავისუფალ დროს ერთად ატარებს. როგორც აღმოჩნდა, ასაკში 24-წლიანი სხვაობა სულაც არ არის პრობლემა ხელოვნების ნიმუშების გამყიდველისთვის. ადრე ის ავსტრალიელ სუპერმოდელ ელ მაკფერსონს ხვდებოდა, რომელიც მასზე 20 წელზე მეტით იყო უფროსი. ორიოდე წლის წინ ვიტოს რომანტიკული ურთიერთობები ჰქონდა 9 წლით უფროს ლივ ტაილერთან. ასე რომ, შნეიბელს „ასაკოვან“ ქალებთან ურთიერთობის საკმაო გამოცდილება აქვს. დემისა და მისი ახალი რჩეულის შესახებ ინფორმაციას პრესა წინ და უკან ატრიალებს, თავად შეყვარებულები კი ამ ფაქტს არც უარყოფენ და არც ადასტურებენ.

სუდოკუ

ადვილი

7			6		4	3		
		6				5		
1		5			2		8	
			8				4	
8				6				9
	7				9			
	6		2			8		5
		8				4		
		7	9		6			2

სტანდარტი

2			9					3
			7			5	2	
		3			1			7
				1			9	6
				3				
9	8			7				
8			3			2		
	5	1			4			
3					5			8

რთული

8		7			3			9
			9			7		
		2		1		8	5	
7		1		9	6			
2								7
			3	7		1		4
	7	6		3		9		
		9			1			
4			7			6		2

ექსპერტი

5		2		1		8		
	1					3		9
					7		4	
2						9	8	
		9		4		7		
	6	4						3
	5		8					
6		1					9	
		8		7		4		5

ჟურნალისტებს ბანანის ჭამა აუკრძალეს

ბრიტანული გამოცემა **The Sun** წერს, რომ კომპანია „ბი-ბი-სის“ ხელმძღვანელობამ საკუთარ თანამშრომლებს სამსახურში ბანანის ჭამა აუკრძალა. მთელ ოფისში გამოკრულია პლაკატები, რომელზეც გადახაზული ბანანია გამოსახული. ასეთი უცნაური აკრძალვის მიზეზი კორპორაციის ერთ-ერთი თანამშრომელი ქალბატონის საჩივარია, რომელიც აცხადებს, რომ ამ ტროპიკულ ხილთან ნებისმიერი კონტაქტი, შესაძლოა, მისთვის ლეტალური შედეგით დასრულდეს. ახლა კომპანიაში არა მხოლოდ ბანანის ჭამა, არამედ მისი გაფცქვნაც კი იკრძალება. გაზეთი იმასაც წერს, რომ ამგვარმა აკრძალვამ „ბი-ბი-სის“ თანამშრომლებში ხუმრობის კასკადი გამოიწვია. მაგალითად, ზოგიერთი ჟურნალისტი კომპანიის აბრევიატურას ასე შიფრავს — **Banned Banana Corporation**. კორპორაციის ხელმძღვანელობა კი აცხადებს, რომ ასეთი ხუმრობა უადგილოა, როცა ადამიანის სიცოცხლეზეა საუბარი.

გერმანელებს ციკლონის ყიდვას სთავაზობენ

გერმანელებს ახლა შესაძლებლობა აქვთ, სულ რაღაც 199 ევროდ ციკლონი შეიძინონ. ვინც ამ უცნაურობაში ფულს გაიმეტებს, მის სახელს, როგორც ციკლონის მფლობელისას, ტელევიზიით ამინდის პროგნოზის დროს, ასევე მეტეოროლოგიურ ჩანაწერებში ახსენებენ. ქვეყნის მაცხოვრებლებს ასეთი შესაძლებლობა ბერლინის თავისუფალმა უნივერსიტეტმა მისცა. ვინც 299 ევროს გადაიხდის, შეუძლია, ციკლონს სახელი ან მეტსახელი მიანიჭოს. წინასწარი მონაცემებით, დაბალი წნევის არეს დიდ ნაწილს უკვე ჰყავს საკუთარი მფლობელები. 2014 წლამდე მამაკაცებს შეუძლიათ, სახელი დაბალი წნევის არეს, ქალებს კი — მაღალი წნევის არეს მიანიჭონ. მერე ეს წესი პირიქით შეიცვლება. ამ გზით შემოსულ თანხას უნივერსიტეტი მეტეოროლოგიის სფეროში კვლევებზე დახარჯავს.



ვასყლი წლის ყველაზე ზღაპრული ქორწილი

ეს ქორწილი ბრუნეის სასულთნოში შედგა და ალბათ, გასაკვირი არ არის, რომ სადღესასწაულო ვახშამზე რამდენიმე მილიონი დოლარი დაიხარჯა. ამ, მართლაცდა, ზღაპრულ და ძვირადღირებულ ქორწილში კი მთავარი გმირები 32 წლის პრინცესა ჰაფიზი და მისი რჩეული, მუჰამედ რუზაინი იყვნენ. როგორც ცნობილია, ბრუნეის სულთანი ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია მსოფლიოში — მისი ქონება 20 მილიარდ დოლარად არის შეფასებული და ამიტომ, რა გასაკვირია, საყვარელი ქალიშვილის ბედნიერების დღეს ფული რომ არ დაზოგა. დღესასწაული 4 დღე-ღამეს გაგრძელდა და მას 2 000-მდე სტუმარი ესწრებოდა. მოოქროვილ დარბაზში პატარძალი 16 შეიარაღებული მცველის თანხლებით შემოვიდა. უძვირფასესი, რძისფერი კაბა ვერცხლით იყო გაწყობილი. აღსანიშნავია, რომ მონარქის რჩეული არ არის დიდგვაროვანი, რომელიმე სამეფო დინასტიის წარმომადგენელი. ის უბრალო სახელმწიფო მოხელეა და პატარძალზე ორი წლით უმცროსიც. მუჰამედ რუზაინიც რძისფერ სამოსში იყო გამოწყობილი და წელს ხმალი უმშვენებდა. ქორწილის შემდეგ წყვილი მოოქროვილ სასახლეში დააბინავეს, სადაც 1 788 ოთახია, საცხოვრებელი ფართი კი 200 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს. სასახლის ქვეშ 1 150 მანქანის უზარმაზარი სადგომია, სადაც ასობით „მერსედესი“, „ბენტლი“, „იაგუარი“ და „როლს-როისი“ დგას. ამ სიმდიდრის მიუხედავად, ბრუნეის პრინცესა შინ უსაქმოდ არ ზის — ის ფინანსთა სამინისტროში მუშაობს, მისი მეუღლე კი ქვეყნის პრემიერის ოფისშია დასაქმებული და ეკონომიურ საკითხებს კურირებს.

ჩაი მხედველობისთვის სასარგებლოა

ინდოელი მეცნიერების კვლევამ აჩვენა, რომ ეს სასარგებლო სასმელი თვალის დაავადებების განვითარებას უშლის ხელს. ექსპერიმენტმა, რომელიც ლაბორატორიულ თაგვებზე ჩატარდა, ცხადყო, რომ ჩაი ხელს უშლის კატარაქტას განვითარებას. ამასთან აღმოჩნდა, რომ სასარგებლო თვისებები აქვს როგორც შავი, ასევე მწვანე ჩაის ჯიშებს, თუმცა სწავლულები აცხადებენ, რომ შავი ჩაი გაცილებით ეფექტურია. დაავადების პრევენციას ის ანტიოქსიდანტები ახდენს, რომლებსაც ეს სასარგებლო სასმელი შეიცავს. კატარაქტა თვალის ბროლის სრული ან ნაწილობრივი შემღვრევაა. თვალის ეს დაავადება შესაძლოა, თანდაყოლილი ან შეძენილი იყოს.

ძოძხიბვლელ ქალს ეძალება ხელები

ავსტრალიელი ანთროპოლოგები და ჰონგკონგელი მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ როგორც დასავლელი, ასევე აღმოსავლელი მამაკაცებისთვის ქალური მომხიბვლელობის სათავე სიმაღლე და გრძელი ხელებია. საინტერესოა, რომ ყველაზე ხშირად, სუსტი სქესის წარმომადგენელთა მიმზიდველობის უპირველეს ობიექტად მკერდი და თეძოები მიიჩნევა. ამავე დროს, საერთო მომხიბვლელობის შეფასებისას სხეულის პროპორციულ ნაწილებს აღნიშნავენ. აქ კი მთავარ როლს სწორედ საკმაო სიმაღლე და გრძელი ხელები ასრულებს. მკვლევარებმა ექსპერიმენტისას 100 ჩინელი ქალის ფოტო გამოიყენეს. ისინი ამდენივე ავსტრალიელ და ჰონგკონგელ მამაკაცს დაურიგეს, მათ ყოველი მანდილოსნისთვის შესაფერისი ქულა უნდა მიენიჭებინათ. ფოტოს ნახვა კი მხოლოდ 5 წამის განმავლობაში შეიძლებოდა. შედეგად აღმოჩნდა, რომ არც თეძოების და არც მკერდის ზომას, არც წელის გარშემოწერილობას გავლენა არ მოუხდენია ქალების შეფასებაზე. მამაკაცების მიერ არჩეული ყველა მომხიბვლელი ქალი მაღალი და გრძელხელება აღმოჩნდა.

ჰოროსკოპი
13 იანვარი

ვერძი — დროსა და ენერგიას უქმად, უსარგებლო საქმეებზე ნუ დახარჯავთ. უმჯობესია, კონცენტრირება რეალურად, მნიშვნელოვან საკითხებზე მოახდინოთ. დღეს თქვენთვის მხოლოდ ერთი საკითხია ასეთი, ამიტომ ყველა სხვა დანარჩენი საქმე, უმჯობესია, გადადოთ.

კურო — ვარსკვლავები დღეს თქვენს მიმართ კეთილგანწყობილი არიან. ერთნაირად წარმატებული დღეა როგორც ფინანსურ, ასევე შემოქმედებით სფეროში. შეეცადეთ, განახორციელოთ ყველაზე თამამი იდეები და გეგმები, მათი წარმატებით დასრულებითა და მიღებული შედეგებით, თავადაც კმაყოფილებული დარჩებით.

ტყუპები — ნუ შეეწინააღმდეგებით ცხოვრების დინებას, უმჯობესია, მიჰყვეთ მას. შეეცადეთ, შეეგუოთ იმ ფაქტს, რომ თუ ვერ ცვლით სიტუაციას, მის მიმართ დამოკიდებულება უნდა შეცვალოთ. დღეს ნუ შეიძენთ ისეთ რამეს, რაც რეალურად, არაფერში გჭირდებათ.

კირჩხიბი — შეეცადეთ, დღევანდელი დღე ისე დაგეგმოთ, რომ ერთი თავისუფალი წუთიც არ დაგრჩეთ. ამით თავს დაიზღვევთ ცუდი ფიქრებისგან და მათი ნეგატიური გავლენისგან. კარგი იქნება, თუ სადამის მხიარულ წვეულებაზე წახვალთ, მთავარია, იეთო იქ, სადაც ბევრი ხალხი და ხმაურია.

ლომი — დღეს არასასურველი დღეა ფინანსებთან დაკავშირებული ოპერაციების განსახორციელებლად. ყველა ასეთი საქმე, სჯობს, მომდევნო დღისთვის გადადოთ. არსებობს რისკი, რომ არასწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ. დღის მეორე ნახევარი კი შეგობრების წრეში გაატარეთ.

ქალწული — ნუ დაიჯერებთ იმას, რასაც ასე, აქტიურად გახვევენ თავს გარშემომყოფები. ენდეთ საკუთარ ლოგიკასა და ობიექტურ აზრს. ვიღაცას ძალიან უნდა თქვენი შეცდომაში შეყვანა.

სასწორი — დღეს ყურადღებით იყავით თქვენს ირგვლივ განვითარებული მოვლენების მიმართ. სიფრთხილე გამოიჩინეთ, რომ არ გახდეთ შეთქმულების მსხვერპლი. კარგი დღეა რომანტიკული ურთიერთობის დასაწყებად. საღამო მშვიდ, წყნარ გარემოში გაატარეთ.

ღრიანკალი — დღის პირველ ნახევარში შეეცადეთ, თავი შეიკავოთ მძაფრი რეაქციებისგან, თუნდაც სამართლიანად ათასი მიზეზი არსებობდეს. საღამოსთვის, შესაძლოა, მთელი ძალების მოკრება დაგჭირდეთ, ნამდვილად საჭირბოროტო საკითხების მოსაგვარებლად. მოგვიანებით კი, თავს უფლება მიეცით, მოეშვათ და გაერთოთ.

მშვილდოსანი — საყვარელ ადამიანს დღეს ნუ მოუწყობთ დაკითხვასა და ეჭვიანობის სცენებს. ამით შედეგს ვერ მიაღწევთ, პირიქით, გაფუჭებთ ურთიერთობას. მოკვ დრო, ის თავად აგიხსნით ყველაფერს. ვარსკვლავები გირჩევენ, დღეს ფული კარგ საქმეში დაანბანდოთ.

თხის რქა — დღეს მოსალოდნელია, შორეული ნათესავი გესტუმროთ, ან ისეთი ადამიანი, რომელიც არ გესიმპათიურებათ, თუმცა იძულებული იქნებით, მას პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროთ. შეეცადეთ, არ გამოამჟღავნოთ გაღიზიანება.

მერწყული — თუ თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ ყოველთვის თუ არა, უმრავლეს შემთხვევაში, მართალი ხართ, დღეს მოგიწევთ ამაზე სერიოზულად დაფიქრება. საკუთარი შეცდომების აღიარება არც ისე ადვილია, მით უმეტეს, თუ ხელმძღვანელი ხართ, მაგრამ გამოიჩინეთ გამბედაობა და ყველაფერი კარგად იქნება.

თევზები — თევზებს ვარსკვლავები ურჩევენ, დღეს მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინონ, რადგან დიდია ალბათობა დანაკარგისა. შესაძლებელია, ეს საბუთები ან რაიმე მცირფასი ნივთი იყოს. დღე მთლიანობაში დაძაბული იქნება, მაგრამ შეეცადეთ, წინასწარ გათვალოთ ყველა ნაბიჯი და თავიდან აირიდოთ უსიამოვნებები. საღამოს შეგიძლიათ, მოეშვათ და ოჯახურ წრეში დაისვენოთ.

ვიქტორ იანუკოვიჩმა ილია მეორე დააჯილდოვა ორდენით „დამსახურებისთვის"

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა „დამსახურებისთვის". შესაბამის ბრძანებულებას უკრაინის პრეზიდენტმა 9 იანვარს მოაწერა ხელი და ის პრეზიდენტის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა. როგორც იანუკოვიჩის ბრძანებულებაშია აღნიშნული, საქართველოს პატრიარქი დაჯილდოებულია უკრაინულ-ქართული კულტურულ-სულიერი კავშირების მრავალწლიან განვითარებაში შეტანილი პირადი განსაკუთრებული წვლილისთვის.

„ჯი-ეიჩ-ენი"

შენდომა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას" სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე"

„ყოველთა დედოფალი პანტანასას" ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი" ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი" კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი" გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

იპოვით თქვენი www.versia.ge

ვერსია

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი,
სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com

® ნიშნით აღნიშნული სტატიები
იბეჭდება რეკლამის უფლებით